აპოლონ სილაგაძე

ქართული იდეა

მეორე გამოცემა

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2014

ნაშრომში წარმოდგენილია ცდა დახასიათდეს ქართული იდეა, რომელიც განსაზღვრავდა ქართველი ერის მრავალათასწლიან ისტორიას. პირველ თავში, ამ კონტექსტში, მოკლედ მიმოხილულია საქართველოს ისტორიის ძირითადი ეტაპები ძვ. წ. მეორე ათასწლეულის ბოლოდან დღევანდელ 21-ე საუკუნემდე. მეორე თავი ეძღვნება საკუთრივ ქართულ იდეას, მისი მთავარი შემადგენლებისა და მისი სპეციფიკის განსაზღვრას. მესამე თავი წარმოადგენს ამავე კონტექსტის დაკავშირებას თანამედროვეობის ზოგიერთ პრობლემასთან.

In the present book it is attempted to characterize the Georgian idea which defined the many thousand year old history of the Georgian nation. *Chapter I* offers a brief overview in this context of the basic stages of the history of Georgia from the end of the 2nd millennium BC till the 21st century. *Chapter II* is devoted to the definition of the Georgian idea proper, its constituents and specificity. In *Chapter III* the same context is linked with some problems of the contemporary period.

© ა. სილაგაძე, 2014

გამომცემლობა „უნივერსალი", 2014

თბილისი, 0179, ი. ვაჩნაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-22-393-8

სარჩევი

თავი პირველი
ქართული ისტორია 7
თავი მეორე
ქართული იდეა 59
თავი მესამე
ბოლოთქმა 123
საძიებლები 156

Contents

Chapter I
The Georgian History 7
Chapter II
The Georgian Idea 59
Chapter III
Afterword 123
Indices 156

თავი პირველი
ქართული ისტორია

•

იმისათვის, რომ ამ წიგნის სათაურში გამოტანილი თემა იქნეს განხილული, ფაქტიურად ერთი მთავარი კითხვა უნდა დაისვას — რა არის საქართველო?

საქართველო არის იმ ერის ქვეყანა, რომელიც იყო და არის სუვერენული ერი.

ეს ფრაზა, ერთი შეხედვით ტრივიალური, კონკრეტულ შინაარსს გულისხმობს, რომელიც საბოლოოდ ქართულ სპეციფიკას განსაზღვრავს. შეიძლება ითქვას ასეც: ეს არის ფორმულა, რომელსაც მხოლოდ გაშლა და დამატებითი განსაზღვრებები ესაჭიროება.

დასაწყისისთვის — კიდევ ერთი კითხვა: რამდენია კიდევ ამჟამად ისეთი ერი, რომელსაც ამდენი ათასწლეულის განმავლობაში სხვადასხვა ფორმით დღემდე შენარჩუნებული აქვს სახელმწიფოებრიობა, ე.ი. სუვერენობა (ისე, რომ ფაქტიურად მხოლოდ ერთხელ ჰქონდა ვაკუუმი, ერთსაუკუნოვანი)? ამ (და არა მარტო ამ) ნიშნით ჩვენ უძველესი ერის კატეგორიას განვეკუთვნებით, ცოცხალი უძველესი ერისა.

ამ ერს, რა თქმა უნდა, უამრავი ისტორიული ტრანსფორმაცია განუცდია (სამწუხაროა, რომ დღევანდელ ცივი-

ლიზებულ სამყაროს ჩვენ ვერაფრით ვერ გავაცანით ჩვენი თავი და ჩვენი ჭეშმარიტი, და არა სხვათა ნებით და საკუთარი დაუდევრობით დაწერილი, ისტორია, — ესეც ჩვენი სპეციფიკაა). მაგრამ მიუხედავად ისტორიული ზიგზაგებისა, მიუხედავად ნებისმიერი რეალური ვითარებისა, სახელმწიფოებრიობის ქონის თუ მისი დროებითი, ფაქტობრივი ან ნომინალური, შეზღუდვისა თუ დაკარგვისა, **იგი მუდმივად იყო და არის დამოუკიდებლობის დაუთრგუნველი სურვილის მქონე და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ერი, რომლის ეროვნული თვითშეგნება ყოველთვის ცოცხალია, ყოველთვის დინამიზმის მდგომარეობაშია** («სჯობს მონობაში გადიდკაცებულს თავისუფლების ძებნაში მკვდარი»). ამ ერმა მოახერხა შეენარჩუნებინა თვითმყოფადობა — ისეთ მძიმე გარემოში და ისეთ ინტენსიურ ზეწოლაში, რომლის მსგავსს ბევრმა სხვამ ვერ გაუძლო; არ დაკარგა ენა, რწმენა, კულტურა, ტერიტორია, სახელმწიფოებრიობა და, როგორც სუვერენული ერთეული, არ გაითქვიფა არცერთ დიდ მასაში — არც სპარსელებში, არც ბერძნებში, არც არაბებში, არც სკვითებში, არც რუსებში...

აქ კიდევ ერთი ფორმულირებაა გასაკეთებელი: **ქართველობას ყოველთვის სურდა ქართველობა** («გრიგალთა, მეხთა, ქუხილთ შორის ქართვლად გაზრდილი»). ეს თეზისიც ყურადღების ღირსია: არა უბრალოდ გადარჩენა, არა უბრალოდ სახელმწიფო როგორც აბრა, არამედ — ქართველობა თავისი ყველა გამოვლინებით საკუთარ ქვეყანაში და თავისი საკუთარი ნიშით მსოფლმოწყობაში. ქართველობას ყოველთვის სურდა ქართველობა და ასე სურდა დამოუკიდებლობა — სხვანაირ მდგომარეობაში იგი არასოდეს ყოფილა, სხვანაირ პერსპექტივას იგი არასოდეს შეჰგუებია; **სხვა-**

ნაირ მდგომარეობას და სხვანაირ პერსპექტივას შეგუებული ერი არის არასუვერენული ერი.

პრაქტიკაში ეს იმას ნიშნავდა, რომ ჩვენ, როგორი სახითაც უნდა ვყოფილიყავით წარმოდგენილი მსოფლიო ისტორიის ასპარეზზე, ყოველთვის ვიყავით საერთაშორისო პოლიტიკისა და საერთაშორისო სამართლის სუბიექტი.

ჰეროდოტე (ძვ. წ. V ს.) ჩამოთვლის ქართულ (/ქართველურ) ტომებს: მოსხებს, კოლხებს, ხალიბებს, სასპირებს, მაკრონებს, ტიბარენებს, მოსინიკებს, მარებს (I: 2, 28, 104, 110; II: 104, 105; III: 94, 97; IV: 37, 40; VII: 78, 79 — *ჰეროდოტე*, ისტორია, თარგმანი, წინასიტყვაობა და საძიებლები *თ. ყაუხჩიშვილისა*, თბილისი, 1975). სხვა ბერძნულ წყაროებში სხვა ტომებიც მოიხსენიება (საერთოდ, ბერძნული ცნობები ქართული რეალიების, კერძოდ აიეტის, შესახებ ძვ. წ. VIII ს-დან გვაქვს — *ჰომეროსიდან)*: იბერები, ჰენიოხები, ტაოხები, კორაქსები, კარდუხები, ხალდები, ფასიანები, სკვითინები და სხვ. ბიბლიაში მოხსენიებულნი არიან თუბალი და მეშეხი: როგორც ხალხები, ერთ-ერთნი იმ უძველეს, პირველ ხალხებს შორის — იხ. ეზეკ. 27:13, 38: 2-3, 39:1; როგორც ეთნარქები — იხ. დაბად. 10:2, პირვ. ნეშტთა 1:5;* მეშეხ იხ. აგრეთვე

---

* თუბალი და მეშეხი მოხსენიებულნი არიან ლითონთა (დამუშავება, ვაჭრობა) კონტექსტშიც — ეზეკ. 27:13, აგრეთვე დაბად. 4:22 — «თუბალ-კაენი». ქართველური ტომების კავშირს უძველეს მეტალურგიასთან ადასტურებენ ასურული წარწერები ძვ. წ. IX ს-ისა, ასევე — ბერძნული წყაროები. ფოლადის ბერძნული სახელწოდება ხალიბების სახელწოდებიდან წარმომდგარად არის მიჩნეული, — იხ. *ი.ჯავახიშვილი*, ქართველი ერის ისტორია, თხზულებანი, I, 1979 (ი. ჯავახიშვილი სპეციალურად აღნიშნავს ქართული ტომების «მადნეულობის შემუშავებაში კაცობრიობის წინაშე საპატიო ღვაწლს» და მადნეულობის სახელთა ქართულ წარმომავლობას; ამ კონტექსტში იმოწმებს — *O. Schrader*, Die Metalle, 1906).

ფსალმ. 119/120 (*იოსებ ფლავიუსი* მიუთითებს თუბალისა და იბერის კავშირზე).

ამ ტომებს (რომლებიც ქართების, ზანების და სვანების ქართველური ტომების წარმომადგენლები არიან) და მათ გაერთიანებებს უძველესი ისტორია აქვთ.

მაგალითად, ტაოხების წინაპრებს ძვ. წ. XIII-XII ს-დან შექმნილი ჰქონდათ მძლავრი ქართული სახელმწიფო (მძლავრი და ქართული, მაგრამ არა ერთიანი) — დიაოხი, არაერთგზის მოხსენიებული ძველ ასურულ (ძვ. წ. XII ს.) და განსაკუთრებით ურარტულ (ძვ. წ. VIII ს.) ლურსმულ წარწერებში; მას ომებიც ჰქონდა ასურეთთან და ურარტუსთან და ზავებიც, და დამარცხდა ძვ. წ. VIII ს-ში. რაც შეეხება ტაოხებს (რომელთაც პირველად *ქსენოფონტი* იხსენიებს — იხ. «ანაბასისში» IV, 4:18; 7:1; ტექსტი და კომენტარები იხ. *თ. მიქელაძე,* ქსენოფონტის ანაბასისი, თბილისი, 1967), ისინიც სერიოზულ ძალას წარმოადგენდნენ და ძვ. წ. V ს-დან აღარავის (სპარსელებს) ემორჩილებოდნენ (ისევე, როგორც, მაგალითად, კარდუხები და ხალიბები, — იხ. ქსენოფონტი, V, 5:17).

რა თქმა უნდა, ჩვენს ისტორიაში, მათ შორის — უძველესში, პირველ ყოვლისა, ყოველთვის იყო მძლავრი გარე დარტყმები. ქართულ სამყაროს ასეთი დარტყმები მიაყენეს, მაგალითად, ძვ. წ. VIII ს-ის ბოლოს ჩრდილოეთიდან ინდოევროპელებმა კიმერიელების (აზოვის ზღვიდან შავიზღვისპირეთით) და სკვითების (დარიალის ხეობით) სახით, რომლებმაც მერე ეგვიპტის საზღვრებს მიაღწიეს...

ჩვენი წინაპრები სხვადასხვა დროს და სხვადასხვა სახით შედიოდნენ, ვთქვათ, აქემენიდების იმპერიაში, მაგრამ მოიხსენიებოდნენ თავ-თავიანთი სახელებით, როგორც საკუთარი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მეობის მატარებლები,

საკუთარი სამხედრო ძალების მქონენი, ამ ძალებით მეტროპოლიის ომებში თუ კოალიციურ ლაშქრობებში მონაწილენი, — ისინი მთლიანად თუ გარკვეული დოზით ყოველთვის ინარჩუნებდნენ დამოუკიდებლობას, ხოლო სრულ თვითმყოფადობას არასოდეს კარგავდნენ. დამპყრობლები მათში ხედავდნენ ქვეშევრდომებს, მაგრამ აღიარებდნენ მეგობრულ ქვეყნებად. ჩვენ მაშინ ქვეყნიერებას ვევლინებოდით დამოუკიდებელ, თუმცა ვასალურ მდგომარეობაში მყოფ ხალხად — ვასალურ მდგომარეობაშიც დამოუკიდებელ ხალხად.

აქემენიდთა სატრაპიებში (როგორც ცნობილია, ასე იყო დაყოფილი იმპერია დარიოს I-დან მოყოლებული) ჩვენგან მხოლოდ სასპირები (მე-18 სატრაპია) და მოსხები, ტიბარენები, მაკრონები, მოსინიკები და მარები (მე-19 სატრაპია) შედიოდნენ, მაგრამ კოლხები — არა; იმავე ჰეროდოტეს მიხედვით (VII:79), მათ ის ვალდებულება ჰქონდათ, რომ დამხმარე ჯარი (sic!) გამოეყვანათ (კერძოდ, ქსერქსე I-ის ლაშქრობაში) და ნებაყოფლობითი (sic!) ძღვენი მიერთმიათ (111:97). კოლხები ინარჩუნებდნენ სუვერენობას, ისევე როგორც ოდნავ უფრო გვიან სხვა ქართველური ერთეულები, მათ შორის — ზემოთ დასახელებულნი. ძვ. წ. 400 წლისთვის ეს სუვერენობა კიდევ უფრო მძლავრი შეიქნა...

აქემენიდთა იმპერია ალექსანდრე მაკედონელმა დაასრულა (დარიოს III-სთან ომში). ალექსანდრეს თავისი დამოკიდებულება ჰქონდა მაშინდელ ოიკუმენთან — მსოფლიოს გათავისუფლება სპარსელთა ბატონობისგან. მან დაიპყრო (გაათავისუფლა) იმპერიის ყველა პუნქტი (ამის შემდეგ გადავიდა ინდოეთში, შემდეგ გეგმად ჰქონდა ევროპა), ქართულ მხარეებში (და ამიერკავკასიაში) იგი არ შემოულა, —

ჩანს, მათ იგი de facto არ თვლიდა აქემენიდთა სახელმწიფოს ნაწილად, მათ ის სუვერენობის მატარებლებად თვლიდა...

სელევკიდებს მეგობრებად ჰყავდათ ქართველი მეფეები. სელევკიდებმა (ანტიოქე I სოტერი) აღიარეს ქართლის (იბერიის) სუვერენობა და ფარნავაზ პირველის მეფობა, კეთილი ურთიერთობა ჰქონდათ საურმაგთან...

პართიას, რომელმაც დაიპყრო სომხეთი, იბერიაზე არავითარი პოლიტიკური გავლენა არ ჰქონია. პირიქით — ქართლის მეფეები, რომთან კავშირში, ებრძოდნენ და ამარცხებდნენ მას და სომხეთში თავიანთი დინასტიის წარმომადგენელს (შვილს, ძმას) სვამდნენ ტახტზე...

კოლხეთისა და იბერიის დამარცხების შემდეგ (პომპეუსის ლაშქრობა) რომის იმპერიამ ისინი არა ქვეშევრდომებად, არამედ მეგობრულ ქვეყნებად აღიარა. იბერია აღმოსავლეთში რომის სრულფასოვანი პარტნიორი იყო. მეგობრებად და მოკავშირეებად იყვნენ მიჩნეულნი არტაგი, ფარსმან I, მითრიდატე I, მითრიდატე II. ფარსმან II-ს რომაელებმა უზარმაზარი ძეგლი აუგეს იმპერიის დედაქალაქში...

ქართლის სამეფო, ძვ. წ. მეორე-პირველ საუკუნეებში ერთგვარად დასუსტებული, ახ. წ. პირველ-მეორე საუკუნეებში ისევ ძლიერი ერთეული ხდება — მან, კერძოდ, დაიბრუნა სომხურ სამეფოებთან ბრძოლაში სამხრეთში და სამხრეთ-დასავლეთში დაკარგული ტერიტორიები...

•

იქამდე, ძვ. წ. IV ს-ის ბოლოს, ქართული მიწები გაერთიანდა ერთ სახელმწიფოდ — ფარნავაზმა ქუჯი ერისთავთან კავშირში შექმნა ერთიანი, სუვერენული სამეფო, რომელშიც შედიოდა: ეგრისი (სვანეთით), მარგვი, კახეთი, ხუ-

ნანი, სამშვილდე, წუნდა, ოძრხე, კლარჯეთი, შიდა ქართლი. ქართლი/ქართლის სამეფო (ძველბერძენ ავტორთა «იბერია» — იხსენიება ძვ. წ. IV ს-დან) — ამ ცნებაზე დაფუძნდა ერთიანობა, რომელიც ქართულ აღმოსავლეთსაც მოიცავდა და ქართულ დასავლეთსაც. უფრო მეტიც, ერთიანი, სუვერენული ქართული სახელმწიფოს შენებაში მონაწილეობდნენ არაქართული მოდგმის კავკასიელებიც დურძუკების და სხვათა სახით, — როგორც ჩანს, უკვე მაშინ არსებობდა კავკასიური ინტეგრაციის იდეა, ისევე როგორც ის ხედვა, რომ საქართველოს რეგიონში ცენტრალური სახელმწიფოს როლი განეკუთვნებოდა. ქართლის სამეფომ თავისი გავლენა განავრცო კავკასიის მოსაზღვრე მთიანეთზე და მეზობელ ალბანეთზე. სუვერენული ქართული სახელმწიფოს ერთ-ერთი გამოხატულება და ამავე დროს საყრდენი იყო ერთიანი ლიტერატურული, სახელმწიფო ენა, რომელიც ფარნავაზმა დაამკვიდრა. ამ დროსვე შეიქმნა ქართული დამწერლობა — სუვერენობის კიდევ ერთი გამოხატულება. შეიძლება ითქვას ასეც: ახალი, ერთიანი ქართული დამწერლობა, რადგანაც ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ ჩვენს წინაპრებს კიდევ უფრო ადრე, აიეტის კოლხეთში, უკვე ჰქონდათ ორიგინალური დამწერლობა, რომელიც არა მარტო კარტოგრაფიას ემსახურებოდა (ცნობები იხ. ძვ. წ. III ს. *აპოლონიოს როდოსელთან* — არგონავტიკა, ბერძნულიდან თარგმანი, შესავალი, კომენტარები და საძიებლები *აკ. ურუშაძისა*, თბილისი, 1970; შემდეგ იმეორებენ და ავრცობენ სხვა ბერძენი და ბიზანტიელი ავტორები).

კოლხეთი/კოლხიდა (კოლხა/კულხა; ძველი ქართული წყაროების ეგრისი) კიდევ უფრო ძველი, განსაკუთრებით ძვ. წ. XIV-XII საუკუნეებიდან აღზევებული ქართული სამეფოა

— პირველი ქართული სუვერენული სახელმწიფო გაერთიანება, რომელშიც მთელი დასავლეთი საქართველო და აღმოსავლეთის დიდი ნაწილი იყო მოქცეული (იხსენიება ძვ. წ. XII ს-დან ასურულ წყაროებში, VIII ს-დან —ურარტულ წარწერებში; ბერძნული ცნობების შესახებ იხ. *აკ. ურუშაძე*, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბილისი, 1964; მოხსენიებულია ბერძნულ მხატვრულ ლიტერატურაშიც ძვ. წ. VI ს-დან, *ესქილეს და პინდარეს* დროიდან). ყველაფერთან ერთად, ეს იყო აყვავებული ქვეყანა მაღალგანვითარებული სოფლის მეურნეობითა და მრეწველობით (სელი, ხე-ტყე, ოქრო, მეტალურგია...) და კულტურით (მწიგნობრობა, მედიცინა...). კოლხეთის სამეფომ ისტორიულ ქარტეხილებში სხვადასხვა ტრანსფორმაცია განიცადა (მათ შორის, დანაწევრება, რასაც *სტრაბონი* მიუთითებს, — «გეოგრაფია», X1, 2:8; VII-VI საუკუნეებში ახალი პოლიტიკური გაერთიანება შეიქმნა, რომელსაც ჩრდილოკოლხურ სამეფოსაც უწოდებენ, ასევე ძლიერი ქვეყანა, მთელ ანტიკურ სამყაროში აღიარებული, მის პირდაპირ კავშირს ძველ, აიეტის, კოლხეთთან *ქსენოფონტი* აღნიშნავს — V, 6:36), II-I საუკუნეების მიჯნაზე დაპყრობილ იქნა პონტოს მეფის, მითრიდატე VI ევპატორის მიერ, შემდეგ რომაელთა გავლენის სფერო შეიქნა, თუმცა ამ დროსაც ინარჩუნებდა სუვერენიტეტს (ლაზიკა), სამეფო ტახტს (რომის ინვესტიტურით), არ იხდიდა ხარკს...

ქარტეხილები და ძნელბედობანი ყოველთვის ახლდა ქართული სუვერენობის ისტორიას, მათ შორის — ძლიერი სახელმწიფო გაერთიანებების წარმოქმნის პროცესს. იმავე ფარნავაზის მეფობა მხოლოდ აზო/აზონთან ძლიერი შიდა სამხედრო დაპირისპირების ხარჯზე მკვიდრდებოდა; გასათვალისწინებელი იყო აგრეთვე ის სიჭრელე და გარკვეული

ქაოსი, რომელიც ამ მხარეს იმ დროს ახასიათებდა: საკმარისია ითქვას, რომ ისტორიულ გარემოებათა გამო სხვადასხვა მხრიდან აქ მოსული მოსახლეობა (მათ შორის, ებრაელები იერუსალიმიდან) ექვს სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდა...

იყო სხვა მძიმე მდგომარეობანი?

რა თქმა უნდა, იყო.

განსაკუთრებით, ერთიანი, უკვე ახალი — ქრისტიანული — საქართველოსთვის ბრძოლის გზაზე. პირველ რიგში, ამ გზაზე, დაბრკოლებად ყოველთვის აღიმართებოდა მოცემულ გეოპოლიტიკურ სივრცეში გაბატონების მსურველი დიდი ძალების, როგორც წესი ორი ძალის, დაპირისპირება — ფაქტორი, რომელიც თავიდან დაჰყვა და ბოლომდე გაჰყვა ჩვენი სუვერენულობისა და სახელმწიფოებრიობის ისტორიას; კონკრეტულად, ყოველთვის მძიმე ზიანს აყენებდა ქვეყნის მთლიანობისა და ძლიერების საქმეს. ამ ძალებისთვის (ორი ძალისთვის), მათ სამხედრო და პოლიტიკურ კონფლიქტებში, რეგიონული წონასწორობის მიღწევის მთავარ პირობად — და ესეც პრაქტიკულად მუდმივმოქმედი ფაქტორი შეიქნა — იყო აღმოსავლეთი საქართველოს და დასავლეთი საქართველოს სხვადასხვა იმპერიების გავლენის სფეროებად გამოცხადება.

ამ ვითარებას შეეწირნენ ვახტანგ გორგასალი და გუბაზ მეორე (ერთი სპარსელებთან ბრძოლაში დაიღუპა, მეორე ბიზანტიელებმა მოკლეს).

V ს-ში ქართლის სამეფო, პირველად თავის ისტორიაში, ხარკისგადამხდელი ქვეყანა გახდა. VI საუკუნეში მან — მართალია ცოტა ხნით — სამეფო ხელისუფლება დათმო.

532 წ. ზავით ბიზანტიამ და სასანიანთა ირანმა გაიყვეს სფეროები. ბიზანტიამ ცნო ირანის გავლენა ქართლზე, ირანმა — ბიზანტიისა ეგრისზე...

•

იყო უმძიმესი მდგომარეობანი?

რა თქმა უნდა, იყო. მაგრამ ჩვენთვის საგულისხმო მოვლენები — ქართული შეუპოვრობა სუვერენობის გზაზე — ყველა შემთხვევას განუხრელად ახლავს.

არაბთა დაპყრობები უზარმაზარ ტერიტორიებს გადასწვდა, მათ შორის — ქართულ ტერიტორიებს. მაგრამ, ჯერ ერთი: ჩვენთან ისინი მეორე ცდით შემოვიდნენ 654 წ. (ირანისა და სომხეთის დაპყრობის შემდეგ) და სტეფანოზ ერისმთავარს «დაცვის სიგელი» მისცეს (სუვერენობის აღიარება); ორი წლის შემდეგ ამას მოჰყვა ქართველთა დაუმორჩილებლობა, შემდეგ, 70-იან წლებში, არაბებმა აღადგინეს თავიანთი ბატონობა; 686 წ. ნერსე ერისთავმა დაამარცხა არაბები; ამავე დროს, ქართველების დამოკიდებელება და ურთიერთობა მათთან სხვადასხვა დროს არაერთგვაროვანი იყო, ქართველებს არაერთ ფრონტზე უწევდათ ბრძოლა, ისინი ამ დროს ერთდროულად ებრძოდნენ და იყენებდნენ არაბებსაც, ხაზარებსაც, ბიზანტიელებსაც; 697 წ. ეგრისის მმართველი სერგი ბარნუკისძე აუჯანყდა ბიზანტიელებს და თავისი სამფლობელო არაბებს გადასცა, ეს, როგორც ჩანს, კარგად გათვლილი ნაბიჯი იყო, რადგანაც არაბებმა მალე დაცალეს დასავლეთი საქართველო; უფრო ადრე ქართველები ლავირებდნენ ხაზარებს და არაბებს შორის; არაბებს რამდენიმე უსასტიკესი, ამაოხრებელი ლაშქრობა დასჭირდათ — ჰაბიბ იბნ მასლამასი, ჯარაჰისა, მურვან ყრუსი, ბუღა თურქისა, აბუ-ლ-კასიმისა (რომელთაგან ყველა არ იყო წარმატებული); საბოლოოდ, ისინი მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრალურ ოლქებში განმტკიცდნენ და მხოლოდ ქართლში შეძლეს ადგილობრივი მმართველობის დრო-

ებით გაუქმება, განაპირა მხარეებმა მოახერხეს მათგან გათავისუფლება და VIII-IX საუკუნეების მიჯნაზე რამდენიმე სუვერენული ქართული პოლიტიკური ერთეული დამკვიდრდა — ტაო-კლარჯეთი, კახეთი, ჰერეთი, ეგრის-აფხაზეთი; ქართველობა არ დანებებულა — იგი კვლავაც დამოუკიდებელი იყო.

მეორეც: ე. წ. არაბობა ფაქტიურად IX ს-ის მეორე ნახევრისთვის დასრულდა. რა იყო შედეგი? შედეგი ჩვენთვის ის არ იყო, რაც ზოგიერთი სხვა ხალხისთვის. არაბთა ოკუპაციის შემდეგ ერთი ნაწილი ხალხებისა და სამეფოებისა სრულიად გაქრა (სემიტურ და ქამიტურ ენებზე მოლაპარაკე ბევრი ხალხი ჩრდილოეთ აფრიკაში, ძველი ეგვიპტე, ძველ არამეელთა სახელმწიფო, ჰიმიარიტების სამეფო...), მეორე ნაწილი — უზარმაზარ ტერიტორიებზე განსახლებული ხალხები — ფუნდამენტურად ასიმილირდა, დაკარგა საკუთარი მენტალობა, მიიღო ისლამი, სახელები, ზნე-ჩვეულებები, დამწერლობა. ჩვენ რაც შეგვეხება, ჩვენ (და სომხებმა) გავუძელით.

ამ ასპექტში განსაკუთრებით საინტერესოა კიდევ ერთი მოვლენა, რომელსაც ყურადღება ასევე უნდა მიექცეს. მიუხედავად დამპყრობლის როლში ჩვენთან ორსაუკუნოვანი ყოფნისა, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ოთხი საუკუნის განმავლობაში ქართული ტერიტორიის შიგნით, ქართლში, არსებობდა თბილისის (არაბული, მუსლიმური) საამირო, არაბებს ჩვენს გარემოში არ შეუქმნიათ (ან — მათი მოღვაწეობით, ლიდერობით და ა. შ. არ შექმნილა) მუსლიმური კულტურა — ლიტერატურა, მეცნიერება, არქიტექტურა, რომელიც დარჩებოდა ისტორიაში. აქ მდგომარეობა ჩვენთან პრინციპულად განსხვავებულია მდგომარეობისაგან ესპა-

ნეთში, სადაც (კორდოვას საამირო/სახალიფო) VIII-XV საუკუნეებში შექმნილი ბრწყინვალე არაბულ-მუსლიმური კულტურა მკვიდრად შევიდა მსოფლიო ცივილიზაციის საგანძურში.

საბოლოოდ, ჩვენ შევანარჩუნეთ ყველაფერი — ქვეყანაც, რჯულიც, ენაც, დამწერლობაც, ზნე-ჩვეულებებიც, ჩვენ არც ჩვენი სუვერენობა და თვითმყოფადობა დავთმეთ, არც ჩვენი შეურიგებელი და დაუმორჩილებელი სული. ჩვენმა წინაპრებმა მოქმედებათა ცენტრი სამხრეთში, ტაოკლარჯეთში, გადაიტანეს — გრიგოლ ხანძთელი, აშოტ კურაპალატი... (ალბათ, არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვით, რომ ჩვენ არა მარტო დამოუკიდებელი ერი ვიყავით, რომელიც პერმანენტულად იბრძვის დამოუკიდებლობის მდგომარეობისათვის, არამედ ამ ასპექტში თვითდაჯერებულიც). შედეგი — კვლავგაერთიანებული ძლიერი, სუვერენული საქართველო, რომელიც კავკასიასა და მცირე აზიაში მთავარი პოლიტიკური მოთამაშის ადგილს იმკვიდრებს.

ყველაფერი თქმული, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ მდგომარეობა რთული არ იყო. მდგომარეობა უკიდურესად რთული და მძიმე იყო, რადგანაც დამპყრობლის მიზანს წარმოადგენდა დაპყრობილი ტერიტორიის სრული ათვისება აქ მკვიდრ ხალხში სხვა რჯულის დანერგვით, ფაქტიურად — ასიმილირების გზით (რაც ყველაზე უფრო მკაფიოდ *იოანე საბანისძემ* აღწერა VIII ს-ში). მაგრამ საგულისხმო ამ შემთხვევაში ის არის, რომ ქართველებმა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზაზე ყველაფრის დაძლევა უმტკივნეულოდ შეძლეს (აქ აოხრებანი და სისხლისღვრა, რა თქმა უნდა, არ იგულისხმება) და X ს-ის დასაწყისისთვის — ქვეყნის კვლავგაერთიანების უშუალოდ წინ — პრაქტიკულად უნიკა-

ლური მდგომარეობა მივიღეთ იმის ფონზე, რაც გვქონდა: არაბობა ჩვენი თვითმყოფადობისა და სახელმწიფოებრიობის მომავალს არავითარ საფრთხეს აღარ უქმნიდა (ეს იმ დროს, როცა ჯერ კიდევ არსებობდა თბილისის არაბული საამირო), რაც მკაფიოდ აისახა *გიორგი მერჩულის* ცნობილ ფორმულაში, ქართული სახელმწიფოებრიობის კონცეფციის განმსაზღვრელში («ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხებისა»...), რომელიც არავითარ ადგილს არ უთმობს ანტიარაბულ (და ანტიისლამურ) განწყობას და მთლიანად ანტიბიზანტიურ იდეაზეა აგებული.

•

დამოუკიდებლობა ჩვენ არც თათარ-მონღოლთა დროს დაგვითმია — მიუხედავად იმისა, რომ უკიდურესად რთულ ვითარებაში გვიხდებოდა სახელმწიფოებრივი არსებობა ფაქტიურად ორად გახლეჩილ ქვეყანაში, იძულებულნი ვიყავით გვეცნო ყაენის უზენაესობა და მძიმე ხარკი გვეხადა. XIII საუკუნეშიც (მონღოლები 1235 წ. მოვიდნენ), XIV- შიც ჩვენი დაუმორჩილებლობა ჩვენს გამუდმებულ აჯანყებებში და სამხედრო წინააღმდეგობაში გამოიხატა: 1245 წ. იყო კოხტასთავის შეთქმულება (ცოტნე დადიანი, ეგარსლან ბაკურციხელი, ვარამ გაგელი, ყვარყვარე ჯაყელი და სხვ.), 1259 წ. აჯანყდა მეფე დავით VI ნარინი, 1260 წ. — მეფე დავით VII ულუ, 1264 წლიდან დასავლეთი საქართველო მონღოლებს აღარ ემორჩილებოდა, 1289 წ. მეფე დემეტრე II მონაწილეობდა ანტიმონღოლურ შეთქმულებაში, 1297 წ. აჯანყდა აღმოსავლეთი საქართველო დავით VIII დემეტრეს ძის მეთაურობით — აჯანყება ხანგრძლივი იყო და მონღოლებმა არაერთხელ გამოგზავნეს ლაშქარი მის ჩასახშობად, საბოლოოდ გი-

ორგი V ბრწყინვალემ 1328 წ. დაასრულა მონღოლთა ბატონობა... მთავარი ისაა, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ქართველებს არც საქართველო დაუთმიათ, არც ქართველი მეფეები დაუკარგავთ, არც ტერიტორიები — მათ არ დაუკარგავთ არც იურიდიული, არც ფაქტობრივი სუვერენიტეტი...

კიდევ უფრო რელიეფურ, ფანტასტიკის ზღვართან მდგომ სურათს იძლევა თემურლენგთან ომის ცნობილი ისტორია. 1386 წ. სასტიკი ბრძოლის შემდეგ თემურლენგმა დაატყვევა მეფე ბაგრატ V, მერე ტახტი დაუმტკიცა მასვე, სამშობლოში დააბრუნა და თან თავისი მხედრობა გააყოლა, ბაგრატმა შეძლო დაკავშირებოდა თავის შვილს გიორგის, რომელმაც გაანადგურა მტერი და გაათავისუფლა მეფე. ამის შემდეგ იწყება გასაოცარი ამბავი ქართველთა დაუმორჩილებლობისა, პირველ რიგში — სულიერი დაუმორჩილებლობისა. 1387 წ. თემურლენგმა მეორედ ილაშქრა საქართველოზე ურიცხვი ჯარით, ბაგრატისა და გიორგის წინააღმდეგობა უსასტიკესი იყო, მტერი მაინც შემოვიდა საქართველოში, თუმცა ვითარებამ აიძულა ცოტა ხანში უკან გაბრუნებულიყო. 1394წ. ორი — მესამე და მეოთხე — ლაშქრობა განახორციელა და ისევ უკან გაბრუნდა. 1399 წ. თემურლენგი მეხუთედ მოადგა საქართველოს და ააოხრა განაპირა ჰერეთ-კახეთის მხარე. 1400 წ. თემურლენგმა მეექვსედ, ყველაზე სასტიკად, დაარბია ქვეყანა, გიორგი VII-სთან პრაქტიკულად მთელი საქართველოს ტერიტორიაზე უამრავი ბრძოლა გადაიხადა გაზაფხულ-ზაფხულის მანძილზე, დაანგრია სოფლები და ქალაქები, გაულიტა მოსახლეობა, ბოლოს ისევ უკან გაბრუნდა 60 000 ტყვით. მეფე და ქვეყანა არ დანებე-

ბულა.* 1401 წ. თემურლენგი მეშვიდედ მოვიდა საქართველოში, მხოლოდ ამ შემოსევის შემდეგ დათანხმდა გიორგი მეფე ზავს და ხარკის გადახდის პირობას — მხოლოდ ზავს და ხარკს და არა სუვერენობის დათმობას. 1403 წ.თემურლენგი მერვედ შემოიჭრა საქართველოში, მაინც ვერ გატეხა გიორგი VII-ის წინააღმდეგობა და საბოლოდ ისევ ზავი დაიდო ხარკის პირობით. ეს იყო სამხედრო გამარჯვებულის ზავი სულიერად და პოლიტიკურად გამარჯვებულ ერთან: ზავი იმას ნიშნავდა, რომ თემურლენგმა საბოლოოდ ცნო საქართველო როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა. იყოს მსხვერპლი და ზარალი — ოღონდ იყოს სუვერენიტეტი, ასეთი იყო მცირერიცხოვანი გამარჯვებული ერის იდეოლოგია.

აქ კიდევ ერთი ფორმულირებაა შემოსატანი: **სუვერენობის შენარჩუნების გზაზე საქართველო არავითარ მსხვერპლს არ ერიდებოდა — არც ადამიანურს, არც სხვას, მათ შორის პროგნოზირებად სამხედრო მარცხს, მათ შორის ტერიტორიის დაკარგვას;** ერთიც და მეორეც დიდ სახელმწიფოებთან, იმპერიებთან, პატარა ქვეყნების ურთიერთობაში ხშირად გარდაუვალია. თუ უკან დავბრუნდებით ქრონოლოგიაში, XI ს-ში ამას მშვენივრად ხედავდა გიორგი I. მან, კერძოდ, დროულად იგრძნო, რომ, თუ სუვერენული და დაუმორჩილებელი არ იქნებოდა, ბასილი II საქართველოს ბიზანტიის პროვინციად გახდიდა. ომი, რომელიც გიორგი I-მა გადაწყვიტა (ერთი შეხედვით, ქართული ტერიტორიისათვის), სამხედრო თვალსაზრისით უპერსპექ-

---

* გიორგი მეფის ამაყი პოზიცია, გამოხატული მის პასუხში თემურლენგის მოთხოვნაზე, დამორჩილებოდა: «ესე უწყოდე, რამეთუ მე მეფობასა არა უმცირეს ვარ, არცა უდარეს. არა უწყია, რამეთუ ძირთაგან დავით წინასწარმეტყველისათა ვართ?»

ტივო იყო. მაგრამ მთავარი სხვა ამოცანა იყო — სრული და რეალური დამოუკიდებლობის გზაზე დგომა და აგრესორისთვის ერთხელ და სამუდამოდ იმის დემონსტრირება, რომ ქართველები ყველაფერს დათმობენ სუვერენობის გარდა. რეალურად საკითხი ასე იდგა: ან ომი ბიზანტიასთან, ან საქართველოს დარჩენა პროვინციად. ამ ასპექტში უკვე აღარ ჰქონდა მნიშვნელობა მსხვერპლს — იმას, რომ სამხედრო მარცხის შემთხვევაში დაიკარგებოდა ტერიტორია. ბასიანით თუ უბასიანოდ, მაგრამ ყველა შემთხვევაში უბიზანტიოდ, ე.ი. სუვერენულად...

საქართველო, როგორც დამოუკიდებელი საერთაშორისო სუბიექტი, ჩვენი ძნელბედობის შედარებით ახალ ეტაპებზეც ცხადად ჩანს...

•

მკითხველისთვის ნათელია, რომ მე სრულიად შეგნებულად ყურადღებას ძირითადად ვამახვილებ ჩვენი ისტორიის სწორედ მძიმე პერიოდებზე. თორემ საქართველოს ისტორიაში ძლიერების ბევრი ბრწყინვალე ეპოქაა. დავით აღმაშენებლის დროს (XI-XII ს.), მაგალითად, ჩვენ უძლიერესი სახელმწიფოც ვიყავით და ფაქტიურად უძლიერესი იმპერიაც (რომლის სპეციფიკის შესახებ — ქვემოთ, სხვა ადგილას). მაშინ ჩვენ შევძელით დაგვემარცხებინა კოალიციური ლაშქარი, რომელსაც მეთაურობდა მეზობელი მუსლიმური სამყაროს ფაქტიურად ყველა დიდი ლიდერი (ნაჯმ ად-დინ ილღაზი, სულტანი ტოღრული, დუბაის იბნ სადაკა, ტუღან არსლან ალ-აჰდაბი და სხვ.) და რომელიც თითქმის ათჯერ აღემატებოდა ჩვენს ჯარს, — ეს არა ქართული, არამედ ფრანგული და სომხური ცნობებია. შედეგად, ბოლო მოეღო

თურქ-სელჩუკთა ბატონობას მცირე აზიასა და კავკასიაში, და საქართველო გახდა სახელმწიფო, რომელიც მთელ ცენტრალურ და სამხრეთ კავკასიას ფლობდა — ნიკოფსიიდან დარუბანდამდე, იყო პირველი რანგის პოლიტიკური მოთამაშე დიდ რეგიონში, ჰყავდა ვასალური ქვეყნები. უფრო გვიან, 1204 წელს, თამარ მეფემ დიდი საქართველოს სამხრეთით, შავი ზღვის სანაპიროზე, ბიზანტიის იმპერიის ყოფილ ტერიტორიაზე, რომელიც ქართველთა, კერძოდ ჭანთა, სამკვიდრო იყო, შექმნა მთელი სამეფო — ტრაპიზონის იმპერია, საქართველოსთან ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფი, და იმპერატორად კომნენოსთა წარმომადგენელი დასვა, თავისი ნათესავი. (ეს მხოლოდ ორი მაგალითია, იყო სხვა შემთხვევებიც და სხვა პერიოდებიც; ქართველები, მაგალითად, ბიზანტიის იმპერიის საშინაო საქმეების მოგვარებაშიც იყვნენ ჩართულნი: 979 წელს, როდესაც ბასილი მეორეს ბარდა სკლიაროსი აუჯანყდა, დავით III კურაპალატი თავისი 12-ათასიანი ჯარით და თავისი სარდლით, იოანე-თორნიკეთი, დაეხმარა ბიზანტიას სტაბილურობის აღდგენაში)...

მე ასევე კონკრეტულად არ ვეხები კიდევ ერთ თემას. ეს არის ის მაღალი კულტურა, რომელიც ათასწლეულთა მანძილზე შეიქმნა საქართველოში, — აბსოლუტურად თვითმყოფადი კულტურა, რომელსაც შეხების წერტილები ჰქონდა დასავლეთთანაც და აღმოსავლეთთანაც. ასევე არ ვეხები კიდევ ერთ დიდ თემას — 17 საუკუნის წინ საქართველოს ოფიციალურ ქრისტიანიზაციას (ქრისტიანული თემები ქართლში გაცილებით უფრო ადრეც არსებობდა), რამაც ქვეყნის კულტურული სახე ფუნდამენტურად გარდაქმნა. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ კულტურა სუვერენობის ერთ-ერთი ნიშანია — ქართული კულტურა ქართული სუვერენობის ერთ-ერთი

ნიშანია. სხვადასხვა სახით გამოვლენილი (დამწერლობის დამოუკიდებელი სისტემა, მისი სამი — მრგვლოვანი, ნუსხური თუ მხედრული — სახეობებით; ეპიგრაფიკული ძეგლები თუ არქიტექტურა; ფრესკები თუ ოქროჭედურობა; ორიგინალური თუ თარგმნითი მწერლობა; თეოლოგია თუ ფილოსოფია; ისტორიოგრაფია თუ მეცნიერება; ცეკვა თუ მუსიკა — უნიკალური პოლიფონია; ტანსაცმელი თუ სამზარეულო; საგანმანათლებლო ცენტრები, ჩვენში თუ ჩვენს მიერ უცხოეთში — იერუსალიმში, ათონზე და სხვაგან — შექმნილი...), ეს კულტურა მწყობრად დღემდეა შემორჩენილი სხვადასხვა ძეგლით მეოთხე-მეხუთე საუკუნეებიდან (შემორჩენილია უფრო ძველიც, მაგალითად, ჩვ. წელთაღრიცხვამდელი მონეტები თუ ეპიგრაფები). **ასეთ პროდუქციას მხოლოდ სუვერენული ერი ქმნის. სხვათა შორის, ქმნის გარკვეულ ტერიტორიაზე, რომელიც მისი საკუთარი ტერიტორიაა, — ეს, კერძოდ, მისი შემოქმედების სივრცეა.** მატერიალური კულტურის ძეგლები, ყველაფერთან ერთად, ზუსტად შემოსაზღვრავენ ამ ტერიტორიას: მაგალითად, ქვაზე თუ ნაგებობაზე წარწერები (ან ოფიციალური დოკუმენტები თუ ქრონიკები) საქართველოში მხოლოდ ქართულ ენაზე არსებობს (და კიდევ, გასაგებია, იმ **უცხო** ხალხების ენებზე, რომელთაც შეხება ჰქონდათ **საქართველოსთან** — არამეულზე, ებრაულზე, ბერძნულზე, არაბულზე...). სხვაენოვანი არ არსებობს (მათ შორის, ბუნებრივია, საქართველოს იმ ნაწილში, რომელსაც ქართულად აფხაზეთი ჰქვია,*

* მაგალითად, ქართული წარწერები ბიჭვინთის, ბედიის, წებელდის, ბესლეთის, ილორის და ა.შ. ძეგლებზე. ის, რომ დღეს, XXI საუკუნეში(!), ამ ძეგლებს გარეშე ძალები გადაღებავენ და წარწერებს ამოტეხენ, ისტორიულ რეალობას არ ცვლის და ვერც შეცვლის.

და რომელიც — როგორი პოლიტიკური მითებიც უნდა შეიქმნას — ყოველთვის საქართველო იყო: ან ერთიანი ქვეყნის ორგანული ნაწილი, ან ცალკე ქართული ერთეული, მთლიანად ქართული მოდგმით, ან მინიმუმ მისი აბსოლუტური დომინანტობით წარმოდგენილი). ამ ტერიტორიაზე (ბზიფიდან მოყოლებული აზერბაიჯანისა და სომხეთის საზღვრებამდე*) **ჩვენ ვიყავით მკვიდრი ერი და ჩვენ ვქმნიდით სახელმწიფოებრიობასაც და კულტურასაც.** სხვა ასეთი მკვიდრი

---

* ქართული ტერიტორია ნიკოფსიამდე (ტუაფსე) აღწევდა დავით აღმაშენებლის დრომდე გაცილებით ადრე — ადრეანტიკური ხანებიდან (შავიზღვისპირეთის ჩრდილოდასავლეთში, კერძოდ, სახლობდნენ ჰენიოხები — სვანური და მეგრულ-ლაზური ტომები, მათ ქვემოთ კოლხები და კორაქსები ცხოვრობდნენ; ჰენიოხებს ზემოთ ჩერქეზული ტომები ემეზობლებოდნენ კერკეტების და სხვათა სახით; რაზეც ძვ. წ. V-I და ახ. წ. პირველი საუკუნეების ბერძენი და რომაელი ავტორები მიუთითებენ — ჰელანიკე მიტილენელი, ფსევდოსკილაკე კარიანდელი, არტემიდორე ეფესელი, სტრაბონი, პლინიუს უფროსი და სხვ. იხ. *მ. ინაძე*, აფხაზეთის ძველი მოსახლეობა, — მნათობი, №2, 1992; *თ. ყაუხჩიშვილი*, სტრაბონის გეოგრაფია, თბილისი, 1957, და სხვ.). ნიკოფსია იყო ეგრისის სამეფოს საზღვარიც. «აფხაზეთი ისეთივე საქართველო იყო და აფხაზი ისეთივე ქართველი იყო, როგორც ეგრისი და მეგრელი, როგორც ჰერეთი და ჰერი, როგორც ქართლი და ქართლელი (*ნ. ბერძენიშვილი*). აფსილ/აფსუურ-ადიღეურ-ჩერქეზული ელემენტები აფხაზეთში დროთა განმავლობაში შემოდიოდნენ, განსაკუთრებით — XVII ს-დან (შეერივნენ, შემდეგ დაირქვეს/დაარქვეს ქართული ეთნონიმი — აფხაზი). ისინი განვითარებით სრულიად განსხვავდებოდნენ იმ აფხაზებისგან — ქართველებისგან, — რომლებიც მათ დახვდნენ. *ჯოვანი ჯულიანო და ლუკა*, რომელმაც XVII ს-ში იმოგზაურა რეგიონში: «მათ არ აქვთ არავითარი დაწერილი კანონები და დამწერლობის გამოყენებაც არ იციან» (იხ. *ი. ტაბაღუა*, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, თბილისი, 1987; იხ. აგრეთვე *ე. მამისთვალიშვილი*, ოდიშის ისტორიიდან, — თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, 310, 1992). უფრო მეტიც, ახალმოსახლეები გარკვეულწილად უპირისპირდებიან აბორიგენებს — ქრისტიანული კულტურისა და მენტალობის მატარებლებს, რიგ შემთხვევაში უქმდება საეპისკოპოსოები და ა. შ.

ერი, რომელსაც იგივე შეეძლო, აქ არ არსებობდა; სხვა მხოლოდ ან ჩვენს გვერდით იყო წარმოდგენილი მცირე ტომის სახით და მთლიანად ჩვენთან ინტეგრირდებოდა, ან მერე სახლდებოდა მცირე ეთნოსის სახით და არათუ სახელმწიფოებრიობას ვერ განავითარებდა (ჩვენს ტერიტორიაზე, სახელმწიფოებრიობაგანვითარებულზე), არამედ ანბანსაც მხოლოდ XIX და XX საუკუნეებში ქმნიდა სხვათა დახმარებით (ასეთი მცირერიცხოვანი მოსახლეობის და დასახლებების არსებობა ჩვენთვის სრულიად ბუნებრივი იყო, ჩვენ ამიტომ გვეძახიან, პირობითად, მრავალეროვან ქვეყანას — ესეც ჩვენი მაღალი კულტურის გამოხატულებაა).

კიდევ ერთხელ უნდა გავიმეოროთ: ქართული კულტურა, ერთი მხრივ, ჩვენი სუვერენობის ნიშანია, მეორე მხრივ, ჩვენი სახელმწიფოებრივ-კულტურული არსებობის გეოგრაფიული არეალის ზუსტი განმსაზღვრელი. აქ — ესეც კიდევ ერთხელ გავიმეოროთ — სხვა კულტურა არ შექმნილა, რაც (ისტორიული ფაქტოლოგიის გვერდით) ელემენტარული გამოხატულებაა იმისა, რომ ამ ტერიტორიაზე არავითარი სხვა, არაქართული, ისეთი ერთეული — სამეფო თუ სამთავრო თუ კულტურულად ავტონომიური საზოგადოება — არ არსებობდა, რომელსაც შეეძლო თავისი ფუნქციონირების დამადასტურებელი ერთი მოწმობა მაინც დაეტოვებინა (კულტურის ძეგლებს აღარ ვგულისხმობ, ლაპარაკია თუნდაც უბრალო კანცელარიულ დოკუმენტზე, ქაღალდზე თუ ქვაზე აღბეჭდილზე, — ასეთი დოკუმენტიც არ არსებობს; მეორე მხრივ, ისტორიაში არ არსებობს ან არ არსებულა თუნდაც მცირე დროის განმავლობაში სახელმწიფოებრიობის მქონე ერი, რომელსაც ასეთი დამადასტურებელი დოკუ-

მენტი არ შეექმნას და არ დაეტოვებინოს შთამომავლობისთვის, მათ შორის ანალიტიკოსებისთვის).

ქართული კულტურა სუვერენულია და ასეთად აქვს თავისთვის განკუთვნილი ადგილი გლობალურ კულტურასა და ისტორიაში. ასეთი ადგილი იმ ერებს განეკუთვნებათ, რომელთაც სუვერენული სახელმწიფოებრიობა განავითარეს, რაც იმასაც ნიშნავს, რომ ისინი არსებობდნენ არა მარტო პოლიტიკურად (იბრძოდნენ, იგერიებდნენ, თავს ინახავდნენ), არამედ შემოქმედებითად, კერძოდ აზროვნებდნენ და ჰქონდათ გარემო სინამდვილის, თუ ისტორიული წარსულის, თუ კოსმიური მოვლენების საკუთარი აღქმა. ქართველებს, მაგალითად, თავიანთი საკუთარი წარმოდგენისა და ანალიზის საფუძველზე, გააზრებული ჰქონდათ საკუთარი ერა ანუ წელთაღრიცხვის სისტემა, რომლის მიხედვით სამყაროს შექმნიდან ქრისტეს შობამდე 5604 წელია გასული (და არა 5508, როგორც ეს ბერძნულ სისტემაშია)...

•

ჩვენი ძნელბედობის შედარებით ახალი ეტაპები კი, ეს არის მდგომარეობა ერთიანი საქართველოს შემდეგ (ალექსანდრე I დიდის შემდეგ, XV ს. ბოლო) — რამდენიმე პოლიტიკურ ერთეულად დაშლილი, მაგრამ ერთიანი ცნობიერებით, ერთ ოჯახად არსებული საქართველოს პირობებში.

ერთიანი საქართველო, გრძელი ისტორიული მონაკვეთების მანძილზე, იქმნებოდა როგორც ქართული ტომებისა და მიწების ბუნებრივი ერთიანობა, როდესაც ყოველთვის, მათ შორის — იმთავითვე, არსებობდა ერთიანობის შინაგანი მოთხოვნილება.

ეს მართლაც ასეა, და ერთიანი საქართველო არა უბრალოდ არჩევანის (მით უმეტეს — მექანიკური გაერთიანებების ან დაპყრობების), არამედ ამ შინაგანი მოთხოვნილების დაკმაყოფილების შედეგია, შინაგანი მთლიანობის მატერიალური გამოხატვაა. მაგრამ ამ შემთხვევაშიც ისმის კითხვა: ამ იმანენტური სურვილის რეალიზაციისას რა კონკრეტული პრიორიტეტული მიზანი ამოძრავებდა ქართველობას, მაგალითად — IX-X საუკუნეებში? პასუხი ცნობილია, რადგანაც იმ ეპოქისთვის უკიდურესად რეალური საშიშროება ექმნებოდა ქართულ სახელმწიფოებრიობას: მუსლიმური სამყაროდან მომართულ სამხედრო ესპედიციებს და მათგან გამომდინარე შედეგს — მოსახლეობის განადგურებასა და ეკონომიკის მოშლას — თან ერთვოდა ბიზანტიის მხრიდან ორგანიზებული პოლიტიკური და იდეოლოგიური აგრესია (რომელსაც არც სამხედრო ზეწოლა აკლდა), რისი საბოლოო მიზანი იყო ქართული სუვერენული სულის დათრგუნვა და ქართულ პოლიტიკურ ერთეულებში რეალიზებული ქართული სუვერენული სახელმწიფოებრიობის მოსპობა; ამ ვითარებას ქართულმა პოლიტიკურმა აზრმა (პოლიტიკური აზრი ყოველთვის ქართული იყო, რა ვითარებაშიც უნდა ყოფილიყო ქვეყანა) ერთადერთი სწორი გზა დაუპირისპირა — სახელმწიფოებრიობის მქონე ქართული ერთეულების (საბოლოოდ, ქართული მოდგმის) კვლავ გაერთიანება ერთიანი ქართული სახელმწიფოს შიგნით. მაგრამ ეს იმას ნიშნავს, რომ **გაერთიანების მთავარი მიზანი სუვერენობაზე ზრუნვა იყო — იმ პირობებში, როდესაც ცალ-ცალკე არსებობა სუვერენობას უქმნდა საფრთხეს.**

ამ ასპექტში, ვხედავთ რა უფრო გვიან, XV ს-ის შემდეგ, ისევ დანაწევრებულ ქვეყანას და ვიცით რა, რომ ეს მდგომა-

რეობა ძირითადად გარე ფაქტორის წარმონაქმნია, — ჩვენ მაინც (როგორ პარადოქსულადაც უნდა მოგვეჩვენოს) ასეთი დასკვნა უნდა გავაკეთოთ: **ჩვენი დაქუცმაცებული არსებობა ისევ და ისევ ემსახურებოდა ჩვენი ეროვნული და სახელმწიფოებრივი სუვერენობის შენარჩუნებაზე ზრუნვას.** ეს იყო გზა ცალ-ცალკე სუვერენული არსებობისა იმ პირობებში, როდესაც ერთად არსებობა, ჩვენი გარეშე მტრების გამოისობით, სუვერენობას უქმნიდა საფრთხეს; ამავე დროს: ეს იყო ცალ-ცალკე არსებობა საერთოქართული ცნობიერების შენარჩუნების პირობებში (ასეთი დასკვნის გაკეთებაში ხელი არ უნდა შეგვიშალოს შინაგანი დაპირისპირების ფაქტებმა — ეს ის კონკრეტიკაა, რომელიც ყოველთვის, როგორ მდგომარეობაშიც უნდა იყოს ქვეყანა, ბუნებრივი მოვლენაა), როდესაც ფორმალური ერთიანობა მოსალოდნელი რეალობაა, ლატენტური მოვლენა, მოცემულ მომენტში ვერგანხორციელებული მხოლოდ იმის გამო, რომ ამის საშუალებას არ იძლეოდა ზოგიერთი საშინაო და, რაც გადამწყვეტია, გადაულახავი გარეშე დამაბრკოლებელი ფაქტორი. ამაზე ცხადად მიუთითებს დაშლილი საქართველოს არსებობის, ერთი შეხედვით, უცნაური ფორმა, რასაც ასევე უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება: მხოლოდ ქართლ-კახეთს (ჯერ — ცალ-ცალკე ქართლსა და კახეთს) და იმერეთს ჰქონდათ სამეფოს სტატუსი, ყველას სხვას — სამთავროსი. რატომ? იმიტომ, რომ ქართლ-კახეთისა და იმერეთის ლიდერები იყვნენ ბაგრატიონები. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დაშლილმა საქართველომ შეინარჩუნა — არა უბრალოდ ბაგრატიონთა დინასტიის, არამედ — ბაგრატიონთა მეთაურობით შექმნილი ერთიანი სუვერენული საქართველოს ერთგულება. უფრო მეტიც, მან რაღაც ფორმით შეინარჩუნა ერთიანი ქვეყა-

ნა; ამისათვის გახლეჩილმა საქართველომ შექმნა — ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ — სახელმწიფოებრიობის მქონე თავისი პოლიტიკური ერთეულების იერარქია: ის, რასაც ბაგრატიონები არ მართავდნენ (სამთავროები), იერარქიულად უდრო დაბალ საფეხურზე იყო დაყენებული, ვიდრე ის, რასაც მართავდნენ ბაგრატიონები (სამეფოები), რომელთა მეფობით შენდებოდა და არსებობდა ახალი საქართველო (იხ. *ა. სილაგაძე*, «ეროვნული ცოცხალი ორგანიზმი», თბილისი, 2000).*

ყველაფერი, რაც ზემოთ ითქვა, იმაზე მიუთითებს, რომ იმ დროს ქართველები ფაქტიურად ერთ ოჯახად ცხოვრობდნენ ერთიანი ქართული ცნობიერებით, მაგრამ ფორმალურად — რამდენიმე პოლიტიკური ერთეულის სახით. ქართველებმა დროებით დათმეს (იძულებულნი იყვნენ) ერთიანობა, მაგრამ იგი ყოველთვის უნდოდათ (რაზეც სამეფო-სამთავროების მათ მიერ შექმნილი იერარქია მიუთითებს). რაც მთავარია, ერთიანობა მხოლოდ იმიტომ დათმეს, რომ შეენარჩუნებინათ სუვერენობა, — ხელსაყრელი მომენტის დადგომამდე მხოლოდ ცალ-ცალკე ერთეულების სახით არსებობა (ფორმალური) იძლეოდა საშუალებას სახელმწიფოებრიობის, მისი ატრიბუტების შენარჩუნებისათვის (ხელსაყრელ მომენტზე მსჯელობა სრულიად რეალურია; მაგალითად, გი-

---

* გარდა ამისა — და ესეც საგულისხმოა — იმ ეტაპზე, კერძოდ XVIII ს-ში, ხედავდნენ რა, რომ გარეშე ძალები (სამი დიდი სახელმწიფო) საქართველოს გაერთიანებას გადაჭრით (მათ შორის, იარაღითაც) წინ აღუდგებოდნენ, ქართველმა პოლიტიკოსებმა, სხვადასხვა კუთხის ლიდერებმა (ერეკლე II, სოლომონ II, გრიგოლ დადიანი, სიმონ გურიელი), ერეკლეს ინიციატივით შექმნეს ივერიელთა ერთობის ტრაქტატი — ოთხი დოკუმენტი, რომელიც ფაქტიურად აერთიანებდა ქართულ სამეფოებსა და სამთავროებს, ყოველ შემთხვევაში გარედან მუქარის წინაშე.

ორგი სააკაძის მეცადინეობა საქართველოს — თავდაპირველად ქართლ-კახეთ-იმერეთის — კვლავ გაერთიანებისთვის იმ დროისათვის განსახორციელებლად ნაადრევი იყო).

თუკი ისევ გავიხსენებთ იმას, თუ რა მიზანს ითვალისწინებდა ქართული პოლიტიკური აზრი, როდესაც ქვეყნის ხელახალი გაერთიანება განახორციელა X ს-ში, ასეთი დასკვნა უნდა გავაკეთოთ: **ჩვენ ვერთიანდებოდით ჩვენი სუვერენული არსებობისთვის, ჩვენ დაქუცმაცებულად ვცხოვრობდით ჩვენი სუვერენული არსებობისთვის; ჩვენთვის გაერთიანებაც სუვერენიტეტის ფორმა იყო და დაშლილ მდგომარეობაში ყოფნაც. პრიორიტეტული მიზანი ჩვენთვის ყოველთვის სუვერენობა იყო.**

•

რაც შეეხება მდგომარეობას დაშლის შემდეგ, იგი მართლაც უმძიმესი იყო. 1555 წ. ამასიის საზავო ხელშეკრულებით, ოსმალეთმა და ირანმა დაინაწილეს გავლენის სფეროები: დასავლეთი საქართველო ოსმალეთის ქვეშევრდომობაში ექცეოდა, აღმოსავლეთი — ირანისაში. მაგრამ სულ მალე გაირკვა, რომ ფაქტიურად ეს საქმის ფორმალური მხარე იყო. ჯერ ერთი, ოსმალეთმაც და ირანმაც ჩვენი სახით სუვერენული ერი დაინახეს: ჩვენგან განსხვავებით, ჩვენს მეზობელ სომხურ და აზერბაიჯანულ ტერიტორიებს, ისევე როგორც სამ ფაშალიქად დაყოფილ ერაყს, მათ არავითარი სუვერენიტეტი არ დაუტოვეს და თავიანთ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ სტრუქტურაში შეიყვანეს, ირანმა — სახანოების, ოსმალეთმა — საფაშოების სახით (ჩვენგან ასეთი ბედი მხოლოდ სამცხე-ჯავახეთს, აჭარას და საინგილოს ხვდა, ოღონდ ამ შემთხვევაშიც საგულისხმო დეტალი — აქ ხშირად

ფაშები და სანჯაყ-ბეგები ადგილობრივი ქართველები იყვნენ, განსხვავებით იმავე მეზობელი ტერიტორიებისგან). მეორეც, ქართველებმა არ ცნეს ამასიის ხელშეკრულება და ხანგრძლივი წინააღმდეგობის ფრონტი გაშალეს. **საქართველო ინარჩუნებდა ეროვნულ სუვერენიტეტს**. საბოლოოდ, ირანიც და ოსმალეთიც იძულებული შეიქნა ხელი აეღო ქართული მხარეების სრული ინკორპორაციისგან, და იმ, ჩვენთვის პრაქტიკულად უიმედო, ვითარებაში, ჩვენ ვხედავთ (თითქოს, რეალიების საწინააღმდეგოდ), რომ ქართველობას შენარჩუნებული აქვს ავტონომიურობა: საკუთარი ჯარი, საკუთარი ფული, საკუთარი მეფე-მთავრები. არსებობდნენ და თავიანთ ფუნქციას განახორციელებდნენ ქართული სამეფოები და სამთავროები, როგორც დამოუკიდებელი **ქართული** პოლიტიკური ერთეულები: ქართლ-კახეთი (ქართლი, კახეთი), იმერეთი, სამეგრელო, გურია, აფხაზეთი. უფრო მეტიც, იქმნება შთაბეჭდილება, რომ სუზერენები ხშირად ხელს უწყობდნენ მათ არსებობას (რა თქმა უნდა, ყოველთვის მოცემული მომენტის სპეციფიკიდან და საკუთარი პოლიტიკური თუ დიპლომატიური მოთხოვნილებებიდან გამომდინარე), იწვევდნენ ქართველ ლიდერებს თავიანთ ომებში, ანდობდნენ ომების წარმართვას და ა. შ. საბოლოოდ, ყველაფერი ეს იმას ნიშნავს, რომ მათ აღიარეს ქართველობა როგორც არდამორჩილებული ერი, მათ ipso facto ცნეს დანაწევრებული საქართველო როგორც დაუძლეველი სახელმწიფოებრივი ერთეული (რომელიც არ თმობს სუვერენობას), და პრაქტიკულად დასჯერდნენ იმას, რომ რეგიონში თავიანი პოლიტიკური ინტერესები განეხორციელებინათ, გამოეყენებინათ ორ სფეროდ დაყოფილი ქვეყანა როგორც

მოკავშირე ძალა და უზრუნველეყოთ ქართველი მეფე-მთავრების ვასალური ერთგულება.

მეორე მხრივ, ქართველობა, შეინარჩუნა რა საკუთარი სუვერენობის გარკვეული ფორმა, ყოველთვის შეახსენებდა მეტროპოლიას, ერთსაც და მეორესაც, რომ ეს არის მინიმუმი, ხოლო მაქსიმუმს — დიქტატის სრული უკუგდების და უცხო ძალების საბოლოოდ მოშორების ამოცანას — იგი არასოდეს ივიწყებს. ამაზე მეტყველებს აჯანყებები, სამხედრო დაპირისპირებები, რომელთაგან ბევრი წარმატებული იყო ქართველთათვის; მაგალითად, 1747 წლის, როდესაც აბდულაბეგის (ვახტანგ VI-ის ძმიშვილის) ამბოხის დროს მათ დაამარცხეს ირანელები და შემდეგ თბილისის დეოკუპაცია მოახდინეს — ირანელთა გარნიზონს სამუდამოდ დაატოვებინეს თბილისი. უფრო ადრე, 1625 წ., ქართველებმა ირანს გამანადგურებელი სამხედრო დარტყმები მიაყენეს. ეს, გარკვეული თვალსაზრისით, ჩვენი ისტორიის აღსაქმელად საინტერესო ეპიზოდია, რადგანაც წარმოადგენს ერთ-ერთ კარგ ილუსტრაციას შემდეგისა: **ქართველებს შეეძლოთ მხოლოდ რაღაც ზღვრამდე მოეთმინათ გარეშე ძალა და დაეშვათ მისი არსებობა; თუ ამ ზღვარის გადაცილება ნიშნავდა, ჯერ ერთი, სუვერენული ერის სტატუსისთვის საფრთხეს, მეორეც, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის თუნდაც არასრული სტატუსისთვის საფრთხეს, მაშინ ისინი status quo-ს (დროებითის) დამრღვევთა მიმართ, ძალთა როგორი უთანაბრობაც უნდა ყოფილიყო, რადიკალურნი იყვნენ.** ასეთი არჩევანი დროდადრო ბუნებრივად მოაქვს იმ მდგომარეობას, რომელშიც ჩვენ მაშინ ვიყავით, კერძოდ — მდგომარეობას, როდესაც ქვეყანას ვასალური სტატუსი

აქვს, ხოლო სუზერენი ეძებს შესაძლებლობას თავისი იერარქიულად უფრო მაღალი მიზნის განსახორციელებლად.

ამ არჩევანის წინაშე ჩვენ XVII ს-მდეც ვყოფილვართ და XVII ს-ის შემდეგაც. რაც შეეხება XVII-ეს, სეფიანთა ირანმა ჩვენი განადგურების პირდაპირი გზა აირჩია: მას შემდეგ, რაც მისთვის ცხადი შეიქნა, რომ ვერ შეძლო თავისი პოლიტიკური გავლენის სფეროში, აღმოსავლეთ საქართველოში, ქართველთა სუვერენული სულის დათრგუნვა, ვერ გადააქცია ქართლი და კახეთი ირანის ტიპიურ ადმინისტრაციულ პროვინციებად, ვერ ააღებინა ხელი ქართველებს დამოუკიდებლობასა და თვითმყოფადობაზე ზრუნვაზე, — შაჰ აბას I-მა მოსახლეობის გაჟლეტა, დარჩენილთა სპარსეთში გადაყვანა და, საბოლოოდ, მარტო ტერიტორიის დატოვება გადაწყვიტა, რომელიც შემდეგში სპარსულ ტერიტორიად გარდაიქმნებოდა.

ჩვენს ისტორიაში ტიპოლოგიურად ეს ისეთი მომენტი იყო, რომელსაც, საერთოდ, შეიძლება გადამწყვეტი დაერქვას, და რომელიც გადამწყვეტ მოქმედებას, კერძოდ სამხედრო მოქმედებას, მოითხოვს. მცირერიცხოვან ერებს (თუ ისინი სუვერენულნი არიან) და მათ პატარა ქვეყნებს დამოუკიდებლობის გზაზე პრაქტიკულად განუწყვეტლივ უხდებათ მოქმედებები დიდი აგრესორების წინააღმდეგ, რომელთა მოქმედებები ასევე განუწყვეტელია; ასეთი პროცესის სპეციფიკა ისაა, რომ მასში წარმოიშობა ისეთი მდგომარეობა, რომელიც სწორედ გადამწყვეტ ბრძოლას, ომს მოითხოვს, — მის გარეშე ეროვნული კატასტროფა წარმოიქმნება; შეიძლება ითქვას ასეც: ასეთ დროს პატარა ერს პრაქტიკულად ერთი — გადამწყვეტი — ბრძოლის უფლება ენიჭება (იხ. *ა. სილაგაძე, ვ. გურული*, ბერი გიორგი და მეფე გიორგი, თბილი-

სი, 1997). როგორც ჩანს, ჩვენი წინაპრები ზუსტად განსაზღვრავდნენ ამ აუცილებლობას და იმ გადამწყვეტ — ერთადერთ — ბრძოლას აცხადებდნენ.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ ასეთ მოქმედებებს ჩვენს სინამდვილეში კიდევ ერთი სპეციფიკა ახლდა: ამ დროს მთავარი იყო არა პირდაპირი სამხედრო წარმატება — ის შეიძლება არც მოსულიყო, არამედ ისეთი პრინციპული გამარჯვება, რომელიც კიდევ ერთხელ და მოცემულ ეტაპზე საბოლოოდ შეაგნებინებდა კონკრეტულ მოწინააღმდეგეს, რომ აბსოლუტურად უპერსპექტივოა დაისახო ამოცანად, ხელი აეღებინო ქართველობას სუვერენული ერისა და ავტონომიური ქვეყნის სტატუსზე. ასეთი გამარჯვების ამოცანა ისტორიამ ჩვენს წინაშე არაეთხელ დააყენა. XI ს-ში ამგვარი ბრძოლის ტიპიური ნიმუში იყო გიორგი I-ის მოქმედება ბასილი კეისრის წინააღმდეგ, XVII ს-ში — გიორგი სააკაძის ომი შაჰ აბასის წინააღმდეგ.

მარტყოფის ბრძოლა (1625 წ.) არ იყო ჩვეულებრივი, მორიგი ბრძოლა ოკუპანტთან, ეს იყო მოცემულ ეტაპზე გადამწყვეტი ბრძოლა, რის გამოც სპონტანური აქ არაფერი ყოფილა — ამ ომისთვის რამდენიმე წლის განმავლობაში ემზადებოდნენ (ციხე-სიმაგრეების გამაგრება, პოლიტიკური მოლაპარაკებები ქართლშიც და იმერეთშიც...). ქართველებმა მაშინ გაანადგურეს მოწინააღმდეგის არმია — მოსპეს 30 000-მდე მეომარი; იმავე წელს მარაბდის ბრძოლა (რომელშიც ჯარის წინამძღოლობა სააკაძეს არ ანდეს) ქართველებმა დათმეს, მაგრამ გაწყვიტეს 14 000 მოწინააღმდეგე; შემდეგ პარტიზანული ომი გააჩაღეს და ერთ-ერთ შეტაკებაში, მაგალითად, მთლიანად მოსპეს მოწინააღმდეგის არმია — 12 000 მეომარი. მაგრამ ყველაფერ ამის შედეგი მხოლოდ სამ-

ხედრო წარმატება არ იყო (თუნდაც ისეთი, როდესაც უძლიერესი ოპონენტის — იმპერიის — შეიარაღებული ძალების ნახევარი მოისპობა), — მთავარი და ისტორიული ის იყო, რომ ამ ბრძოლებმა აიძულა ირანი ელიარებინა აღმოსავლეთი საქართველო — ორი ქართული პოლიტიკური ერთეული — ქვეშევრდომებად, მაგრამ სუვერენულ სამეფოებად.

კიდევ ერთი: ჩვენს ბრძოლებში ჩვენ, როგორც წესი, მტრის შეუდარებლად დიდი რაოდენობის სამხედრო ძალასთან, ხშირად რამდენიმე ფრონტზე, ზოგჯერ კოალიციურ შენაერთებთან, გვქონდა საქმე; ასევე როგორც წესი, ძალა, რომელთანაც გამკლავება გვიხდებოდა, იყო პროფესიული არმია. რაც შეგვეხება ჩვენ, მიუხედავად აზნაურთა ფენის არსებობისა, თუ რეალურად ვიმსჯელებთ, საქართველოს ფაქტიურად მხოლოდ ერთხელ, დავით აღმაშენებლის დროს, ჰყავდა რეგულარული ჯარი (ასევე კიდევ — 1918-21 წლების დამოუკიდებელი რესპუბლიკის დროს; ასევე, ნაწილობრივ — ერეკლე II-ის დროს); გარდა ამისა, თვითონ ეს ფენაც საქმისთვის ელემენტარულად საკმარისი არ იყო, თუ მხედველობაში მივიღებთ ჩვენს მცირერიცხოვნებას საერთოდ. ამიტომ ჩვენი მსხვერპლი ყოველთვის დიდი იყო და ყოველთვის მოიცავდა მშვიდობიან მოსახლეობასაც. ყველაფერი ეს იმას ნიშნავს, რომ **სუვერენობისთვის ყოველთვის იბრძოდა მთლიანად ერი**, დამოუკიდებლობას იგი არ თმობდა — რა ვითარებაშიც უნდა ყოფილიყო და როგორი ძნელიც უნდა ყოფილიყო ეს ბრძოლა. რაც შეეხება არსებობის სხვა ალტერნატივას, ამას იგი არასოდეს განიხილავდა. ყოველთვის რჩებოდა ცოცხალი სურვილი საკუთარი მე-ს ქონისა, ისევე როგორც ამ იდეის რეალიზების მოთხოვნილება. და ეს ფორმულირება ხაზგასასმელია: **საქართველო ყოველთვის იყო**

სუვერენული, რადგანაც იყო დამოუკიდებლობის იდეის — ერთადერთი იდეის — არცერთი წამით დამვიწყებელი, მისთვის კატეგორიულად მებრძოლი, არდამორჩილებული, ამ თვალსაზრისით მოქმედებაშეუზღუდავი, ე. ი. ავტონომიური ქვეყანა და ავტონომიური ერი.

ასეთად მოგვევლინა იგი დაშლის მდგომარეობაშიც — თუ კვლავ დავუბრუნდებით ისტორიას. საქართველო კვლავ დაუძლეველი და თვითმყოფადი ერის ქვეყანა იყო. განვითარებამ ისიც მოიტანა, რომ აღმოსავლეთი საქართველო — ქართლ-კახეთი — არა მარტო ძლიერ დამოუკიდებელ ქვეყნად გვევლინება, არამედ დომინირებელ ძალად მთელ ამიერდა, შეიძლება ითქვას, იმიერკავკასიაში, ხოლო ერთმა სომეხმა ნეგოციანტმა და საზოგადო მოღვაწემ (იოსებ ემინი) ამის გამო შეიმუშავა პროექტი, რომლის მიხედვითაც უნდა შექმნილიყო ქართველ-სომეხთა გაერთიანებული სამეფო და მეფობა ქართველ ბაგრატიონებს (იმ დროს — ერეკლე II) ეკისრებოდა (ქართული სახელმწიფოს მეშვეობით სომხური სახელმწიფოებრიობის რესტავრაციის იდეა საერთოდ იყო დამახასიათებელი შუა საუკუნეების სომხური პოლიტიკური აზროვნებისთვის, იხ. *С. Еремян*, Общность судеб и культурно-политическое содружество народов Закавказья в IX-XII в. – Кавказ и Византия, вып. I, Ереван, 1979). ერეკლე მეორე მმართველია ერევნის, განჯის, ყარაბაღის, ნახჭევანის, შუშის სახანოებისა (სხვათა შორის, ეს სახანოები ნადირ-შაჰის სიკვდილის შემდეგ თეიმურაზ მეორემ და ერეკლემ საკუთარი ინიციატივითა და ძალით დაუმორჩილეს თავიანთ გავლენას და არა ვისიმე წყალობით) — ესეც ქართველების დაუცხრომლობის შედეგია. ისევე როგორც ის, რომ ქართლ-კახეთი სამეფოა თავისი საკუთარი მეფით, ხოლო იქვე მეზობ-

ლად არსებულ ტერიტორიებს სახანოები ჰქვია და მათ ქართველი მეფე მართავს. ერეკლე მეფე გეორგიევსკის ტრაქტატის ინიციატივით გამოდის...

•

შევხედოთ ამ ფაქტს არა მხოლოდ ტრადიციული პოზიციიდან — რომ პატარა ქვეყანა მძლავრ სახელმწიფოებთან გამუდმებული სამხედრო დაპირისპირების შედეგად დასუსტებულია და ძლიერ მოკავშირეს / მფარველს ეძებს, არამედ იმ პოზიციიდან, რომ მოკავშირის ძებნა და მასთან სამოკავშირეო ხელშეკრულების იურიდიულად გაფორმება შეუძლია მხოლოდ დამოუკიდებელ ქვეყანას, სუვერენულ საერთაშორისო სუბიექტს. ეს სტატუსი საქართველომ დაშლილობის პერიოდში მტკიცედ შეინარჩუნა, ჩვენს ირგვლივ ბევრმა ქვეყანამ ვერ შეძლო ეს ოსმალეთისა და ირანის ზეწოლის პირობებში (ამავე დროს არც ის დავივიწყოთ, რომ ტრაქტატს უშუალოდ წინ უძღოდა თავგამოდებული მცდელობები სამხედრო გზით სუვერენობის დაცვისა, მათში ისეთი ინიციატივებიც იყო, როგორიცაა, მაგალითად, ერეკლე მეორის განზრახვა ყაბარდოელების მონაწილეობით შეექმნა რეგულარული ჯარი, — ეს მცდელობანიც, რუსეთის აქტიური მოქმედებით, ჩაიშალა). გეორგიევსკის ტრაქტატს (1783 წ. 24 ივლისი, ციხე გეორგიევსკი) ორივე მხარე აწერს ხელს (ერთი მხრივ — იოანე მუხრანბატონი და გარსევან ჭავჭავაძე, მეორე მხრივ — პ. პოტიომკინი). საერთოდ, მთელი ეს პროცესი საერთაშორისო სამართლისა და დიპლომატიის ყველა ნორმის დაცვით განხორციელდა: ტექსტების შეთანხმება, სპეციალური კომისიების წინასწარი მუშაობა და ა.შ.; ერეკლე მომდევნო, 1784, წელს ახდენს ხელშეკრულების რატიფიკა-

ციას და აღიარებს რუსეთის უზენაეს მფარველობას. ტრაქტატით, ორივე მხარე სამეფო კარზე ნიშნავდა თავის დიპლომატიურ წარმომადგენლებს. ქართლ-კახეთი ფაქტიურად ორ პუნქტში იზღუდავდა უფლებებს: ა) ტახტზე ასვლა ინვესტიტურას გულისხმობდა; ბ) საგარეო პოლიტიკის წარმართვისას მხოლოდ რუსული ორიენტაცია განხორციელდებოდა. თავის მხრივ, რუსეთი ვალდებულებას იღებდა დაეცვა მოკავშირის ინტერესები (სხვა თემაა, მაგრამ აქვე შევეხოთ: ტრაქტატის დადებისას ერეკლე ფაქტიურად ერთიანი — მთლიანი — საქართველოს პოზიციებიდან მოქმედებდა; კერძოდ, ტრაქტატში იყო პუნქტი იმის შესახებ, რომ რუსეთი იზრუნებდა საქართველოს აღდგენაზე მის ისტორიულ საზღვრებში). ამ კონტექსტში, შედარებისათვის, ყურადღება მივაქციოთ იმას, თუ როგორი ურთიერთობები ჰქონდა რუსეთს ამ დროს ამიერკავკასიის სხვა, არაქართულ, ტერიტორიებთან. ეს ტერიტორიები რუსეთმა უბრალოდ წაართვა კონკურენტს, სხვა ოკუპანტს; ამ ტერიტორიებთან მას არავითარი იურიდიული აქტი არ გაუფორმებია, ხელშეკრულებები ფორმდებოდა იმ სახელმწიფოსთან, რომელმაც დიდი ხანია წაართვა სუვერენობა ადგილობრივ ხალხს, — კერძოდ, ირანთან გულისტანის 1813 წ. და თურქმანჩაის 1828 წ. ხელშეკრულებები (სხვათა შორის, როდესაც 1801 წელს აღმ. საქართველო შეუერთდა რუსეთს, ავტომატურად შეუერთდა საქართველოს განმგებლობაში მყოფი სომხური მოსახლეობით დასახლებული ტერიტორიები — შამშადინი და ლორე-ბამბაკი).

რაც შეეხება ქართლ-კახეთს, იგი — მართალია რუსეთის მფარველობის ქვეშ — დამოუკიდებელ სამეფოდ რჩებოდა; სხვა საკითხია, რომ შემდგომში მოკავშირემ დაარღვია

პირობა. იგივე ვითარებაა სხვა ქართული პოლიტიკური ერთეულების შემთხვევაში. 1804 წ. სოლომონ მეორემ ხელი მოაწერა ე. წ. ელაზნაურის ტრაქტატს, რომლითაც მისი უფლებები იზღუდებოდა, მაგრამ რჩებოდა იმერეთის სამეფო როგორც ქართული სახელმწიფოებრივი ერთეული, შესული რუსეთის ქვეშევრდომობაში; 1810 წ. რუსეთმა დაარღვია პირობა და იმერეთის ოკუპაცია მოახდინა (უფრო ადრე, იმავე წელს, იმერეთი აჯანყდა — მას აღარ მოსწონდა სუვერენობის შეზღუდვა). 1803 წ. რუსეთთან ქვეშევრდომობის ხელშეკრულებას დებს სამეგრელოს სამთავრო — 1867 წ. რუსეთი იურიდიული აქტით აუქმებს სამთავროს. 1804 წ. გურიის სამთავრო შედის რუსეთის მფარველობაში (იმერეთის სამეფოსთან ერთად; უფრო გვიან, 1810 წ., რუსეთი მას დამოუკიდებლად უდებს მფარველობით ხელშეკრულებას) — 1828 წ. რუსეთი აუქმებს გურიის სამთავროს. 1810 წ. შედის აფხაზეთის სამთავრო — 1864 წ. რუსეთი აუქმებს სამთავროს. 1833 წ. შედის სვანეთი — 1859 წ. სვანეთის სამთავრო უქმდება. ყველა ქართული სამეფო და სამთავრო ამ პროცესში ინარჩუნებდა სუვერენული სამეფოსა და სამთავროს სტატუსს.*

რა კვალიფიკაცია შეიძლება მიეცეს იმ ფაქტს, რომ ქართველებმა გადაწყვიტეს რუსეთის მფარველობაში შესვლა და ეს იურიდიული აქტებით გააფორმეს? მხოლოდ ის, რომ ისინი, ჯერ ერთი, დამოუკიდებლობაზე ზრუნავდნენ,

---

* ამ ფაქტს კიდევ ერთი, სამომავლო მნიშვნელობის მქონე, მხარე ჰქონდა: სწორედ ყველაფერმა იმან, რაც ზემოთ ითქვა, მისცა 1918 წელს «საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის» ავტორებს მეორე დამატების მეშვიდე მუხლი ასე დაეწყოთ: «შეერთებული რუსეთთან საქართველოს მეფეთა მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებათა დადებით საქართველო, რომელიც არასოდეს არ ყოფილა რუსეთის იარაღის ძალით დაპყრობილი»...

მეორეც, მათ დამოუკიდებლობა არ დაუთმიათ. 1918 წ. «საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი», მეორე დამატება, პირველი მუხლი: »საქართველოს ნაწილებმა ბევრი ფიქრისა, ცდისა და ყოყმანის შემდეგ რუსეთთან დასდვეს მთელი რიგი პოლიტიკური ხელშეკრულობებისა, რომელთა შორის უპირველესი და უმთავრესი 1783 წ. ხელშეკრულობა იყო და რომლის ძალითაც აღმოსავლეთი საქართველო რუსეთის იმპერიის პროტექტორატში შედიოდა, სხვა ხელშეკრულობათა მიზანიც იგივე იყო — ავტონომია საქართველოს ქვეყნებისა შინაგან საქმეებში და რუსეთის პროტექტორატი მათ საგარეო განწყობილებებში; ხოლო ეს რეჟიმი, განმტკიცებული რუსეთის იმპერატორთა საჯარო დაპირებით, მეტათ ხანმოკლე იყო. რუსეთის იმპერიის ცალმხრივმა აქტებმა 1801 წლიდან 1861 წლამდე რუსეთთან საქართველოს შეერთებით საქართველოს ნაწილების ავტონომია, დამყარებული საერთაშორისო ხელშეკრულობაზედ, მოსპეს ისე, რომ პოლიტიკური ხელშეკრულებანი, დადებულნი რუსეთსა და საქართველოს ქვეყნებს შორის, ფორმალურად გაუქმებულნი არ იყვნენ» (დოკუმენტის ტექსტი იხ. *ა. სილაგაძე, ე. გურული,* საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1917-1918 წ., თბილისი, 1998).

ქართველებს დამოუკიდებლობა არ დაუთმიათ. პირიქით — მათთვის უმძიმეს ვითარებაში, დამოუკიდებლობის დაცვის მიზნით, მათ აირჩიეს ძლიერ და, რაც მთავარია, ერთმორწმუნე სახელმწიფოსთან მფარველობითი კავშირი იმ იმედით, რომ, შედეგად, განეიტრალდებოდა სხვა ქვეყნების დაუცხრომელი სურვილი ქართული სუვერენობის მოსპობისა. ის, რომ საბოლოოდ ჩვენ სხვა რამ მივიღეთ — ანექსია, მხოლოდ მფარველის მიერ პირობის დაღვევის შედეგი იყო.

მხოლოდ ასე მოხდა ის, რომ ჩვენს საზღვრებში მოწვეული ჯარი ერთმორწმუნე მოკავშირისა ერთ დილას (1801 წ. 12 სექტემბერი) თბილისში ოკუპანტად მოგვევლინა.*

---

* იმპერატორ პავლე I-ის მანიფესტი წაკითხულ იქნა რუსთა სამხედრო რაზმებით გარშემორტყმულ სიონის ტაძარში. 1801 წ. 12 სექტემბერს გამოქვეყნდა ალექსანდრე I-ის მანიფესტი და ქართლ-კახეთი რუსეთის გუბერნიად გადაიქცა (მთავარმართებელი — გენერალი კნორინგი). მთელ ამ ისტორიაში მთავარი ისაა, რომ რუსეთს დიდი ხანია ჰქონდა გადაწყვეტილი საქართველოს ანექსია და ამისათვის ემზადებოდა. აღა-მაჰმად-ხანთან 1795 წ. კრწანისის ომში (35 000 მეომარი — 5 000 ქართველის წინააღმდეგ) რუსეთმა არავითარი სამხედრო დახმარება არ გაუწია ერეკლეს, თუმცა 1783 წ. ტრაქტატით ეს პირდაპირ ევალებოდა. მაშინ საქართველომ უდიდესი ზარალი განიცადა: დაიწვა და გაიძარცვა თბილისი, განადგურდა იარაღის ქარხანა და არსენალი, ასევე — ახტალის ვერცხლის და სპილენძის ქარხანა, დარბეულ იქნა ქვეყანა გორამდე და ცხინვალამდე... შეიძლება, ყველაზე უფრო საგულისხმო ამ ისტორიაში ის არის, რომ მსოფლიოს დიდი ქვეყნები ამ მარცხს კმაყოფილებით შეხვდნენ; ეს ეხება არა მარტო კავკასიაში რუსეთის უშუალო კონკურენტს — ოსმალეთს (ერეკლეს უკვე ჰქონდა დადებული რუსეთთან სამოკავშირეო ხელშეკრულება), არამედ ევროპასაც, კერძოდ საფრანგეთს, რომელსაც (ისევე, როგორც ოსმალეთს), უფრო მეტიც, კვლავაც უნდოდა, რომ აღა-მაჰმად-ხანს ისევ დაელაშქრა საქართველო. უფრო გვიან, XIX ს-ის დამდეგს, ინგლისი აქეზებდა ირანს რუსეთის წინააღმდეგ ომისთვის, მაგრამ საქმე ისაა, რომ ასეთი ომი ამიერკავკასიაში, ჩვენს რეგიონში, განხორციელდებოდა, ასე მაგალითად, 1826 წ. რუსეთ-ირანის ომის მსვლელობაში ირანი საქართველოში შემოიჭრა და უშუალოდ დაემუქრა თბილისს.

ყველაფერი ეს ნიშანდობლივი იმითაა, რომ ასახავს იმ რეალობას, რომლის მიხედვითაც პატარა ქვეყნები დიდი (ზედიდი) ქვეყნების არა მარტო ინტერესთა შეჯახების მსხვერპლია, არამედ ამ დიდი ქვეყნების ომებიც ზოგჯერ პატარა ქვეყნების ტერიტორიაზე მიმდინარეობს; ზოგჯერ მიმდინარეობს გამოუცხადებლადაც, როდესაც დიდი ქვეყანა უშუალოდ ეომება პატარას, მაგრამ სინამდვილეში (შუალობით) ეს არის ერთი დიდი ქვეყნის ომი მეორე დიდთან. ეს არის სამწუხარო ისტორიული რეალობა, რომელსაც ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში ადგილი აქვს დღესაც, XXI საუკუნეში.

•

ასე დაიკარგა დამოუკიდებლობა — ფაქტიურად პირველად ჩვენს ისტორიაში. პირველად ჩვენს ისტორიაში დადგა ჩვენთვის თვისებრივად ახალი ეტაპი — საქართველო ინკორპორირებულ იქნა. დაიკარგა ლეგიტიმური სამეფო დინასტია, საეკლესიო ავტოკეფალია, ჯარის ყოლის და ფულის მოჭრის უფლება, მკვიდრდებოდა უცხო ენა და ზნე-ჩვეულებები, გარდაიქმნებოდა გვარები... საქართველო იკარგებოდა მსოფლიოს რუკაზე. და მაინც, მიუხედავად პრაქტიკულად გამოუვალი მდგომარეობისა, ქართველი ერი არ დანებებულა: იგი კვლავ სუვერენული იდეის მატარებელი ძალა იყო, შინაგანი თავისუფლების მქონე, იგი კვლავ მოქმედებდა და იცოდა, რა მიზანს მიაღწევდა.

ამავე დროს, გლობალური გარემო, რომელშიც ამ მიზნის მისაღწევად უნდა გვემოქმედა, სრულიად ახალი იყო — ახალი, XIX, საუკუნეც და ახალი მსოფლიოც, რომელშიც ჩვენ, როგორც ერს, ინტეგრაცია უნდა დაგვეწყო. კონკრეტულად, ჩვენ უნდა გავმხდარიყავით ახალი, თანამედროვე ერი და გვეზრუნა ახალი, თანამედროვე სუვერენობის მოპოვებაზე. ყველაფერი ეს ახალ, თანამედროვე მეთოდოლოგიებს მოითხოვდა, რომლებიც, კერძოდ, ყოველთვის უშუალო სამხედრო დაპირისპირებებს არ გულისხმობდა. (გადანაწილებების და ახალი სახელმწიფოების ჩამოყალიბების პროცესი ევროპაში დაახლოებით სწორედ ამ ეპოქაში იწყება, საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემდგომ ეტაპზე, შემდეგ — ნაპოლეონის დამარცხების მომდევნოდ 1815 წ. ვენის კონგრესით, საფრანგეთ-პრუსიის ომის მიმდევნოდ 1871 წ. და პირველი მსოფლიო ომის მომდევნოდ 1919 წ. ვერსალის ზავებით).

შეიძლება ჩამოითვალოს რამდენიმე ფაქტორი, რომელიც XIX საუკუნემ მოგვცა გასათვალისწინებლად.

1. სახელმწიფოებრივი არსებობისთვის ბრძოლის გასაგრძელებლად ქართველებს სჭირდებოდათ გამუდმებული სამხედრო მდგომარეობიდან გამოსვლა. მათ სჭირდებოდათ გარკვეული დრო, რათა, ჯერ ერთი, გაეაზრათ ის დანაკარგები, რაც სუვერენობის შენარჩუნებისთვის ამდენი ხნის ბრძოლას თან მოჰყვა, მეორეც, კორექტივები შეეტანათ თავიანთ ტაქტიკაში. XIX ს-ში შექმნილმა ვითარებამ ჩვენ ეს საშუალება მოგვცა.

2. ამ კონტექსტში, ჩვენ მოგვეცა საშუალება ევროპასთან (კვლავ) დაახლოებისა. დასავლურ სამყაროსთან ორგანული კავშირი (ერთიანობა) ჩვენ პრაქტიკულად ჩვენი სახელმწიფოებრიობის პირველსავე ეტაპებიდან გვქონდა (ამავე დროს, ქართულ თვითმყოფად კულტურას კავშირი ჰქონდა აღმოსავლეთთანაც; მაგალითად, ჩვენი განათლების საქმე, რომელიც არა მარტო კოლხეთის აკადემიაში თუ გელათში ვითარდებოდა, არამედ ჩვენს საზღვარგარეთულ ცენტრებშიც, იცნობდა ბიზანტიურ მანგანის აკადემიასაც და სპარსულ ნიზამიებსაც); ასევე დასავლური არჩევანი ჰქონდა ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას, განსხვავებით მეზობელი ალბანეთისა და სომხეთისგან, რომელთაც აღმოსავლური აირჩიეს (იხ. Z. *Aleksidze*, Establishment of National Churches in the Caucasus, – In: The Caucasus and Globalization, v. 3, Sweden, 2008). მაგრამ მერე (კერძოდ, 1453 წ. კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ) გარკვეული, სერიოზული დაბრკოლებები წარმოიშვა. შემდგომში ჩვენ, ერთი მხრივ, ვინარჩუნებდით სუვერენობასა და თვითმყოფადობას, მაგრამ, მეორე მხრივ, საუკუნეთა განმავლობაში ჩვენთან ისე ახლოს

მოვიდა მომხვდურთა მენტალიტეტი, რომ ზოგი რამ ჩვენ დასაბრუნებელი და გასახსენებელი შეგვექნა (შესაბამისი, მიზანმიმართული მოქმედებები ჩვენ ყოველთვის გვქონდა; მაგალითად, ახალ ევროპასთან კავშირების გამოხატულება იყო XVIII ს-ში რომში სასწავლებლად ახალგაზრდების მივლინება, ან თბილისში კათოლიკე მისიონერთა სკოლების გახსნა; ამ ასპექტში რუსეთთან კავშირებს რაც შეეშხება, ეს ტრაქტატამდე დაიწყო, და ქართველები, სხვათა შორის, თვითონაც აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი რუსეთის კულტურულ ცხოვრებაში, გენერალ-ანშეფი გიორგი ბატონიშვილი, მაგალითად, მოსკოვის უნივერსიტეტის დაარსებაში მონაწილეობდა). XIX ს-მ ამისი საშუალება მოგვცა: რუსეთი, როგორი შედარებითი ჩამორჩენილობაც უნდა აღმოვაჩინოთ მასში, ევროპული სივრცის ნაწილი იყო, პირველ რიგში — კულტურულად (პეტრე I-ის, ეკატერინე II-ის, ალექსანდრე I-ის, ალექსანდრე II-ის მეცადინეობით).

3. კიდევ ერთი პრობლემა: XV ს-ის შემდეგ დაშლილ მდგომარეობაში, სხვადასხვა ქართული პოლიტიკური ერთეულების სახით, არსებობა (როგორც ითქვა, ეს ფორმა ქართული სუვერენიტეტის შენარჩუნების ამოცანას ემსახურებოდა) შეიძლება თანდათანობით ქცეულიყო ისეთ მოცემულობად, რომელიც, არ იყო გამორიცხული, აღქმულიყო ბუნებრივ, ჩვენთვის ჩვეულ მდგომარეობად. როგორც ჩანს, ამის ნეიტრალიზების ამოცანა უკვე იდგა — იდგა საერთოდ საზოგადოების წინაშე, ყოფით დონეზე, რაც შეეხება პოლიტიკურ ელიტას, მისთვის ასეთი პრობლემა არ არსებობდა, რადგანაც ქართული პოლიტიკური აზრი ყოველთვის მიმართული იყო ერთიან სუვერენულ სახელმწიფოზე. ერთიანი სახელმწიფო და ერთიანი მდგომარეობა გასახსენებელი იყო,

და XIX საუკუნე პერსპექტივისთვის ასეთ შესაძლებლობას იძლეოდა (აქ, სხვათა შორის, ახალი მფარველი უნებლიეთ თუ შეცდომით დაგვეხმარა, როდესაც ადმინისტრაციული დაყოფისას გააუქმა ქართლ-კახეთის, იმერეთის და ა. შ. ცნებები და ფაქტიურად გააერთიანა ქვეყანა თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების შემადგენლობაში).

4. დანაკარგთა შორის იყო ტერიტორიები (მაგ., სამცხე). რაც მთავარია, XIX ს-მდე არ იყო გამორიცხული საშიშროება საქართველოს (ქართული სამეფოებისა და სამთავროების) იურისდიქციიდან სხვა ტერიტორიების გაყვანისაც. მას შემდეგ, რაც რეგიონი რუსეთის ინტერესების მატერიალიზებულ ზონად იქცა, ასეთი საშიშროება ფაქტიურად ისპობოდა; ამოცანის დანარჩენი ნაწილი (ე. ი. შენარჩუნებულ ტერიტორიაზე სუვერენობის აღდგენა) მომავლის საქმე იყო. ამავე დროს, რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესების რეალიზების კვალდაკვალ შეიქმნებოდა შესაძლებლობა მიტაცებული ქართული ტერიტორიების დაბრუნებისა, რაც შემდეგში თანდათანობით განხორციელდა კიდეც რუსეთ-ოსმალეთის ომების შედეგად: 1812 წ. ბუქარესტის ზავით თურქეთმა რუსეთს დაუთმო სოხუმი; 1829 წ. ადრიანოპოლის ზავით — ახალქალაქი, ახალციხე, ასპინძა, აწყური, ხერთვისი, აბასთუმანი და მთელი ზღვისპირა ზოლი მდ. ჩოლოქიდან მდ. ყუბანამდე; 1878 წ. სან-სტეფანოს ზავით და ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით — აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, იმერხევი, კოლა-არტაანი, ოლთისი.* (გეოპოლი-

* სხვა საკითხია, მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ, სამწუხაროდ, რუსეთმა (იმპერიამ, შემდეგ — საბჭოთა კავშირმა) საქართველოს საზღვრებს გარეთ გაიტანა ისტორიული ქართული ტერიტორიის დიდი ნაწილი, პლუს — დანარჩენ ტერიტორიაზე ხელოვნური ავტონომიური წარმონაქმნები შექმნა.

ტიკურად ეს რუსეთ-ოსმალეთის, ასევე რუსეთ-ირანის, ომები იყო, მაგრამ უშუალო სამხედრო ოპერაციების თვალსაზრისით — რუს-ქართველთა გაერთიანებული რაზმების მიერ წარმოებული ომები: ასეთი იყო ბრძოლები 1828 წელს ახალქალაქის, ახალციხის, ბაიაზეთის, ფოთის, ბათუმის მიმართულებით; ამ წელს მარტო დასავლეთი საქართველოდან ბრძოლებში 6 000 ქართველი მონაწილეობდა. ასევე იბრძოდნენ ქართველები არაქართული მიწების დასაბრუნებლად — 1826 წლის ომში ირანთან მათ ასევე 6 000 მეომარი გამოიყვანეს, ასე იქნა აღებული ერევანი და თავრიზი, მათ შორის ქართველი სარდლების — გენერლების გ. ერისთავის, ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის და სხვათა მონაწილეობით).

ყველაფერი, რაც ჩამოითვალა, საბოლოოდ იმას მიუთითებს, რომ XIX საუკუნე საქართველოს წინაშე არა მარტო სუვერენობისთვის (მისი დაბრუნებისთვის) ბრძოლის ამოცანას სახავდა, არამედ დამატებით — ზოგი ისეთი საკითხისთვისაც, რომლის გადაჭრაც წინა რამდენიმე საუკუნის განმავლობაში გაძნელებული იყო. ამავე დროს, ყველაფერი ეს — დასვენებაც და ძალების მოკრებაც, მიწების შენარჩუნებაც, დასავლურ სივრცესთან მიახლოებაც და ა. შ. — ისტორიის მსვლელობით მოტანილი ამოცანები იყო, და ამიტომ XIX საუკუნის მდგომარეობა ჩვენთვის განვითარების კანონზომიერებებმა განსაზღვრა. XIX საუკუნე უნდა მივიჩნიოთ კანონზომიერ ეტაპად სუვერენობაზე ჩვენი ზრუნვის პოზიციებიდანაც. კანონზომიერად იმ თვალსაზრისითაც, რომ, როგორც ჩანს, ერთი სერიოზული მარცხი, ერთი დიდი ჩავარდნა ჩვენი სახელმწიფოებრიობის ისტორიის გზაზე (მაგრამ არა ჩვენი სუვერენულობის იდეის დაუთრგუნველობის გზაზე) აუცილებადი, საჭირო (კანონზომიერი) იყო, — სხვა-

ნაირად, როგორც ჩანს, ძნელი იქნებოდა ტრანსფორმირება და გათანამედროვეობა და ახალი დროის შესაფერისი მეთოდოლოგიებით ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. ამოცანები, რომლებიც კონკრეტულად დაისვა ჩვენს წინაშე, განხორციელების შემთხვევაში, შექმნიდა ნამდვილი ან თანამედროვე სუვერენობის (XIX, აგრეთვე მომავალი XX ს-ის, პოზიციებიდან) აუცილებელ ელემენტებს, რაც საჭირო იყო ახალი სუვერენობისთვისაც და მისი მატარებელი ახალი ქართველი ერისთვისაც. საბოლოოდ, XIX საუკუნე, მიუხედავად იმ სამწუხარო რეალობისა, რომელიც მივიღეთ, არ იყო ამოვარდნილი ჩვენი არსებობის მთავარი იდეის — სუვერენობის დაცვის ისტორიიდან, იგი არ წყვეტდა ჯაჭვს. იგი საჭირო იყო ერის წინაშე დაგროვილი რთული პრობლემების გადაჭრისათვის, კერძოდ — საჭირო იყო მოსამზადებელი დრო და მისი შესაბამისი გარდამავალი პერიოდი, რის შესაძლებლობასაც XIX ს. და რუსეთთან ახლოს მისვლა იძლეოდა.

ჩვენ ეს სათანადოდ უნდა დავაფასოთ. ისევე როგორც სათანადოდ უნდა შევაფასოთ უკიდურესად უარყოფითი მოვლენები, რომლებიც XIX ს-მ მოიტანა. ორსავე შემთხვევაში ხელს არ უნდა გვიშლიდეს ის გარკვეული პარადოქსულობა, რომელიც ახლდა ვითარებას.

ზოგიერთი დადებითი მოვლენა, ეს საქმის მხოლოდ ერთი მხარე იყო. მეორე მხარე პრაქტიკულად გადაულახავ დაბრკოლებას ქმნიდა: ჩვენი პრობლემების გადაჭრა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლებოდა, თუ ქართველობა მოახერხებდა ზერთული ამოცანის დაძლევას, — თუ იგი გაუძლებდა იმპერიის აგრესიას ჩვენს სუვერენობასა და თვითმყოფადობაზე, რადგანაც, ჯერ ერთი, რუსეთის იმპერიას ჩვენს მიმართ სურდა იგივე, რაც იმ სხვარჯულოვან იმპერი-

ებს, რომელთა აგრესიისგან თავისდასაცავად ავირჩიეთ ერთმოწმუნე ქვეყანასთან მფარველობითი კავშირის გზა, მეორეც, იგი გაცილებით უფრო ძლიერ და მრავალმიმართულებიან შეტევას განახორციელებდა, ვიდრე მისი წინამორბედები, — ამისათვის მას მეტი საშუალება ჰქონდა.

კონკრეტულად, ქართველობის წინაშე ერთდროულად გადასაწყვეტი ორი ზერთული ამოცანა იდგა: 1) გამოეყენებინა XIX საუკუნე მთელი წინამავალი ეპოქის განმავლობაში დაგროვილი პრობლემების გადასაწყვეტად და ახალი დროების შესაფერისად გადასაწყობად; 2) გაემარჯვა მეტროპოლიის გამანადგურებელი რუსიფიკატორული მოქმედებების წინაშე. ორივე ამოცანა ქართულ სუვერენობას ემსახურებოდა — ახალ დროში ახალ ქართულ სუვერენობას. მთავარი სტრატეგიული იარაღი ამ, მოცემულ, დროს იყო ქართული ერთიანობა, და აქცენტიც მასზე იქნა გადატანილი, — ქართული ერთიანობა მომავალი სუვერენიტეტის მოლოდინში.

სამეფოდაკარგულმა ერმა პირველ რიგში იმის დემონსტრირება მოახდინა, რომ სუვერენული სული და შინაგანი თავისუფლება მას არ დაუკარგავს. ამ მიზნისკენ იყო მიმართული აჯანყებების მთელი სერია (ამის მსგავსი ჩვენს მეზობლად ამიერკავკასიაში, იქ, სადაც რუსეთი აგრეთვე მკვიდრდებოდა, არსად ყოფილა, — იქ სრული სიმშვიდე იყო): კახეთის 1802 და 1812 წ. აჯანყებები, 1804 წ. მთიულეთის აჯანყება (რომელშიც, სხვათა შორის, ქისტებიც და ოსებიც მონაწილეობდნენ), სოლომონ მეორის აჯანყება 1810 წ., 1819-20 წლების იმერეთის აჯანყებები და ა. შ., და ბოლოს, 1832 წ. დიდი შეთქმულება, — ტყუილად ვეძებთ მათში სოციალურ ნიადაგს, ეს იყო შეურიგებელი ეროვნული პოზიციის გამოხატვა.

აქ კიდევ ერთი დებულების ჩამოყალიბება შეიძლება. **მთელი ჩვენი ისტორია, რომელიც ერის სულიერი მდგომარეობის სახეს წარმოადგენს, არის — რადგანაც მას დამოუკიდებლობის მდგომარეობაც ჰქონდა და დამოუკიდებლობის დაკარგვისაც — სუვერენობის იდეის განსახორციელებლად გაშლილი ერთიანი, განუწყვეტელი ბრძოლის ფრონტი.**

ეს ფრონტი სრულფასოვნად მოქმედებდა XIX ს-შიც. იგი იმდენად ძლიერი იყო, რომ ჰქონდა თავისი ცენტრები ემიგრაციაში.

აჯანყებებისა და შეთქმულებების პერიოდს მოჰყვება ეროვნული მოძრაობის შემდგომი ეტაპი — სამოციან წლებში ასპარეზზე დამკვიდრებული ახალი თაობის (დიმიტრი ყიფიანი, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, სერგი მესხი და სხვ.) ბრძოლა ილია ჭავჭავაძის ლიდერობით. ეს ბრძოლა იმპერიული აგრესიის ყველა გამოვლინებას გულისხმობდა (ასიმილირება, ენის წართმევა, ეკლესიის განადგურება, ელიტის დაკნინება, ეროვნული ბურჟუაზიის დისკრიმინირება არაქართველი ბურჟუაზიის სასარგებლოდ და სხვ.), მას ჰქონდა თავისი სამოქმედო კურსი და პროგრამა (რომელიც მოკლედ შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: იმპერიის ფარგლებში ერის ფიზიკური და სულიერი გადარჩენა, ქართველი ერის კონსოლიდაცია, ეროვნული ცნობიერების განმტკიცება, ქვეყნის ეკონომიკური ღორძინება, საბოლოოდ — მომავალი სუვერენობისათვის მომზადება), ასევე — კონკრეტული ქმედებები (თბილისისა და ქუთაისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკები, ქართული ენის დაცვა, დედაენის სახელმძღვანელო, ქართული წიგნის გამოცემა, ქართული პრესა, ქართული თეატრი, ქართულ ისტორიოგრაფი-

აზე ზრუნვა და იმპერიულ თუ ადგილობრივ გამყალბებელთა წინააღმდეგ ბრძოლა...).

შედეგად — საუკუნის დასასრულისთვის საქართველოს ფაქტიურად ჰქონდა ავტონომია იმპერიის ფარგლებში. შეიძლება ითქვას, რომ მოქმედებდა მთავრობა ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, რომელიც წარმართავდა მოვლენებს ქვეყნისა და საზოგადოების შიგნით. ყველაფერთან ერთად, განხორციელდა ეროვნული მოდერნიზების ამოცანა — იგულისხმება მოდერნიზებული ერთიანი ქართული სალიტერატურო ენა, მოდერნიზებული ერთიანი ქართული ლიტერატურა და კულტურა. მოდერნიზება იმ, ახალ, დროში აუცილებელი ელემენტი იყო მომავალი სუვერენობისათვის.

ასე და ამგვარად, პრაქტიკულად გამოუვალ ვითარებაში, **XIX საუკუნე არ არის ამოვარდნილი ჩვენი სუვერენული ისტორიის ჯაჭვიდან, იგი არ წყვეტს მას, არ ქმნის ჩვენი განუწყვეტელი ფრონტის მოსპობის (ან თუნდაც დროებითი მოსპობის) პრეცედენტს: ქართველი ერი კვლავ ეროვნული სუვერენიტეტის მატარებელი ძალა იყო, კვლავ შინაგანი თავისუფლების მქონე.***

---

* *»საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი», მეორე დამატება, მეშვიდე მუხლი: «შეერთებული რუსეთთან საქართველოს მეფეთა მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებათა დადებით საქართველო, რომელიც არასოდეს არ ყოფილა რუსეთის იარაღის ძალით დაპყრობილი, განაგრძობდა თვით რუსეთის ერთ საუკუნის ბატონობის დროსაც კი ეროვნულ ცოცხალ ორგანიზმის არსებობას და მხოლოდ ხელსაყრელ დროს ელოდა, რათა აღედგინა თავისი გარდაუსვლელი ეროვნული უფლებანი და საკუთარი პოლიტიკური და ეროვნული მისწრაფებანი განეხორციელებინა».

•

შედეგი 1918 წელს მოვიდა.

უმძიმესი საერთაშორისო, რეგიონული და საშინაო კონიუნქტურის პირობებში, ამიერკავკასიაში რუსული, თურქული, გერმანული, ინგლისური, ფრანგული (პლუს ადგილობრივი) ინტერესების გადახლართვაში, საქართველომ აღიდგინა დამოუკიდებლობა. იმავე უმძიმეს ვითარებაში (თუმცა მსოფლიო ომში საქართველოს პრაქტიკულად ყველა პოლიტიკური მოწინააღმდეგე დამარცხდა ან დასუსტდა) მან შეძლო ეცხოვრა სისხლსავე სახელმწიფოებრივი ცხოვრებით: ერთხანს მოახერხა ერთმანეთისთვის დაეპირისპირებინა მოკავშირეები — გერმანია და თურქეთი; თურქეთთან გაფორმდა ბათუმის ზავი — 1918 წელს თურქეთმა ცნო სუვერენული საქართველო; 1920 წ. 7 მაისს დაიდო რუსეთ-საქართველოს შორის ხელშეკრულება — რუსეთმა ცნო საქართველოს სუვერენიტეტი და მისი ტერიტორია საინგილოსა და აფხაზეთის ჩათვლით; 1920 წელს ინგლისელებმა საზეიმოდ გადმოგვცეს ბათუმი; 1921 წელს, როცა სოჭის მხრიდან რუსეთის მე-8 არმიამ გადმოლახა ჩვენი საზღვარი, იგი შეჩერებულ იქნა ფრანგებისა და ინგლისელების დახმარებით; 1921 წლის თებერვლის მარცხამდე, საქართველომ გამარჯვებით დაასრულა ორი ომი, ხოლო ერთხელ — 1919 წ. გაზაფხულზე — სამხედრო დახმარება გაუწია გენერალ დენიკინის წინააღმდეგ მებრძოლ ჩრდ. კავკასიის მთიელთა რესპუბლიკას...

მთავარი ის იყო, რომ საქართველომ შეძლო, ჯერ ერთი, დაეგვირგვინებინა ერთსაუკუნოვანი ბრძოლა, მეორეც, ერთდროულად აღედგინა სუვერენობაც და ერთიანობაც, საქართველომ კვლავ შექმნა ერთიანი სუვერენული სახელ-

მწიფო — ისე, როგორც X საუკუნეში. საქართველო ისევ არ დანებდა.

ეს არ არის ორდინარული რამ ისტორიისათვის, — ისტორიამ სხვა ფაქტებიც იცის. ბურგუნდია, მაგალითად, დამოუკიდებელი და ძლიერი ქვეყანა იყო (განსაკუთრებით XV საუკუნეში; სწორედ მაშინ მოინახულეს იგი საქართველოს მეფის გიორგი მერვის ელჩებმა), ჰყავდა ტრადიციების მქონე ლეგიტიმური სამეფო დინასტია, ჰქონდა სუვერენობის ყველა სხვა ატრიბუტი. მაგრამ XV-XVI საუკუნეებში საფრანგეთს შეუერთდა და შემდეგში დაკარგა თავისი სტატუსი როგორც სახელმწიფომ. უნდა ვივარაუდოთ, რომ მის მკვიდრთ არ აღმოაჩნდათ სახელმწიფოებრიობის აღდგენის, დამოუკიდებლობის კვლავმოპოვების სურვილი; უფრო ზუსტად — ისეთი სურვილი, რომლის დათრგუნვა შეუძლებელია; ჩვენს კონტექსტში — ისეთი დაუთრგუნველი სურვილი, როგორიც ასულდგმულებდა ქართველობას. მსოფლიოს რუკიდან ბევრი სხვა სახელმწიფოც გაქრა — ბრაბანტის საჰერცოგო, მაგალითად (ამჯერად მე შედარებით ახალ ეპოქებს ვეხები). შოტლანდიას და უელსს დღეს ფაქტიურად კულტურული ავტონომია აქვთ. სახელმწიფოებრიობაც და ტერიტორიაც დაკარგა კელტურ ტომთა ძლიერმა კავშირმა. მაგრამ — საწინააღმდეგო და ჩვენთვის საგულისხმო მაგალითი: ეირე (სამხრეთი ირლანდია, დუბლინი), მხოლოდ იგი, არ დანებდა ანგლოსაქსური ასიმილაციის პოლიტიკას და შეძლო დაებრუნებინა დამოუკიდებლობა. უფრო ზუსტად — ირლანდიას არასოდეს დაუკარგავს თავისი სუვერენიტეტი, რადგან მას არასოდეს დაუკარგავს თავისი მებრძოლი სული («ირლანდიის ერმა თავისი გულითადი წადილი ინგლისის ხელიდამ თავის დახსნისა არ გაიქრო გულში», — *ილია ჭავჭავაძე*).

ირლანდია ის მაგალითია, როდესაც არ იკარგება მებრძოლი ერის სტატუსი. ამ მხრივ საქართველოს ბევრი რამ აქვს საერთო ირლანდიასთან.

ჩვენს ფორმულაში ეს კვალიფიკაციაც უნდა შევიტანოთ — **მებრძოლი ერის სტატუსი. საქართველო არის იმ სუვერენული ერის ქვეყანა, რომელიც არასოდეს კარგავს მებრძოლი ერის სტატუსს.** ამ სტატუსს მებრძოლი სული ქმნის. კაცობრიობის მეხსიერებას შემორჩენილი ბევრი ცნობილი სახელმწიფო გაქრა მხოლოდ იმიტომ, რომ ერი დანებდა ჟამთა სვლას, გაიზიარა უცხო ნება, დაკარგა ცხოველმყოფელობა მებრძოლი სულისა. უფრო ზუსტად: **თუ არსებობს, ასეთი სული პერმანენტულად არსებობს, იგი ვერ ჩაქრება და შემდეგ ხელახლა ვერ დაიბადება. მებრძოლ სულს დამოუკიდებლობის განუკურნებელი სურვილი და თვისება აცოცხლებს, თავისუფლების შეუქცევადი რწმენა ასაზრდოებს. მებრძოლი სული განსაზღვრავს მებრძოლი ერის სტატუსს და უზრუნველყოფს მიზნის აღსრულებას.**

მებრძოლი ქართველი ერი ეროვნული სუვერენიტეტის მატარებელი ძალაა.

•

ეს ძალა რეალურად მოქმედებდა საბჭოთა წლებშიც. მებრძოლ სულს 1921 წელმა ვერაფერი დააკლო (სხვათა შორის, ამას არაქართული აზრიც აღიარებს, იხ., მაგალითად: «В течение многих десятилетий Грузия была одной из самых независимых республик в составе Советского Союза», — *Ф. С. Капица,* Предисловие, წიგნში: *Дэвид Лэнг*, Грузины, М. 2004; მკითხველს მშვენივრად ესმის, თუ რატომ ვცდილობ — და

შევეცდები ქვემოთაც — მსგავს კონტექსტში სწორედ რუსული აზრი მოვიშველიო).

მთლად გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში არცერთ სხვა რესპუბლიკას (ერს), დიდი უკრაინის ჩათვლით, არ ჰქონია ისეთი ბობოქარი 1921-1924 წლები, როგორიც გვქონდა ჩვენ; ან 30-იანი და 40-იანი წლების ისეთი იატაკქვეშეთი; ან ისეთი მომდევნო წლები 80-იანი წლების კულმინაციის ჩათვლით; არცერთ ერს, ჩვენს გარდა, არ გადაუდვია თავი 1978 წელს საკუთარი ენის სტატუსის გადასარჩენად და არ გაუტანია თავისი; არცერთ სხვა რესპუბლიკას, მოგვიანებით შემოერთებულ ბალტიისპირეთს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, არ ჰქონია ისეთი გადაჭრით ეროვნული და საკუთარენოვანი სკოლა და უნივერსიტეტი, როგორც ჩვენ; ისეთი კატეგორიულად თვითმყოფადი კულტურა, რომელსაც ყოველთვის ჰქონდა პრეტენზია ყოფილიყო არა საბჭოთა კულტურის წარმატებული ნაწილი, არამედ მსოფლიო კულტურის ორგანული შემადგენელი...

განსაკუთრებით საინტერესო ისაა, რომ 1921 წლის შემდეგ საქართველოს იურიდიულად არ დაუკარგავს თავისი დამოუკიდებლობა. მართალია, დე-ფაქტო მდგომარეობა ასეთი იყო: განხორციელდა აგრესია და ტერიტორიის ანექსია, დაეცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, მის ადგილზე მივიღეთ შეზღუდული სუვერენიტეტი (თუმცა მაინც სუვერენიტეტი, თუნდაც შეზღუდული და ფორმალური); მაგრამ, მეორე მხრივ, იურიდიულად: არ მომხდარა 1920 წლის ხელშეკრულების დენონსირება, არ ანულირებულა დამფუძნებელი კრების აქტი. საკუთარი სუვერენიტეტის იურიდიული გაუქმება, საერთაშორისო სამართლის ნორმების

მიხედვით, შეუძლია თვითონ ერს. მხოლოდ მას, ამ შემთხვევაში — ქართველ ერს, მის მიერ კანონიერად არჩეული ორგანოს თუ წარმომადგენლობის მეშვეობით, საკუთარ ტერიტორიაზე შეუძლია გამოაცხადოს, შეზღუდოს, ან გააუქმოს თავისი სუვერენიტეტი; ნებისმიერი სხვა ფორმით მიღებული გადაწყვეტილება, როგორც უკანონო, არის ანტიგადაწყვეტილება. ამიტომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, 1918 წელს გამოცხადებელი, იურიდიულად არ გაუქმებულა, იგი, როგორც ქართველი ხალხის უზენაესი ნების რეალიზაცია, იურიდიულად საბჭოთა წლებშიც არსებობდა და მისი მთავრობაც განაგრძობდა ფუნქციონირებას ემიგრაციაში, პარიზში. **ამიტომ ის, რაც მოხდა 70 წლის შემდეგ, 1991 წელს, იყო საქართველოს ფაქტობრივი სტატუსის შეცვლა ვერგაუქმებული იურიდიული სტატუსის შესაბამისად.**

ყველაფერი ეს შეიძლება იმდენად საინტერესო არ იყოს, რომ არა ერთი, ერთდროულად სიმბოლური და საოცარი, ფაქტი. 1990 წლის მარტში საქართველოს უმაღლესმა საბჭომ (ხაზგასმით: საბჭოთა ორგანომ) გადადგა უპრეცედენტო ნაბიჯი: 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში წითელი არმიის შემოსვლას მისცა აგრესიის კვალიფიკაცია, საქართველო აღიარა ოკუპირებულ და ანექსირებულ ქვეყნად და გააუქმა პრაქტიკულად ყველა ძირითადი საკანონმდებლო აქტი, რომელიც 1921 წლის თებერვლის შემდეგ იყო მიღებული, მათ შორის 1921 წლის მაისის სამოკავშირეო ხელშეკრულება, — ამის შემდეგ იურიდიულად საქართველო საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ აღმოჩნდა. ეს უნიკალური გადაწყვეტილება იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებამ თავისი წვლილი შეიტანა დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეში. ამაზე ისიც მიუთითებს, რომ

ამ აქციას წინ უსწრებდა ხელისუფლების თანმიმდევრული ნაბიჯების მთელი სერია: საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში შეტანილ იქნა შესწორებები, რის შედეგად ერთ-ერთი მუხლი განმარტავდა, რომ საქართველოს სსრ არის სუვერენული სახელმწიფო, რომელსაც აქვს საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გასვლის წმიდათაწმიდა უფლება, ხოლო ამ უფლების ნებისმიერი შეზღუდვა ცენტრის მხრიდან ნიშნავს ქვეყნის ავტომატურად გასვლას საბჭოთა კავშირიდან; იგივე შესწორებები აღიარებდნენ საქართველოს კანონების უზენაესობას საკავშირო კანონების წინაშე.

რა კვალიფიკაცია შეიძლება მიეცეს მთელ ამ ისტორიას? მხოლოდ ერთი: საბჭოთა საქართველოს ქართველობა — **ერთიანად** — ეროვნული სუვერენიტეტის მატარებელი ძალა იყო (უსამართლობა და დანაშაული იქნება, თუ ვინმე სერიოზულად ფიქრობს ამ ნიშნით მის დიფერენცირებას); ის ისეთივე ძალა იყო, როგორც მისი წინამორბედები, და შესაფერის დროს უცდიდა, რათა სუვერენობის ისტორიულად ჩამოყალიბებული უნივერსალური თვისება აემოქმედებინა. სხვა სიტყვებით: **ჩვენს ისტორიაში დამოუკიდებლობისათვის ერთხელ და სამუდამოდ გაშლილი, ერთიანი და განუწყვეტელი ფრონტი მართლაც რეალური ფაქტორია და, როგორც ასეთი, იგი მოქმედებდა საბჭოთა წლებშიც.**

ამ ფრონტში — აქტიურად თუ პასიურად, შეგნებულად თუ შეუგნებლად — ყველა იყო გაერთიანებული (ცალკეულ პერსონაჟებს, ასევე ცალკეულ გამონაკლისებს ამჯერად თავი დავანებოთ). ერთი საინტერესო დეტალი (ჩვენ რატომღაც არ გვიყვარს დეტალებზე ყურადღების მიქცევა): საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გერბზე (რომელიც, სხვათა შორის, ფორმით ყველა სხვა რესპუბლიკის

გერბისგან განსხვავებულია, — ამ მხრივ მას მხოლოდ სომხეთის გერბი ჰგავს) გამოსახულია არა ხუთი (როგორც ეს აბსულუტურად ყველა საბჭოთა რესპუბლიკის გერბზეა), არამედ შვიდი ქიმი — ზუსტად ისევე, როგორც 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო გერბზე. ასე შეძლეს ამ გერბის ავტორებმა (უნდა ვიგულისხმოთ — საბჭოთა საქართველოს მესვეურებმაც), მოსკოვის თვალთვალის პირობებში, სიმბოლურად გამოეხატათ თავიანთი მიზანი სრული დამოუკიდებლობის კვლავმოპოვებისა.

კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი ფაქტი იმდროინდელი სინამდვილიდან. მას შემდეგ, რაც გაუქმდა 1922 წლის სამოკავშირეო ხელშეკრულება, რჩებოდა მხოლოდ ერთი ნაბიჯის გადადგმა — ჩვენი დამოუკიდებლობის სტატუსის სრული აღდგენის გამოცხადება და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტების გაცოცხლება. მაგრამ უმაღლესმა საბჭომ ეს ნაბიჯი არ გადადგა — და სრულიად სამართლიანადაც: საქართველოში ფართედ გაშლილი ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის პირობებში, მან ეს მისია გადააბარა **მთელ მებრძოლ ერს,** რომლის ნება უნდა განეხორციელებინა მრავალპარტიულ საფუძველზე არჩეულ პარლამენტს, თვითონ კი დასჯერდა იმას, რომ ჩვენი სუვერენობა ოფიციალურად გაეხსენა ცივილიზებულ მსოფლიოს. უმაღლესმა საბჭომ გამოაცხადა თავისუფალი საპარლამენტო არჩევნები. ხალხმა აირჩია ნამდვილად ელექტორული უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო და მისცა ერთი მთავარი დავალება — ქვეყნის სუვერენიტეტის რესტიტუციის განხორციელება...

თავი მეორე
ქართული იდეა

•

აი, ასეთი ისტორია.*

ხაზგასმული სუვერენობა, ეს არის ქართული იდეა. მაგრამ იქნებ ეს ნიშანი არ ქმნის ქართველი ერის და ქართული ქვეყნის სპეციფიკას?

ქმნის. ქართული იდეა — ქართულ სუვერენობაზე ხაზგასმული და განუხრელი ზრუნვა — არ არის ტრივიალური შინაარსის მატარებელი იდეა. ამ იდეას, ჯერ ერთი, აქვს თავისი სპეციფიკა, მეორეც (და შეიძლება, ეს არის მთავარი), აქვს თავისი მკვებავი არგუმენტები, რომლებითაც იგი საზრდოობდა და რომლებიც არა მარტო ასევე სპეციფიკურია, არამედ მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავენ ქართული იდეის სპეციფიკურობას.

ჩვენთვის სპეციფიკური ერთი ნიშანი არის ის, რომ სუვერენობა (resp. თავისუფლების ძებნა), ეს არის **ის ერთადერთი იდეა,** რომელსაც ყველაფერი სხვაა დამორჩილებული — ქართული აზრიც და ქართული რწმენაც, ქართული

---

* მე უკვე მქონდა შესაძლებლობა, სხვა კონტექსტში შევხებოდი ამ თემას (*ა. სილაგაძე, შ. თოდუა, ვ. ტატუნაშვილი,* რა არის საქართველო, — იხ. წიგნში: *ა. სილაგაძე,* საქართველო 88-90, თბილისი, 1992).

გრძელვადიანი არსებობის სტრატეგიაც და ქართული ყოველდღიური ყოფაც. ეს იყო არა მხოლოდ იდეა და შესაბამისი მიზანი, არამედ — და აქ არის ჩვენი, როგორც ერისა და ქვეყნის, სპეციფიკა — არსებობის მოდუსი; უფრო ზუსტად, modus vivendi-ც და modus essendi-ც; რაც მთავარია — modus procedendi-ც. ეს განაპირობებდა (და განაპირობებს) სწორედ თავისებურებას, რომლის მიხედვითაც სუვერენობის იდეის უწყვეტლობა (მუდმივობა) მისი რეალიზაციისათვის უწყვეტლობას (მუდმივობას) ნიშნავდა. ეს თავისებურება, თავის მხრივ, დაკავშირებულია, პირველ ყოვლისა, იმასთან, რომ **ჩვენ მცირერიცხოვანი ერი ვართ და პატარა ქვეყანა.**

არ არის გამორიცხული, რომ ეს ჩვენი ეროვნული ხასიათიდანაც გამომდინარეობს. დროებითი წყვეტა, შესაძლოა, იდეის დაკარგვას მოიტანდა, ხოლო დროებითი დათმობა არა მხოლოდ თავისუფლების დროებითი დათმობა ყოფილიყო, არამედ — ჩვენი ხასიათიდან გამომდინარე — გადაგვარებაც. ამიტომ უნდა ყოფილიყო ჩვენი სუვერენულობა **ხაზგასმითი.**

ამ ხაზგასმულობას რამდენიმე მხარე აქვს.

ერთი. იდეა სუვერენობაზე ორიენტირებისა და მისი ძებნისა კონსტანტა და დომინანტა უნდა ყოფილიყო: ა) სუვერენობის (თავისუფლების) ძებნა, ერთი მხრივ, პრინციპულად განუწყვეტელი, მეორე მხრივ, ყოველწამიერი უნდა ყოფილიყო; ბ) იგი მაქსიმალისტურ მიზანზე უნდა ყოფილიყო მიმართული, როგორ ვითარებაშიც უნდა ვყოფილიყავით; გ) იმ შემთხვევაში, თუ დამოუკიდებლობა შეზღუდული ან უკიდურესად შეზღუდული გვქონდა, სუვერენობის იდეა პირდაპირ გულისხმობდა ბრძოლას; დ) იმ შემთხვევაში, როდესაც დამოუკიდებლობა გვქონდა, იგი მაინც მოქმედი უნდა ყოფილიყო (არც შენელებულიყო, არც, მითუმეტეს, ჩამქრალიყო);

ე) ზედმეტიც რომ ყოფილიყო დროის მოცემულ მონაკვეთში, მაინც უნდა ყოფილიყო; ვ) სარისკოც რომ ყოფილიყო ან საზიანოც, მაინც უნდა ყოფილიყო.*

---

* ეს მსჯელობა არ არის განყენებული ხასიათისა, — ასეთი რამ რეალურად მოქმედებდა. მხოლოდ ერთი მაგალითი ახალი ისტორიიდან. 1921 წლის ანექსიის უშუალოდ მომდევნო წლებში შეიძლებოდა, მაინცდამაინც და გამორჩეულად ჩვენ არ გვემოქმედა უკიდურესი მოქმედებებით (ისე, როგორც არ იმოქმედეს ჩვენმა მეზობლებმა რეგიონში), კერძოდ, შეიძლებოდა შექმნილი პრობლემების მიმართ დროებით სხვანაირი დამოკიდებულება აგვერჩია, — მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ კრემლში ქართველების პოზიციას. (ასევე შეგვეძლო, ი. სტალინისთვის, რომელსაც არ უნდოდა წარმოედგინა საქართველო რუსეთის სახელმწიფოს გარეთ, სამუდამოდ არ ჩაგვენერგა შიში ქართული სეპარატიზმის წინაშე). მაგრამ ჩვენ სხვა გზა ავირჩიეთ, რის შედეგადაც საბჭოთა ცენტრი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ სუვერენობის ჩვენი ჟინის დაძლევა ძნელი იყო, და პრევენციული ნაბიჯები გადადგა, — კერძოდ, ხელოვნურად შექმნა ჩვენს ტერიტორიაზე ავტონომიები, როგორც იარაღი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ჩვენს წინააღმდეგ ამოქმედდებოდა. ხაზი უნდა გაესვას: სრულიად ხელოვნურად და მხოლოდ ამ ერთი მიზნისკენ მიმართულად: ა) აფხაზეთის შემთხვევაში, ს. ორჯონიკიძემ, რომელსაც განზრახული ჰქონდა რუკაზე ე. წ. ადმინისტრაციული საზღვრის ხაზი მდ. ღალიძგაზე გაევლო, ერთი ცნობილი ქართველის კარნახით (რომელსაც შექმნილ სიტუაციაში რაღაც სიკეთის გაკეთება სურდა, მაგრამ ვერ გათვალა პერსპექტივა) ხაზი გაავლო მდ. ენგურზე (ეს ისტორია იმ დროს საქართველოში ყველასთვის იყო ცნობილი, რა თქმა უნდა, სახელმძღვანელოებში თუ ისტორიულ ნარკვევებში იგი ვერ მოხვდებოდა); ბ) რაც შეეხება ე. წ. სამხრ. ოსეთს, აქ 1922 წელს საბჭოთა ფორმალური საზომებითაც ვერ იქმნებოდა ავტონომია (ცხინვალში, მაგალითად, ოსების რაოდენობა 1922 წ. უშუალოდ წინა პერიოდში უმნიშვნელო იყო, მათი რაოდენობა ხელოვნურად გაზარდეს 1922 წლისათვის), — ბოლშევიკებმა, მოსკოვშიც და თბილისშიც, სასწრაფოდ მონახეს გამოსავალი: ოსებით დასახლებულ სოფლებს დაუმატეს ცხინვალი და ქართული სოფლების დიდი რაოდენობა (რომელთა რიცხვი ბევრად აღემატებოდა ოსებით დასახლებული სოფლების რაოდენობას) და ასე დააკმაყოფილეს საბჭოთა შაბლონი, რომელიც ავტონომიის შექმნისთვის ტერიტორიის გარკვეულ ფართობსაც გულისხმობდა და მოსახლეობის გარკვეულ რაოდენობასაც.

მეორე. იგი ყოველთვის ხმამაღლა დეკლარირებული უნდა ყოფილიყო. ჩვენ ყოველთვის უნდა გვემტკიცებინა ა) ჩვენთვის — რათა არ დაგვევიწყა; ბ) სხვებისთვის — რათა მათ არ დაევიწყათ, რომ ჩვენ მხოლოდ ასეთები ვართ და მხოლოდ ასეთები შეიძლება ვიყოთ.

აქედან გამომდინარეობს მესამე თვისება: ჩვენთვის ყოველთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სახელმწიფოებრიობის (სუვერენობის) გარეგნულ მხარეს — სუვერენობის გარეგნული ნიშნების (ატრიბუტიკის) შენარჩუნებას. პრაქტიკაში ეს იმაში გამოიხატებოდა, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც რეალური დამოუკიდებლობა არ გვქონდა, ე. ი. ვიყავით დაპყრობილ მდგომარეობაში, ეს გარეგნული (ფორმალური) ნიშნები შენარჩუნებული უნდა ყოფილიყო; სხვა სიტყვებით: უნდა გვქონოდა გარეგნული (ფორმალური) დამოუკიდებლობა. ასეთი პრინციპი იმას ნიშნავდა, რომ, თუ დაგვიპყრობდნენ, სუვერენულ ერად უნდა ვეღიარებინეთ და ამისათვის სახელმწიფოებრიობის ატრიბუტიკა (მეფე, ჯარი, ფულის მოჭრა, დროშა, გერბი) უნდა დარჩენილიყო. შეიძლება, ანალოგიურ ვითარებაში სხვა დაპყრობილი ერი ყოფიერებით ან რეალური უფლებრიობით უკეთეს მდგომარეობაშიც ჰყოლოდათ (ასეთი მაგალითები მოიძებნება ჩვენს ახლომახლო), მაგრამ ჩვენთვის მთავარი იყო სუვერენობის ეს გარეგნული ნიშნები; **ჩვენთვის ეს იყო მთავარი — გარეგნული ნიშნებიც კი სუვერენობისა.**

სპეციფიკა აქ ასე გამოითქმის: სხვანაირი არსებობა ქართველ ერს არ შეეძლო, სხვანაირად იგი — შესაძლოა ისევ და ისევ თავისი ეროვნული ხასიათიდან, მასი ძლიერი და სუსტი მხარეებიდან, გამომდინარე — სრულუფლებიანი ერი არ იქნებოდა.

ეს არის ქართული იდეა, რომელიც ჩვენი არსებობის მოდუსს განაპირობებდა. უნდა გავიმეოროთ: **საქართველო იმ ერის ქვეყანაა, რომელმაც შექმნა — ერთხელ და სამუდამოდ — თავისუფლებისთვის (სუვერენობისთვის, თვითმყოფადობისთვის) ბრძოლის განუწყვეტელი ფრონტი, და იგი, ეს ფრონტი, არასდროს, ყველაზე უფრო ბედნიერ ვითარებაშიც, არ უნდა მოშლილიყო.** ქართველი ერი მხოლოდ ასე იმკვიდრებდა თავს — ამიტომ იყო (და არის) იგი, ჯერ ერთი, გადარჩენილი და დამკვიდრებული, მეორეც, თავისთავადი ერი; ამიტომვე არის იგი, თუ გნებავთ, **ამბიციური ერი და ქვეყანა.**

•

აქ — ქართული იდეის კიდევ ერთი, სპეციფიკური და მნიშვნელოვანი, ნიშანი. როგორც ჩანს, **ქართული სუვერენობა განიხილებოდა იმ მდგომარეობად, რომელიც ერთადერთი და ბუნებრივია, რომელიც ყოველთვის იყო, რომელიც იყო ადრე.** ქვეყანა უნდა ყოფილიყო იმ მდგომარეობაში, რომელშიც ყოველთვის იყო, რომელშიც იყო ადრე — in statu quo ante. ალბათ ქართული ცნობიერება ამ დროს კონკრეტულ წარსულსაც გულისხმობდა. თუმცა, საერთოდ, იდეისთვის ამას არ აქვს მნიშვნელობა, — არსებობდა იდეა, რომ ქართული სახელმწიფო, ქართული ქვეყანა იყო და იგი სუვერენული და მნიშვნელოვანი იყო. ამიტომაც არსებობდა ორიენტირება ამოსავალ, პირველად მდგომარეობაზე, რომგორშიც ყოველთვის უნდა ვყოფილიყავით; ეს ორიენტირება ყოველთვის უნდა ყოფილიყო, სულ ერთია, აღსადგენი იყო ეს მდგომარეობა თუ არა.

ქართული იდეა, ლატენტური არსებობის დიდი ხნის მქონე, როგორც ჩანს, ქრისტიანულ საქართველოში, ქართული ქვეყნის კვლავგაერთიანების წინა ეპოქაში, ფორმდება. რაც შეეხება კონკრეტულად წარსულ მდგომარეობას, ამოსავლად ქართულ ცნობიერებას ამ დროს სულ თავისუფლად შეიძლება ჰქონოდა ახლო წარსული — ფარნავაზის დროის სუვერენული ერთიანი ქვეყანა (ერთი საქართველო — გამოთქმა იხ. *ნ. ბერძენიშვილი*, საქართველოს ისტორიის საკითხები. თბილისი, 1990), ცხრა ადმინისტრაციული ერთეულისგან შემდგარი (რვა ერისთავი, ერთი სპასპეტი).

ქართულ ცნობიერებას ამოსავლად საკუთარი უფრო შორეული წარსულიც შეიძლება ჰქონოდა ძველი კოლხეთის სახით (ლეგენდარული აიეტის კოლხეთი), რომელიც პირველ ქართულ ერთიან სახელმწიფოს წარმოადგენდა («პირველი ქართველური სახელმწიფო გაერთიანება» — *რ. გორდეზიანი*, ქართული თვითშეგნების ჩამოყალიბების პრობლემა, თბილისი, 1993), — მასში მთელი დასავლეთი საქართველო და აღმოსავლეთისა და სამხრეთის დიდი ნაწილი იყო მოქცეული (თვითონ ეთნონიმს «კოლხი», ბერძნების მიერ ხმარებულს, საერთოქართული/ქართველური მნიშვნელობა ჰქონდა, — *ჰეკატაიოს მილეტელი* (ძვ. წ. VI ს.), მაგალითად, მოსხებს კოლხურ ტომად ასახელებს, იხ. *ი. ჯავახიშვილი*, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, I, თბილისი, 1950; *გ. მელიქიშვილი*, ქართველები, მათი წარმოშობის საკითხი, — წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბილისი, 1970).

მაგრამ საქმე ისაა, რომ ამოსავლად და ორიენტირად ქართულ ცნობიერებას და ქართულ მეხსიერებას გაცილებით უფრო ძველი და უფრო დიდი რამ შეიძლებოდა ჰქონოდა — უფრო შორეული წარსულის სახით. ეს უნდა ყოფილიყო

სწორედ მეხსიერებაში, გაუცნობიერებლად, დარჩენილი ინფორმაცია ჩვენი პრეისტორიული, პროტოქართული (პროტოქართველური) წარსულის შესახებ, რომლის ცივილიზაცია, ზოგიერთი მოსაზრებით, დროში წინ უსწრებდა პროტოინდოევროპულს.

სწორედ აქ იმალება ქართული იდეის ერთი მახასიათებელი, რომელიც, როგორც მისი სპეციფიკურობის ერთი მთავარი მკვებავი ელემენტი, ჯერ ერთი, განაპირობებს სუვერენობაზე განსაკუთრებული ზრუნვის აუცილებლობას, მეორეც, პასუხს იძლევა კითხვაზე, რატომ არ შეიძლება ამ ქვეყნის დაკარგვა.

მაგრამ შეიძლება არც მარტო ეს არის მთავარი ქართულ იდეაში. მას აქვს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მკვებავი, დაკავშირებული ქართულ რწმენასთან (ხაზგასმით: რწმენასთან/წარმოდგენასთან) ამ ქვეყნისა და ამ ერის ფუნქციის შესახებ, რომლის დაკარგვა კიდევ უფრო არ შეიძლება იმიტომ, რომ იგი სწორედ მომავალში უნდა შესრულდეს, — ასეთი იყო ჩვენი რწმენა. მაგრამ ამაზე — ცოტა ქვემოთ, ჯერ — რამდენიმე სხვა საკითხი.

•

იყო ან არის სუვერენული სვლის სხვა გზა — არა ის, როგორითაც ჩვენ მოვდიოდით? არის, და სწორედ მისი არსებობის გამო შეიძლება ლაპარაკი ჩვენს სპეციფიკაზე.

განსხვავებულია, მაგალითად, სომეხთა თვითდამკვიდრების გზა (შესაბამისად — სომხური იდეის ნიუანსები).

როგორც ჩანს, იგი ემყარება მათი ეროვნული ხასიათიდან გამომდინარე უნარს გრძელვადიანად, დაგეგმვით იმოქმედონ, თუ საჭიროა, მოითმინონ და არ იჩქარონ თუნდაც

უმძიმეს მდგომარეობაში, გაძლონ თუნდაც უსახელმწიფოოდ. ამ უნარის ძლიერი მხარე ის არის, რომ ამ დროს ისინი არ კარგავენ თავიანთ კოლექტიურ აზროვნებას და მეხსიერებას, არ ითქვიფებიან, უფრო მეტიც — შეუძლიათ ასეთ მდგომარეობაშიც კონსოლიდირება და სრულფასოვანი მონაწილეობა საერთო საქმეში, შედეგად — შეინარჩუნონ თვითმყოფადობა და არ დაკარგონ სურვილი სუვერენიტეტის აღდგენისა თუ მოპოვებისა. სომხეთის ისტორიამ სახელმწიფოებრივი აღზევების პერიოდები ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში იცის (ძვ. წ. პირველ საუკუნეში უძლიერესი სამეფო ჰქონდა ტიგრან II-ს), იცის უამრავი სახელოვანი ფაქტიც — მათ შორის, გმირული აჯანყებები სპარსელი, არაბი და სხვა დამპყრობელის წინააღმდეგ. მაგრამ შემდეგ ისტორიულმა ქარტეხილებმა მდგომარეობა თანდათან შეცვალა — დაახლოებით XI ს-დან, ბიზანტიელთა აგრესიული მოქმედებების შედეგად სომხეთის სახელმწიფოებრიობის დაცემის შემდეგ, სომხები იძულებულნი არიან სხვა სტრატეგიას მიმართონ, რა თქმა უნდა, ისეთს, რომელიც რეალურია მათთვის და რომელიც მათ არ უქმნით საფრთხეს. ეს არის საკუთარ ტერიტორიაზე პოლიტიკურად შედარებით ნაკლებაქტიური მდგომარება (გარეგანი შეგუების კამუფლაჟით) — ფაქტიურად XX ს-მდე მათ სახელმწიფოებრიობა არ აქვთ, ამ ტერიტორიებზე ჯერ შეიქმნა დვინის, ანისის და სხვა თურქსელჩუკური საამიროები, შემდეგ, დავით აღმაშენებლის და თამარის დროს, სომხეთის დიდი ნაწილი საქართველომ შეიერთა (და ამით გადაურჩინა მას ტერიტორიები). სომხები ასე მოდიოდნენ თავიანთი მომავალი სუვერენიტეტისაკენ. უფრო მეტიც, სელჩუკთა და თათარ-მონღოლთა შემდეგ მათი დიდი ნაწილი გაიფანტა (საქართველოში, სირიაში, ბიზანტი-

აში, ყირიმში, ინდოეთში...), მაგრამ ამ ვითარებაშიც ისინი არა მარტო არ კარგავენ ეროვნულობასა და თვითმყოფადობას, არამედ კონსოლიდირებულნი არიან საკუთარი შინაგანი სუვერენობის შენარჩუნების და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის აღდგენის საქმეში.

ეს მათი გზა იყო. როგორც ჩანს, მათ ჩვენნაირი გზით არ შეეძლოთ სიარული, ჩვენ — მათნაირი გზით; რაც მთავარია, ორივე გზა გმირული იყო. შესაბამისად, მათ თავიანთი საკუთარი იდეა ჰქონდათ, ჩვენ — ჩვენი; ამავე დროს, ორივე იდეა ერთსა და იმავე შედეგზე და საბოლოო წარმატებაზე მუშაობდა.

ჩვენი უნარი იყო ხაზგასმა ჩვენი სუვერენულობისა თუნდაც მსხვერპლის ფასად (ზოგჯერ ასეთ მსხვერპლს ჩვენ დღეს რატომღაც ზედმეტს ვუწოდებთ). ჩვენ რვაჯერ «მოვიწვიეთ» თემურლენგი — შეგვეძლო ნაკლებჯერ მოგვეწვია. ჩვენ უიმედო მდგომარეობაში ვეომეთ ბასილი კეისარს და ბასიანი საბოლოოდ დავკარგეთ — შეგვეძლო არ გვეომა. 1978 წ. მარტო ჩვენ ავიმაღლეთ ხმა რესპუბლიკების კონსტიტუციებიდან ეროვნული ენების სახელმწიფო სტატუსის შესახებ მუხლის ამოღების წინააღმდეგ — შეგვეძლო არ ამოგველო ხმა; მაგრამ მაშინ ჩვენ გავიმარჯვეთ და მერე სხვებმაც, სხვა საბჭოთა რესპუბლიკებმა, იგივე სასურველი ჩანაწერი მიიღეს თავიანთ კონსტიტუციებში, ოღონდ სხვა გზით — უხმაუროდ, ჩვენი ხმაურის ხარჯზე...

მოვიგეთ თუ წავაგეთ ჩვენ ასე? მოიგეს თუ წააგეს სომხებმა? არცერთს არ წაუგია — წააგებდნენ იმ შემთხვევაში, თუ სხვა, არასაკუთარი, გზით ივლიდნენ.

XIX ს-ში ორივე ქვეყანა ერთსა და იმავე მდგომარეობაში აღმოჩნდა — რუსეთის იმპერიაში. ოღონდ სომხებს გაცი-

ლებით ნაკლები პრეტენზია (და, შესაბამისად, გაცილებით მეტი მადლობის სიტყვა) ჰქონდათ რუსეთის მიმართ: რუსეთი მათ უფრო ადრე დაკარგულ სახელმწიფოებრიობას ვერ წაართმევდა. ქართველებმა აჯანყებები და შეთქმულებები დაიწყეს. ქართველები ხმაურობდნენ — თბილისშიც და პეტერბურგშიც. ქართველები არა მარტო რუსიფიკაციას აღუდგნენ წინ, არამედ იმპერიაში სოციალ-დემოკრატიული იდეებისთვის ბრძოლის ავანსცენაზეც დადგნენ. სომხებს დაახლოებით იგივე პრობლემები ჰქონდათ და დაახლოებით იგივე საფრთხეები, მაგრამ ამ პრობლემებს ისინი სხვა გზით ჭრიდნენ — უხმაუროდ, და შედეგად ის მიიღეს, რომ რუსები რეგიონში მათი და არა სხვისი მხარდამჭერები გახდნენ და პრაქტიკულად ყველა პროექტში მათ აუნთეს მწვანე შუქი. სომხებმა მოიგეს.

ჩვენ წავაგეთ? ჩვენც მოვიგეთ, ოღონდ სხვა გზით. ჩვენი გზა საერთოდ, როგორც ჩანს, ავანგარდული მოქმედებების გზა იყო (და, სხვათა შორის, რუსეთის იმპერიის სინამდვილეში ჩვენ მოვიპოვეთ ისეთი პოზიცია, რომელიც ყველას არ ჰქონდა: როგორც ჩანს, XX ს-ის დასაწყისისთვის ჩვენთვის ავტონომიის მოცემა მართლაც განიხილებოდა. ასევე სხვათა შორის: ჩვენ ჩვენი ისტორიის გზაზე სახელმწიფოებრიობა მხოლოდ ერთი საუკუნით დავკარგეთ).

ფაქტი ერთია. 1917 წელს ორივე ქვეყანა გათავისუფლდა, ხოლო 1918-ში ორივემ გამოაცხადა დამოუკიდებლობა. მაგრამ აქაც — ერთი ნიუანსი ფორმალური ხასიათისა: საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა 26 მაისს, ორი დღით უფრო ადრე, ვიდრე სომხეთმა და აზერბაიჯანმა, რომლებმაც დამოუკიდებლობა 28 მაისს გამოაცხადეს. რაც მთავარია თუ სიმბოლური — მათ დამოუკიდებლობა გამო-

აცხადეს თბილისში (!). ასე და ამგვარად, თბილისი და საქართველო სუვერენობისათვის ბრძოლაში ავანგარდში უნდა ყოფილიყო (კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი: როდესაც 1919 წ. გაზაფხულზე რუსეთმა — «სამხრეთ რუსეთის მთავრობის» ჯარებმა — დაამარცხა ჩრდ. კავკასიის მთიელთა რესპუბლიკა, ხელისუფლებამ თბილისს შეაფარა თავი, როგორც ემიგრანტულმა მთავრობამ). ესეც ქართული იდეის ერთი სპეციფიკური ნიუანსია.

•

ყველაფერს, რაც ზემოთ ითქვა, შეიძლება დაემატოს კიდევ ერთი ნიშანი: ქართული იდეა იყო **კატეგორიული სუვერენობის** იდეა. ასეთად არის იგი ჩამოყალიბებული ჩვენი სახელმწიფოებრიობის იმ თეორიულ ფორმულაში, რომელიც X ს-ში შექმნა *გიორგი მერჩულემ*: «ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების. ხოლო კჳრიელეჲსონი ბერძნულად ითქუმის, რომელ არს ქართულად: «უფალო, წყალობა ყავ», გინათუ «უფალო, შეევწყალენ».

ეს ფორმულა ქართული ეკლესიის წიაღში შეიქმნა, და ამით პრაქტიკულად ყველაფერია ნათქვამი (თუ იმასაც დავამატებთ, რომ კიდევ ერთი ღერძული ფორმულა, «ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ» -ში გადმოცემული, ასევე ქართული ქრისტიანული ეკლესიის წიაღში შეიქმნა). ქართული ეკლესია და საქართველოს სუვერენობა — ეს სპეციალური, დიდი თემაა, რომელსაც ცალკე მსჯელობა უნდა. აქ მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ, ჯერ ერთი, სუვერენობისათვის ბრძოლის — განუწყვეტელი ფრონტის — ერთი დიდი შემად-

გენელი ფრაგმენტი ქართული ეკლესიის სუვერენობისათვის ბრძოლაა, რაც ფაქტიურად ქართველთა მოწამეობრივი ისტორიაა (ქართული ეკლესია უფრო მეტად ეწამა თავისი სარწმუნოების დასაცავად, ვიდრე ყველა აღმოსავლური ეკლესია ერთად აღებული, — *მ. თამარაშვილი*, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბილისი, 1995); მეორეც, კატეგორიული სუვერენობის იდეა ახალი საქართველოს, ქრისტიანული საქართველოს, სინამდვილეში ყოველთვის ეკლესიის კატეგორიული სუვერენობის იდეას გულისხმობდა, რაც არა მარტო კონსოლიდაციის, არამედ ქვეყნისა და ერის სუვერენობის ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი იყო, — ეს მკაფიოდ და ლაკონიურად გამოიხატა ზემოთ ნახსენებ ფორმულაში, რომელსაც საფუძვლად ენა და სარწმუნოება დაედო (დაწვრილ. იხ. *ა. სილაგაძე*, ქართული სახელმწიფოებრიობის კონცეფციის ისტორიიდან, თბილისი, 2005).

•

ბუნებრივია, ქართული იდეა არ იყო მხოლოდ ერის შინაგანი მოთხოვნილება, მითუმეტეს არ იყო მხოლოდ ამბიციურობა, — იგი გამყარებული იყო ისეთი სერიოზული და ობიექტური არგუმენტით, როგორიცაა საკუთარი სპეციფიკური და განსაკუთრებული გეოპოლიტიკური მდგომარეობა, რომელიც განაპირობებდა ქვეყნის მნიშვნელოვან **საერთაშორისო ფუნქციას. სუვერენობის იდეა ჩვენთვის ნიშნავდა საკუთარი გეოპოლიტიკური ფუნქციის შესრულებას საკუთარი ძალებით.**

ქართველებს მშვენივრად ჰქონდათ გააზრებული, რომ მათ წილად ერგოთ სპეციფიკური ქვეყანა, არა მხოლოდ ჩრდილოეთ-სამხრეთის და დასავლეთ-აღმოსავლეთის გე-

ოგრაფიულ მიჯნაზე მდებარე, არამედ აგრეთვე სამყაროთა შეხვედრის ადგილი, ევრაზიული ცივილიზაციური ხიდი. ამ ქვეყნის სახეს (არა მარტო პოლიტიკურს) საერთოდ ქმნიდა (არა მარტო ქრისტიანობასა და ისლამს შორის საზღვრის გაჩენის შემდეგ) მიჯნის ფაქტორი, რომელიც მოიცავდა კომპლესს გეოგრაფიული, პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული შესაყარებისა, და იგი ტიპოლოგიურად განაპირობებდა ქართველთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ კონცეფციას, რომელსაც, ყველაფერთან ერთად, უნდა გაეთვალისწინებინა საქართველოზე გამავალი ორი გადაკვეთა — სახელმწიფოთა და ხალხთა პოლიტიკური ინტერესების გადაკვეთა და ცივილიზაციის სხვადასხვა დონეთა გადაკვეთა.

ამ მოცემულობიდან ორი შედეგი გამომდინარეობდა.

ერთი — ის, რომ მიჯნის ფაქტორი განსაზღვრავდა სხვადასხვა ინტერესთა და ცივილიზაციის სხვადასხვა დონეთა მატარებელი ხალხებისა და სახელმწიფოების დამოკიდებულებას ჩვენი ქვეყნის, როგორც შესაყარზე მდებარე და, შესაბამისად, გარკვეული სტრატეგიული გასაღების მფლობელი ქვეყნის, მიმართ.

მეორე და ჩვენთვის მთავარი — ის, რომ იგივე ფაქტორი განსაზღვრავდა **ქართულ ფუნქციას,** ე. ი. ჩვენი ქვეყნის, როგორც შესაყარზე მდებარე და გარკვეული სტრატეგიული გასაღების მფლობელი ქვეყნის, საერთაშორისო ფუნქციას.

რაც შეეხება გასაღებს, მისი მატერიალიზებული გამოხატვა იყო ორ ზღვას შუა ყოფნა (დასავლეთ-აღმოსავლეთი) და დარიალის კარის მფლობელობა (ჩრდილოეთ-სამხრეთი).

უკვე ძვ. წ. მესამე-მეორე ათასწლეულებში ამიერკავკასია სატრანზიტო ფუნქციებს ასრულებდა ძველი აღმოსავლეთისა და ევროპის ურთიერთობებში. მერვე-მეშვიდე საუ-

კუნეებში შავ ზღვაზე კოლხეთის სავაჭრო ფაქტორიები არეგულირებდნენ აღმოსავლეთისა და დასავლეთის კავშირებს. მეოთხე-მესამე საუკუნეებში შექმნილი დიდი სავაჭრო-სატრანზიტო მარშრუტი, რომელიც ინდოეთიდან იწყებოდა, შუა აზიისა და კასპიის გავლის შემდეგ მტკვრით ჩვენს ქვეყანას აღწევდა და ფასისიდან შავი ზღვით ხმელთაშუაზღვისპირეთს და მცირე აზიას უერთდებოდა. საქართველოზე გადიოდა საერთაშორისო ვაჭრობა სასანიანთა ირანისა და ბიზანტიის იმპერიების დროს. ფასისით და შავი ზღვით აღწევდა რომსა და ბიზანტიას ძვ. წ. მეორე საუკუნეში შექმნილი ტრანსკონტინენტური სავაჭრო გზა, აბრეშუმის დიდი გზით ცნობილი...

ასევე იყო აქტუალიზებული ჩრდილოეთ-სამხრეთის შესაყარის ფუნქცია.

ეს ფუნქცია ჩვენს წინაპრებს ძველთაგანვე დააწვათ, განსაკუთრებით ძვ. წ. პირველი ათასწლეულიდან მოყოლებული. მას კონკრეტულად განაპირობებდა, ერთი მხრივ, ველური, სახელმწიფოებრიობაგანუვითარებელი ჩრდილოეთის და, მეორე მხრივ, ეკონომიკურად და კულტურულად დაწინაურებული, სახელმწიფოებრიობაგანვითარებული სამხრეთის გეოგრაფიულ საზღვარზე ყოფნა. ამ დროიდან (განსაკუთრებით კი იბერიის სამეფოს წარმოშობის დროიდან) მოყოლებული, საუკუნეების განმავლობაში, საქართველოზე, ჩრდილოეთ-სამხრეთის მთავარ გზაზე, გადიოდა ხალხების მოძრაობაც და ინტერესთა და პოლიტიკათა მოძრაობაც. ფუნქცია გამოიხატებოდა ამ მოძრაობის გაკონტროლებაში და, საჭირო შემთხვევაში, რეგულირებაში — ეს საქმის ერთი მხარე იყო. მეორე იყო ამ სინამდვილის გამოყენება საკუთა-

რი ინტერესებისათვის. ქართული ფუნქცია, ერთი მხრივ, საერთაშორისო იყო, მეორე მხრივ — საკუთარი.

ძვ. წ. VIII ს-ში ურარტუს (განვითარებული სამხრეთი) მეცადინეობით დაეცა დიაოხი; სამხრეთისკენ გადმოსულმა მომთაბარე კიმერიელებმა (ველური ჩრდილოეთი) დაამარცხეს კოლხა. ამ კრიტიკულ სიტუაციაში ჩვენმა წინაპრებმა ზუსტ გეგმას მიაგნეს, რის საშუალებასაც ჩვენი გეოპოლიტიკური მდგომარეობა იძლეოდა: ამავე საუკუნის ბოლოს სამხრეთ კავკასიაში შემოჭრილ სკვითებთან (ველური ჩრდილოეთი) და აღმავლობის გზაზე დამდგარ მიდიასთან (განვითარებული სამხრეთი) კოალიციაში მომაკვდინებული დარტყმა მიაყენეს ურარტუს, რომელიც მაშინ ყელაზე დიდ საფრთხეს უქმნიდა ქართულ სახელმწიფოებრივ გაერთიანებებს.

კიდევ უფრო თვალსაჩინო მაგალითს იძლევა რომაელთა დაპყრობების ხანა. ძვ. წ. პირველ საუკუნეში რომმა იბერია დაიპყრო — პატარა სახელმწიფოს უზარმაზარი იმპერიის წინაზე არავითარი შანსი არ ჰქონდა. მთელ ამ ისტორიაში მთავარი ისაა, რომ, ჯერ ერთი, მეფე არტაგი წინ აღუდგა პომპეუსს და პირველი მარცხის შემდეგ ბრძოლა ისევ განაგრძო (ქართული სუვერენობის იდეა); მეორეც და განსაკუთრებით საგულისხმო, რომაელებმა იბერიის მეფეს დაუმორჩილებლობა აპატიეს და თავიანთ მოკავშირედ და მეგობრად გაიხადეს. რა თქმა უნდა, ასეთი გადაწყვეტილება არ იყო განპირობებული იბერიის სამხედრო თუ ეკონომიკური პოტენციალით. განპირობებული იყო წმინდა პოლიტიკური მოტივით: იბერიის ხელში იყო დარიალის კარი, მისი ფუნქცია იყო გაეღო ან არ გაეღო იგი, ხოლო გაღების შემთხვევაში საფრთხე ემუქრებოდა იმპერიის აზიურ კოლონიებს (ასეთი-

ვე საფრთხე — ისევ და ისევ ჩრდილოეთ კავკასიაში მომთაბარეთა მხრიდან — ჰქონდა იმპერიის ევროპულ სამფლობელოებს ბალკანეთში); რომისთვის უფრო მომგებიანი იყო ის, რომ იბერიას კვლავ განეხორციელებინა თავისი საერთაშორისო ფუნქცია და, რომის სასარგებლოდ, ჩაეკეტა ჩრდილოეთიდან გადმოსასვლელი გზა (სხვათა შორის, პომპეუსთან ომში არტაგს უკვე ჰქონდა თავის სასარგებლოდ გამოყენებული ეს გზა, როდესაც თავის მხარეზე საბძოლოდ ოვსები გადმოიყვანა; გაცილებით უფრო ადრე ეს გზა, ქართველი მემატიანის ცნობით, ამავე მიზნით ფარნავაზმა გამოიყენა). ასე და ამგვარად იყო მაშინ ჩვენი ფუნქცია — სამხედრო მარცხის შემთხვევაშიც კი — ჩვენი სუვერენობის პრაქტიკული არგუმენტი. ფაქტი იყო — და ეს დაჰყვა ჩვენს ისტორიას — ის, რომ სტრატეგიულად ხელსაყრელი მდგომარეობა ქვეყანას სირთულეებს უქმნიდა, კერძოდ, განაპირობებდა დამპყრობელის მოსვლას, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს მდგომარეობა (და მისგან გამომდინარე ფუნქცია, რომელიც განსაზღვრავდა გეოპოლიტიკას) ქმნიდა სტაბილურობის მექანიზმს, კერძოდ, განაპირობებდა ჩვენს სუვერენულ არსებობას.

ამავე დროს, ყველაფერი ეს არ იყო უბრალოდ მოცემულობა, ჩვენს გარეშე არსებული, არ იყო უბრალოდ ფუნქცია, რომელიც არსებობდა თავისთავად, — ქართველებს ყველაფერი ეს გააზრებული ჰქონდათ თავიანთი ეროვნული, სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური პოზიციებიდან და იბრძოდნენ ამ ფუნქციისთვის, არ თმობდნენ და იცავდნენ მას, მიაჩნდათ რა იგი ქართული სუვერენობის იდეის ერთ-ერთ მთავარ შემადგენლად. როდესაც ისედაც ურთულესი პრობლემების წინაშე მდგომ ვახტანგ გორგასალს ახალი თავსა-

ტეხი გაუჩინეს ხანგრძლივი მომთაბარეობის შემდეგ ჩრდილო კავკასიის მთისწინეთში მოსულმა ოვსებმა, რომლებიც ქართლში შეიჭრნენ და დარიალის ფუნქციის განხორციელებას რეალური საფრთხე შეუქმნეს, მეფემ რეაგირება არ დააყოვნა, მეტოქე სასტიკად დაამარცხა და ჩრდილოეთიდან კარი ისევ ჩაკეტა.

რა თქმა უნდა, ამ ფუნქციას (საერთოდ, ჩვენს საერთაშორისო ფუნქციას) ჩვენ ყველაზე უფრო სრულყოფილად დავით აღმაშენებლის და მისი უშუალო შთამომავლების ხანაში ვასრულებდით. მაგრამ საქმეც ისაა, რომ ეს მხოლოდ ჩვენს აღზევებულობაზე ან, პირიქით, სასუსტეზე არ იყო დამოკიდებული: მაშინ, როდესაც XIII ს-ში აჯანყებული დავით ულუ დამარცხდა, მონღოლებმა მისი ურჩობა დაივიწყეს, რადგანაც მეფემ ქართული ჯარით იკისრა ჩრდილოეთის გზის დაცვა (ოქროს ურდოს წინააღმდეგ — ილხანთა სასარგებლოდ).

ქართული ფუნქცია ყოველთვის არსებობდა და, ყველაფერთან ერთად, მის შესრულებაზე იყო დამოკიდებული ქართული სუვერენობის იდეის ცხოველმყოფელობა. ბოლოსდაბოლოს, რა არის ახალი — ერთიანი და სუვერენული — საქართველო, რომელიც X ს-ში შეიქმნა? ეს არის შედეგი იმ უმძიმესი, საუკუნეების მანძილზე ჩვენს მიერ წარმოებული, პოლიტიკური თამაშისა, რომლის მსვლელობაშიც ჩვენ ბალანსირებულად გამოვიყენეთ დიდი ძალების (სასანიდთა ირანის, ბიზანტიის, არაბების...) ინტერესები, საბოლოოდ არცერთ მხარეს არ გადავექანეთ გადაჭრით და, სუვერენობის იდეის ერთგულებმა, სამოქმედო გეგმად ავიღეთ საკუთარი დამოუკიდებელი საერთაშორისო ფუნქციის შესრულე-

ბა დამოუკიდებლად ან სხვებთან ერთად პარტნიორობის საფუძველზე.

ასევე: რა არის ის, ჩვენს ისტორიაში ფაქტიურად ერთადერთი, მდგომარეობა, როდესაც XIX ს-ში ჩვენ სუვერენობა და სახელმწიფოებრიობა დავკარგეთ? ეს არის (გარდა ცნობილი და ობიექტური საგარეო ფაქტორებისა) შედეგი იმ გადაქანებისა ერთ მხარეს (რუსეთი), როდესაც ჩვენ «უფასოდ» გადავეცით სხვას ჩვენი ფუნქცია (მათ შორის, დარიალის გასაღები), რომლის წყალობითაც ის სახელმწიფოები, ვისთანაც ჩვენ პოლიტიკური შეხებები გვქონდა, ერთმანეთის მეტოქეები უნდა ყოფილიყვნენ არა საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში, არამედ საქართველოსთვის ბრძოლაში, და რეალურად გაეთვალისწინებინათ არა მარტო საკუთარი, არამედ საქართველოს ინტერესებიც, ე. ი. ეღიარებინათ საქართველოს სუვერენობა, რაც ქართული იდეის რეალიზაციას წარმოადგენდა.

საქართველოს საკუთარი — მნიშვნელოვანი — საერთაშორისო ფუნქცია მუდმივია. იცვლებოდა სიტუაციები, იცვლებოდნენ მონაწილეები, მაგრამ ფუნქცია პრინციპულად არ იცვლებოდა, იყო რა ერთ-ერთი არგუმენტი ამბიციურობისთვის ჩვენს სუვერენულობაში.

როგორც ჩანს, იგი ასევე იყო არგუმენტი იმათთვის, ვინც ჩვენს წინააღმდეგ მოქმედებდა. მაგალითად, როდესაც 1917 წელს საქართველო ასწლიანი ვაკუუმის შემდეგ გათავისუფლდა, მის წინააღმდეგ მაშინვე და აბსოლუტურად ყველა მიმართულებიდან განხორციელებული აგრესიული სვლების მთავარი მიზეზი ის იყო, რომ იგი იბრუნებდა თავის მნიშვნელოვან რეგიონულ და საერთაშორისო ფუნქციას, რაც ბევრს არ აწყობდა. თუ დღევანდელობის პოზიციებიდან

ვილაპარაკებთ, ეს ფუნქცია დღეს კიდევ უფრო აქტუალიზებულია, და ამოცანას წარმოადგენს არ გადავაბაროთ იგი სხვას, — უფუნქციო ქვეყანა არასუვერენული ქვეყანაა, ხოლო არასუვერენულობა ქართული იდეის ალტერნატივაა.

და კიდევ ერთი. ბუნებრივია მსჯელობა იმის შესახებ, რომ ქართული ფუნქცია, გასაყარზე ყოფნით განსაზღვრული, არის გეოგრაფიული ფაქტორით განპირობებული გეოპოლიტიკური ფუნქცია. მაგრამ ასევე შეიძლება სხვანაირი, პირიქითა, მსჯელობაც: ის, რომ ჩვენ გეოგრაფიულ და ცივილიზაციურ გასაყარზე აღმოვჩნდით, არის ზოგადად იმ ფუნქციით განპირობებული, რომელიც ჩვენ, როგორც ისტორიისა და პრეისტორიის ერთ-ერთ ელემენტს, შესაძლოა თავიდანვე გვქონდა ბოძებული...

•

ზემოთ უკვე იყო ნათქვამი, რომ ქართული იდეა მხოლოდ შინაგანი მოთხოვნილების პროდუქტი არ იყო. მაგრამ იგი არც მხოლოდ ზემოთ ხსენებულ იმ, თავისთავად ძლიერ, არგუმენტს ემყარებოდა, რომელიც ქვეყნის სპეციფიკურ გეოპოლიტიკურ ფუნქციას გულისხმობდა. **ქართულ იდეას და ქართულ სუვერენობაზე განუხრელ ზრუნვას კიდევ ორი — მეტად მნიშვნელოვანი — მკვებავი ჰქონდა. ერთი — შორეული წარსულის, მეორე — უკიდურესად შორეული მომავლის სახით. ქართული იდეის სპეციფიკურობა, პირველ ყოვლისა, ამ ორი გარემოებითაა განპირობებული.**

პირველი გულისხმობს ქართველთა კოლექტიურ მეხსიერებაში დარჩენილ ინფორმაციას ჩვენი უძველესი წარსულის — პროტოსამშობლოს და უძველესი ცივილიზაციის შე-

სახებ. სწორედ აქ იმალება ქართული იდეის ერთი მთავარი მახასიათებელი. რატომ იყო, სხვა არგუმენტებთან ერთად, სუვერენობაზე ჩვენი ზრუნვა მუდმივი და დაუოკებელი? ზემოთ მე რამდენიმეჯერ ვახსენე, ეთნოფსიქოლოგიური ასპექტი — ეროვნული ხასიათი. ეს ასეა. მაგრამ არის კიდევ ერთი, შეიძლება მთავარი, განმსაზღვრელი ნიშანი. ასეთი ზრუნვა და მასზე აგებული ეროვნული იდეა, უნდა ვივარაუდოთ, კიდევ იმით იყო განპირობებული, რომ დამოუკიდებლობის დაკარგვის და სახელმწიფოებრიობის მოშლის შემთხვევაში, ქართველთა რწმენით, იკარგებოდა არა უბრალოდ ქვეყანა, არა უბრალოდ სპეციფიკური ქვეყანა, არამედ უძველეს და განსაკუთრებულ წარსულთან დაკავშირებული ქვეყანა (ქვემოთ ვნახავთ, რომ სახელმწიფოებრიობის მქონე პრაქტიკულად ერთადერთი უძველესი ცოცხალი ქვეყანა) და მისი განსაკუთრებული ისტორია და პრეისტორია, ხოლო მასთან ერთად — განსაკუთრებული, **ცოცხალი** კავშირი უძველეს სამყაროსთან და უძველეს ცივილიზაციასთან. ეს უკვე ისაა, რასაც ქართული იდეის ფუნქციური მხარე გაჰყავს საკუთრივ ქართული არეალის გარეთ და აერთიანებს კაცობრიობის გლობალურ ისტორიასთან და პრეისტორიასთან.

მაგრამ შეიძლება არც მარტო ესაა მთავარი ქართულ იდეაში. მისი ხასიათი მხოლოდ წარსულით — მსოფლიო წარსულით — არ არის განსაზღვრული. ქართული იდეის კიდევ ერთი და მნიშვნელოვანი მკვებავი ელემენტი უკავშირდება მომავალს — არა მარტო ქართულ, არამედ მსოფლიოს მომავალს. კერძოდ, იგი დაკავშირებულია ჩვენი წინაპრების რწმენასთან ამ ქვეყნის და ამ ერის ფუნქციის შესახებ, რომელიც ქართველებმა და მათმა ენამ უნდა შეასრულოს მომავალში, აპოკალიფსის ჟამს, და მისი დაკარგვა კიდევ უფრო

არ შეიძლება, — ასეთი შეხედულება ჩანს ქართული აზროვნების ისტორიაში, და ისიც განსაზღვრავდა ჩვენს განსაკუთრებულ ზრუნვას ქვეყანაზე, მის სუვერენობაზე და მის მომავალზე.

სუვერენობაზე განსაკუთრებული ზრუნვა, ეს არის ქართული იდეის მთავარი აზრი. ამავე დროს, მისი სპეციფიკურობა ისაა, რომ ქართულ სუვერენობაზე განსაკუთრებული ზრუნვა უშუალოდ დაკავშირებულია ქართულ (აგრეთვე — მსოფლიო) შორეულ წარსულთან და ასევე შორეულ ქართულ (აგრეთვე — მსოფლიო) მომავალთან.

•

ყველაფერი, რაც ზემოთ ითქვა, ქართველთა კოლექტიური მეხსიერებისა და რწმენის სფეროა. ასე იცოდნენ და ასე სწამდათ, კერძოდ, IX-X საუკუნეებში, როდესაც ქართული ქვეყნისა და სახელმწიფოებრიობის აღორძინების (ერთიანი ქართული სახელმწიფოს ხელახალი შექმნის) კიდევ ერთი პროცესი იწყება. ყველაზე რელიეფურად ეს გამომჟღავნდა X (შესაძლოა IX) საუკუნეში შექმნილ წინასწარმეტყველურ ძეგლში «ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ» (*იოანე ზოსიმე*, თუმცა არსებობს განსხვავებული თვალსაზრისიც. განსხვავებული თვალსაზრისებია ტექსტის ზოგიერთი დეტალის გაშიფრვასთან დაკავშირებითაც, იხ.: *პ. ინგოროყვა*, «ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ», — კავკასიონი, №1-2, 1924; გიორგი მერჩულე, თბილისი, 1954; *კ. კეკელიძე*, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბილისი, 1951; *ზ. კიკნაძე*, «ახალის» გაგებისათვის «ქებაჲში», — კრიტიკა, №1, 1985; ქებაჲ ქართულისა ენისაჲ, — სკოლა და ცხოვრება, №3, 1990; *ზ. გამსახურდია*, ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენი-

საჲ, — ცისკარი, №3, 1987; წერილები, ესსეები, თბილისი, 1991; «ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ», შემდგენელ-რედაქტორი *ტ. ფუტკარაძე*, თბილისი, 2000, და სხვ. ქვემოთ ძეგლის მხოლოდ ის დეტალები იქნება გადმოცემული, რომელთა შესახებაც აზრი საყოველთაოა).

1. ძეგლის მიხედვით, ქართული ენა (და მისი მატარებელი ქართველი ერი), «შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაჲთა», არის ოთხი დღის, ე. ი. ოთხი ათასი წლის («ათასი წელი ვითარცა ერთი დღე»), მკვდარი (/დაცული, შენახული), მდაბალი («დაწუნებული»), რაც იმას ნიშნავს, რომ ოთხი ათასი წლის წინ ის აღზევებული იყო. ამასთან, ქართული ენა და ქართველი ერი ლაზარეა, რომელიც მაცხოვარმა სიკვდილის შემდეგ მეოთხე დღეს აღადგინა. და კიდევ ერთი: ქართულ ენაში (ქართველი ერის ენაში), რომელიც, ავტორის აზრით, დროებით მეორე პლანზეა გადაწეული, დამარხულია ეზოტერული ცოდნა — «ყოველივე საიდუმლო»; ეს ერი და მისი ენა (მისი ისტორია, პრეისტორია და ისტორიული კავშირები, მისი კულტურა) მატარებელია იმისა, რაც ქრისტემდე სამი ათასი წლის წინ იყო, და იმისა, რაც კაცობრიობას შემდგომ მოუპოვებია ქრისტიანული საღვთო სიბრძნის სახით. და ბოლოს: ქართული ენა (და ქართველი ერი) არის ქრისტესთანავე «დაფლული სიკვდილითა ნათლისღებისა მისისაჲთა», ე. ი. გაივლის ქრისტესეულ ნათლისღებას სიკვდილითა და აღდგომით. ეს ყველაფერი არის «ქებაჲ და დიდებაჲს» მრწამსი.

2. მეორე მხრივ, ამავე მრწამსით, ქართული ენა და ქართველი ერი იარსებებს ბოლომდე («მოელის დღესა მას მეორედ მოსვლასა უფლისასა») — მეორედ მოსვლამდე, შეინარჩუნებს ჭეშმარიტ რწმენას და აღასრულებს თავის მისი-

ას: ა) იგი ჰსწამებს ქრისტესთვის, აუწყებს ჭეშმარიტებას რწმენისგან განდგომილ ნაწილს კაცობრიობისა; ბ) მეორედ მოსვლის ჟამს ქართული ენის საშუალებით განიკითხება (მხილებულ იქნება) ყოველი ურწმუნო ერი, კაცობრიობა («რათა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა»).

ამრიგად, IX-X საუკუნეების ქართულ აზროვნებას: ა) აქვს ცოდნა იმის შესახებ, რომ ქართული ენა და მისი მფლობელი ხალხი უძველესი ისტორიის (პრეისტორიის) მქონეა; ბ) სჯერა, რომ ქართველ ერს, როგორც ქრისტიან ერს, და მის ენას მისთვის განკუთვნილი მისია აქვს, კერძოდ, ქვეყნიერების აღსასრულის ჟამს.

ამ შემთხვევაში არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, რამდენად სამართლიანია ქართველთა ეს ისტორიული და ესქატოლოგიური წარმოდგენები (თუმცა, მაგალითად, პირველ ნაწილში ისინი აბსოლუტურად სამართლიანია), — ქართული იდეის პოზიციიდან, გადამწყვეტია ის, რომ ასეთი მრწამსი არსებობდა.

•

რაც შეეხება ისტორიას და პრეისტორიას, XIX და განსაკუთრებით XX-XXI საუკუნეების მეცნიერული მონაპოვრები დადებით პასუხს იძლევა, — ამ შემთხვევაში სულ ერთია, რომელ აზრს დავეყრდნობით (ყველაფერი ეს ჩვენს მიერ არ არის პოპულარიზებული, ხოლო სხვების მიერ ფაქტიურად ან დეფორმირებულია, ან მიჩქმალული).

ერთ-ერთი, ყოველთვის პოპულარული (მათ შორის — უცხოელთა შორის) აზრი იყო ის, რომ ქართველი ერი უშუალო მონაწილეა ან უშუალო მემკვიდრეა იმ უძველესი ცივილიზაციისა, რომელიც წინა აზიაში ვითარდებოდა (იხ., მაგ.,

ს. ჯანაშია, ხეტების ისტორიისა და ენის საკითხისათვის, — შრომები, III, თბილისი, 1959; მისივე, საქართველოს ისტორია, — შრომები, V, თბილისი, 1987, და სხვ.; მიმოხილვა იხ. ეპისკ. *ანანია ჯაფარიძე*, ქართველთა წინაპრების ბიბლიური ისტორია ადამიდან იესომდე, თბილისი, 1994).

ეს პრინციპული დებულება სხვადასხვანაირადაა ინტერპრეტირებული. მათ შორის: ქართველების (ქართველური ტომების) შემადგენლობას შეერწყა უძველესი აღმოსავლეთის ცივილიზაციის შემქმნელი ხალხების ნაწილი (იხ. *გ. მელიქიშვილი*, ქართველები, მათი წარმომავლობის საკითხი). ასევე: მტკვარ-არაქსის კულტურას, რომლის ძირითად შემადგენელს კავკასიურთან ერთად ქართველური ელემენტი წარმოადგენდა (იგი მთავარ, წამყვან ელემენტს წარმოადგენდა შემდეგში ამ კულტურის ნიადაგზე წარმოშობილი თრიალეთის კულტურაშიც), უშუალო კავშირი ჰქონდა წინააზიურ (შუმერულ) ცივილიზაციასთან, რასაც არქეოლოგიური მონაცემები ადასტურებენ (იხ. *О. Лордкипанидзе*, Наследие древней Грузии, Тбилиси, 1989; *ო. ჯაფარიძე*, საქართველოს არქეოლოგია, თბილისი, 1991).

ასევე ცნობილია ამასთან დაკავშირებული კონკრეტული მოსაზრება იმის შესახებ, რომ იმ ძველმა ცივილიზაციამ, რომლის შექმნაშიც ქართველური მოდგმა თავისი პროტოსახით უშუალოდ იღებდა მონაწილეობას, მეოთხე ათასწლეულის შემდეგ ადგილი დაუთმო ინდოევროპულს. ზოგადად, ეს არის ხმელთაშუა ზღვის კულტურა — პროტოიბერების/პროტოიბერიული კულტურა, ასევე — მცირე აზიის კულტურა (ბოლო ხანებში ეს აზრი ხაზგასმულად იხ. — *ზ. გამსახურდია*, «ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ»; იხ. აგრეთვე *ს. ჯანაშია*, შრომები, V). ამ ძველ მოდგმას და ცივი-

ლიზაციას დღეს წარმოადგენენ ქართველები და ბასკები (ქართულისა და ბასკურის გენეტიკური ნათესაობის თეორია იხ. — *J. Braun*, Euscaro-Caucasica. Historial and Comparative Studies on Kartvelian and Basque. Warszawa, 1998); ქართველები წარმოადგენენ იბერიულ-კავკასიურ შტოს, მეორე შტო შემორჩა პირენეზე — იბერიის ნახევარკუნძულზე — პირენეულ-იბერიული შტოს, ბასკების, სახით. (ქართული იდეის პოზიციებიდან, ამ კონცეფციის ფარგლებში ყურადღება მისაქცევია იმაზე, რომ დღეს მსოფლიოს ისტორიის ამ უძველესი მონაკვეთის წარმომადგენელი ერთადერთი სუვერენული (!) სახელმწიფო არის საქართველო).

საბოლოოდ, ქართველთა წინაპრები, რომლებიც განვითარების მაღალ საფეხურზე იდგნენ, დახვდნენ თავიანთ მეზობლად, მაგალითად, ძველ ბერძნებს და გავლენას ახდენდნენ მათზე, კერძოდ მათი ენის ლექსიკაზე (იხ., მაგ., *ს. ყაუხჩიშვილი,* რას გვიამბობდნენ ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1964).

უნდა კიდევ ერთხელ იქნეს გამეორებული, რომ არა აქვს მნიშვნელობა მსჯელობის აგებისას რომელ კონცეფციას დავეყრდნობით. ყველა შემთხვევაში მთავარია ის, რომ მეცნიერული აზრი, როდესაც თანამედროვე მეცნიერების (იგულისხმება — საერთოდ, და არა მხოლოდ ისტორიოგრაფია თუ ფილოლოგია) ყველაზე მაღალ ამოცანას — ამოსავალი მდგომარეობის განსაზღვრის/რეკონსტრუქციის ამოცანას — განიხილავს, უძველესი ცივილიზაციების კონტექსტში აუცილებლად მიადგება კავკასიას, კერძოდ, საქართველოს — კოლხეთს, იბერიას, მათ საერთო წინარესამშობლოს (თუ ეს მართლაც მეცნიერული აზრია, გამოსული პირველი ხელიდან — მეცნიერების შესაბამისი დარგის წარმომადგენ-

ლის ხელიდან, და არა მეორე ხელიდან — არასამეცნიერო ინტერესების მქონე გამყალბებელი კომპილატორების ხელიდან, რომლებიც სხვადასხვა ცნობარებსა და ენციკლოპედიებში ათავსებენ სუბიექტურ ზრახვებზე აგებულ სტატიებს).

ყველაზე უფრო სრულყოფილ სურათს იძლევა ლინგვისტური მონაცემები — მათ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ, რადგანაც ლინგვისტური ანალიზი ზუსტ მეთოდიკას ემყარება.

ეს ანალიზი უკვე გასული საუკუნის დასაწყისიდან ცხადად ხედავდა, რომ კაცობრიობის ისტორიის უძველესი პლასტების გაცნობისას, უძველეს მატერიალურ ძეგლთა ნაშთების ანალიზისას ბევრი რამ არ უკავშირდებოდა არც სემიტებს, არც ინდოევროპელებს; აშკარად ჩანდა კვალი სხვა ტომის მუშაობისა, — «მესამე ეთნიკური ელემენტი», ასე შეერქვა მას მაშინ («მესამე ელემენტი მცირე და მთელ წინა აზიაში; მესამე ელემენტი ხმელთაშუა ზღვის კუნძულებზე, ისევე როგორც ბალკანეთის და აპენინის ნახევარკუნძულებზე; იგივე მესამე ელემენტი ევროპის უკიდურეს დასავლეთშიც, პირენეს ნახევარკუნძულზე; მესამე ელემენტი რუსეთის სამხრეთშიც, პონტოს ნაპირებზე, რომლებიც აგრძელებენ ხმელთაშუაზღვისპირეთს. ერთი სიტყვით, ხმელთაშუაზღვის კულტურის, მსოფლიო კულტურშემოქმედების ისტორიული კერის, ქვესაფუძვლად ანდა პირდაპირ საფუძვლად თანდათანობით ისახებოდა ეს უცნობი მესამე ეთნიკური ელემენტი», — ნ. მარი, Яфетический Кавказ и третий этнический элемент в созидании средиземноморской культуры, — იხ. წიგნში: *Н.Я. Марр*, Этапы развития яфетической теории, Лен., 1933). საბოლოოდ, ეს ელემენტი ე. წ. იაფეთურ ენებს დაუკავშირდა; ნ. მარის აზრით, ეს ენები ყველაზე ძვე-

ლია და, მაგალითად, ინდოევროპული ენები წარმოადგენენ მათი განვითარების შედარებით ახალ სტადიას. საგულისხმო ამ თეორიაში ქართულის, როგორც ცოცხლად შემონახული უძველესი ენის, განსაკუთრებული ადგილია: «...из всех яфетических это единственный сравнительно в чистом виде сохранившийся культурный язык».

შემდგომში იმავე ლინგვისტურმა ანალიზმა (იხ., კერძოდ, *Т. В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванов,* Индоевропейский язык и индоевропейцы, Тбилиси, 1984; *თ. გამყრელიძე,* ინდოევროპელები, ქართველები, სემიტები, — მნათობი, №6, 1984) ცალსახად მოგვცა დასკვნა იმის შესახებ, რომ ძვ. წ. მეოთხე-მესამე ათასწლეულებში ქართველები (ქართველური ტომი/პროტოქართველები/საერთოქართველურ ფუძე-ენაზე მეტყველნი), პროტოსემიტურ და პროტოინდოევროპულ ხალხებთან ერთად, წინა აზიის რეგიონში წარმოადგენდნენ იმ მთავარ ეთნიკურ ელემენტს, რომელიც ახალი ცივილიზაციის აკვანთან იდგა.

ჩვენს წინაპრებს უშუალო კონტაქტები ჰქონდათ ამ ორ პროტოენასთან (და ხალხებთან) და ამ დროს ორმხრივი გავლენები იქმნებოდა, პირველ რიგში ლექსიკის სფეროში. (კონტაქტები ჰქონდათ სხვა უძველეს ენებთანაც, მაგ., შუმერულთან, რომელთან ენობრივი ურთიერთობების თუ ნათესაობის სამეცნიერო ვერსიათაგან — და ამჯერად ჩვენთვის ესაა საინტერესო — ერთ-ერთი ყველაზე უფრო ცნობილია ქართული; იხ. *მ. წერეთელი,* სუმერული და ქართული, — გვირგვინი, თბილისი, 1912; Sumerian and Georgian, – Journal of the Royal Asiatic Society, 1913-1916; Das Sumerische und das Georgische, — Bedi Karthlisa, N32, 33, 1959; *H. Fähnrich*, Das Sumerische und die Kartwelsprachen, — Georgica, Heft 4, Jena-

Tbilissi, 1981; *ჯ. შარაშენიძე,* შუმერები და მათი კულტურა, თბილისი, 1983; *რ. გორდეზიანი,* მედიტერანულ-ქართული მიმართებები, I, თბილისი, 2007, და სხვ.).

ჩვენთვის ამჯერად მთავარი ისაა, რომ **ჩვენი წინაპრების არსებობა წინა აზიაში ქრონოლოგიურად იმ ხანას განეკუთვნება, როდესაც აქ მათთან ერთად პროტოსემიტები და პროტოინდოევროპელები იყვნენ.** ქართული მოდგმა ამ ისტორიულ-კულტურული არეალის და ამ უძველესი ცივილიზაციის წევრია, და მაშინაც და მომდევნო ეპოქაშიც, ერთი მხრივ, ითვისებდა სხვისგან, მეორე მხრივ, გავლენას ახდენდა სხვაზე. ძველბერძნულისთვის, მაგალითად, დათვლილია 100-მდე ლექსიკური ფორმა, რომელიც ქართულს უკავშირდება (იხ. *E. J. Furnée,* Vorgriechisch-Kartvelisches. Studien zum ostmediterranen Substrat nebst einem Versuch zu einer neuen pelasgischen Theorie. Leuven, 1979; Beiträge zur georgischen Etimologie. Leuven, 1982). კონტაქტები იმდენად მჭიდრო იყო, რომ ქართველურ და ინდოევროპულ ენებში წარმოიშვა გარკვეული სტრუქტურულ-გრამატიკული იზომორფიზმი.

ფაქტი ერთია: ჩვენი წინაპრები — ამჯერად ჩვენთვის საინტერესოა სწორედ საკუთარი ისტორიული წარმოდგენები — ქართულ ენას, ჩვენი სუვერენობის ერთ-ერთ მთავარ არგუმენტს, განაკუთვნებდნენ უძველესთა უნიკალურ კატეგორიას და, როგორც ჩანს, ამ აზრს დაახლოებით ისე გამოთქვამდნენ, როგორც ახალ დროში გამოთქვამდა მეცნიერება თავის მეტა-ენაზე; მაგალითად: ნიკო მარი — «ჩვეულებრივად მისახვდენ ენაში, ქართულ ენაშიაც კულტურის ყველა ეგ ნივთიერი ძეგლი ცხადდება თვალსაჩინოდ. მაგრამ ქართულ ენაში ცხადდება უძველესი ხანების, ისტორიაზე წინ დასწრებული ხანების, კაცობრიობის კულტურული წინ-

სვლის ყოველი ნაბიჯი. ქართული ენა გაუღენთილია უძველეს ეპოქების ჩარჩენილობით, რელიქტიური კავშირებით, ელემენტებით, გარდმონაცხოვრით (survivance). ქართულ და მის მონათესავე ენებში სხვა და სხვა ისტორიაზე წინ დასწრებულ ეპოქების წანალეკნი ირკვევიან და მათის გათხრით შუქი ეფინება საზოგადოდ ადამიანის ენის ზრდას მის გაჩენის დღიდან და მაშასადამე შუქი ეფინება მთელი კაცობრიობის ისტორიაზე წინდასწრებული კულტურის ზრდასაც» (*ნ. მარი*, ქართული ენის კულტურული შუბლი ენათმეცნიერების მიხედვით, — მნათობი №№4-6, 1925). ან: ა. ლოსევი — **«Мировая роль грузинского и других картвельских языков.** Переход к номинативному строю в самой яркой форме происходил в картвельских языках. Уже беглое ознакомление с грамматикой грузинского языка показывает, какая героическая роль принадлежит грузинскому языку в смысле преодоления эргативной системы и достижения номинативной. Ни в каких других языках не видны в столь яркой форме мощные усилия человеческого языка и мышления преодолеть эргативные и другие типы, а также связанную с ними мифологию и перейти к номинативному строю, этому выразителю и закрепителю уже чисто научного подхода к действительности. Конечно, очень хорошо пользоваться плодами великой победы, как это происходит в индоевропейских языках, где мы даже забыли и думать, каким замечательным открытием является именительный падеж в качестве падежа субъекта. Но трижды величественнее та героическая мощь, которая была проявлена для достижения этой победы. То, что в аористических временах в языках картвельской группы все еще царит эргативная конструкция, а в презентальных утвердилась номинативная; то, что на языках этой группы (но на

этот раз и в других кавказских языках) весьма ощутительно назревание номинатива, постепенно вырастающего из эргатива, становление активного и пассивного залога, замена абсолютного падежа дательно-винительным, уже зависящим от сказуемого, а не главенствующим над ним, — все это представляет собой прекрасную картину борьбы человеческого духа за точные грамматические категории и тем самым за научное мышление, за высшее человеческое сознание, за преодоление темных и беспомощных воззрений на природу и, значит, в конце концов за овладение самой природой. Изучение картвельских языков с этой стороны весьма эффективно; и жаль, что размеры нашей работы не позволяют привести здесь все эти замечательные факты из картвельской грамматики» (О типах грамматического предложения в связи с историей мышления, — *А. Ф. Лосев*, Знак. Символ. Миф. Труды по языкознанию. М. 1982).

•

ამ კონტექსტში ყურადღება უნდა მიექცეს ერთ მოვლენას.

პროტოენები განვითარებაში გულისხმობენ დიფერენციაციის პროცესს — გვაძლევენ შესაბამის ენობრივ ოჯახთა მრავალ სხვადასხვა წარმომადგენელს (ენათა კლასიფიკაცია ოჯახებად ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების კლასიკური მონაპოვარია. ამჟამად დაჯგუფებათა სხვადასხვა ახალი სქემაა შექმნილი, მაგ. — 12. ოჯახი, იხ. *M. Ruhlen,* The Origin of Language, 1994; ან 21 ოჯახი, იხ. *L.L. Cavalli-Sforza,* Genes, Peoples and Languages, London, 2000; და სხვ. ყველა სქემაში ქართველური ენათა ცალკე ოჯახს წარმოადგენს).

ზემოთდასახელებული სამი წინარეენიდან წარმოიქმნენ — დღეს ცოცხალი ან უკვე მკვდარი ენების სახით (მივმართავ კლასიკურ, საქრესტომათიო კლასიფიკაციას):

1. პროტოსემიტურიდან — სემიტური ენები (და შესაბამისი ხალხები): აქადური, ამორეული, უგარითული, არამეული, ფინიკიური, ებრაული, მოაბური, არაბული, ეთიოპური.

2. პროტოინდოევროპულიდან — ინდოევროპული ენები (და შესაბამისი ხალხები): ა) ხეთურ-ლუვიური ენები; ბ) ინდოარიული ენები: ვედური სანსკრიტი; საშუალო ინდურ ენათა ჯგუფი; ახალი ინდური — ჰინდი, ურდუ, ბენგალი, პენჯაბი, სინდჰი, გუჯარათი, ნეპალური, ბოშური და სხვ.; გ) ირანული ენები: ძვ. სპარსული, ავესტა; საშუალო ირანული — ფალაური, პართული, ხორეზმული, სოღდური და სხვ.; ზოგიერთი კლასიფიკაციით, ტოხარული ენებიც; ახალი ირანული — სპარსული, ტაჯიკური, პუშტუ (ავღანური), ოსური, ქურთული და სხვ; პამირული ენები; დ) სომხური; ე) ფრიგიული; ვ) ბერძნული — საერთობერძნულამდე არსებული დიალექტები, ძველი, საშუალო, ახალი ბერძნული; ზ) თრაკიული; თ) ალბანური; ი) ილირიული; კ) ვენედური; ლ) იტალიკური ენები — ლათინური და სხვ.; მ) რომანული ენები — ესპანური, პორტუგალიური, ფრანგული, პროვანსული, იტალიური, სარდინიული, რუმინული, მოლდავური და სხვ.; ნ) კელტური ენები: გალური, ბრეტონული, უელსური, კორნუელსური, ირლანდიული, შოტლანდიური და სხვ.; ო) გერმანიკული ენები: გუთური, შვედური, დანიური, ნორვეგიული, ისლანდიური, ფარერული, ძვ. ზემოგერმანული, ძვ. საქსონური, ძვ. ქვემოფრანკული, ძვ. ინგლისური, ახ. გერმანული, ახ. ინგლისური, ნიდერლანდური, ფლამანდური და სხვ.; პ) ბალტური ენები: პრუსიული, ლიტვური, ლატვიური და სხვ.; ჟ) სლავური

ენები: ძვ. სლავური, რუსული, უკრაინული, ბელორუსული, პოლონური, ჩეხური, სლოვაკური, ბულგარული, მაკედონიური, სერბული, სლოვენური და სხვ.

3. ქართველურიდან — ქართული მეგრულ-ლაზურით და სვანურით.

სხვა სიტყვებით: იმ ძველი სამი ელემენტიდან ისტორიის მანძილზე და დღეს ორს წარმოადგენენ ხალხთა მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ჯგუფები, ხოლო მესამეს — ერთი, ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხის და ჩვენი ენის სახით. ათასწლეულთა განვითარებამ ისეთი სიტუაცია შექმნა, როდესაც პროტოსემიტური და პროტოინდოევროპული თავიანთ ჯგუფებში გვაძლევენ ერთმანეთისგან პრინციპულად (ისტორიულად, კულტურულად, რელიგიურად, პოლიტიკურად...) დიფერენცირებულ სახელმწიფოთა და ხალხთა (ასევე — ენათა) უზარმაზარ რაოდენობას. და ამის გვერდით, პროტოქართული/ქართველური — ერთ ქვეყანას, ერთ ხალხს და ერთ ენას, რომლის სამი შტო ერთსა და იმავე სალიტერატურო (მათ შორის — სალოცავ) ენას ქმნის.

საოცარი აქ, რა თქმა უნდა, ის არ არის, რომ ორ შემთხვევაში განვითარებაში მივიღეთ ენათა, ხალხთა და ქვეყანათა დიდი რაოდენობა, — ეს ბუნებრივია, არამედ ის, რომ მესამე შემთხვევაში განვითარებამ დატოვა ფაქტიურად ერთი ენა და მასთან დაკავშირებული ერთი ქვეყანა.*

---

* ზემოთწარმოდგენილი მსჯელობები პრინციპულად არ იცვლება, თუ სხვა თვალსაზრისს დავადგებით და იმ პროტოსამშობლოს მემკვიდრედ მთელ კავკასიას (ავტოხთონებს) აღვიქვამთ. საქმე ისაა, რომ ჩვენ ამ რეგიონში არა მარტო ცენტრალური ადგილი გვეჭირა, არამედ ჩვენ და არა სხვა ვინმე, ვიყავით რა ყოველთვის სახელმწიფო, წარმოვადგენდით რეგიონს გლობალურ პოლიტიკურ ისტორიაში და ცივილიზაციაში. მკითხველს არ უნდა დაავიწყდეს, რომ ამ-

რეალურად ყველაფერი ეს იმას ნიშნავს, რომ, ვთქვათ, პროტოინდოევროპულის მემკვიდრეობაზე დღეს პრეტენზიას აცხადებს — თითოეული სამართლიანად — 40-ზე მეტი ქვეყანა. ამ სურათში საქართველოს მართლაც აქვს სპეციფიკური სტატუსი: იგი, სხვებისგან განსხვავებით, იმ ცივილიზაციის ერთი ელემენტის პირდაპირი — უშუალო და არა შუალობითი — მემკვიდრეა; უფრო ზუსტად — არა მემკვიდრე, არამედ წარმომადგენელი. ამ ნიშნით მას იმ ცივილიზაციის საერთო მემკვიდრეთა შორის სპეციფიკური ადგილი უჭირავს — იგი მის წარმომადგენელ **ცოცხალ, სუვერენულ** ქვეყანათა და ერთა შორის უძველესია.*

ჯერად საკითხის ეს მხარეა, პირველ ყოვლისა, საინტერესო და არა წმინდა ლინგვისტური. ასევე არ დაავიწყდეს, რომ ის, რაზედაც ლაპარაკია, უკავშირდება ქართულ იდეას და ამ კონტექსტში — ქართველთა ისტორიულ წარმოდგენებს. (რაც შეეხება ლინგვისტურ მხარეს: ქართველური და ჩრდ. კავკასიური ენების, კერძოდ ნახურის, ერთი გენეტიკური წყაროდან მომდინარეობის დასაბუთების ცდა, დამყარებული ფუძე-ენებში კანონზომიერი ფონემური შესატყვისობების დადგენაზე, იხ. , მაგ., *მ. ჩუხუა*, იბერიულ-იჩქერიულ ენათა შედარებითი გრამატიკა, თბილისი, 2008; ასევე იხ. იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის შესახებ — *მ. ქურდიანი*, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები, თბილისი, 2007).

* თუ სწორია იდეა ერთი საერთო მსოფლიო ენის არსებობის შესახებ, რომლისგანაც ყველა ენა განვითარდა (იხ., მაგ., *J. Bengston, M. Ruhlen*, Global Etymologies. On the Origin of Languages, Stanford, 1994; *J. Greenberg*, Indo-European and its Closest Relatives, Stanford, 2000; შდრ *რ. გორდეზიანი*, მედიტერანულ-ქართული მიმართებები, I), მაშინ ჰიპოთეტურად შესაძლებელია იმის თქმა, რომ ქართული/ქართველური იმ ენებს განეკუთვნება, რომლებიც ყველაზე ახლოს დგანან მასთან, — იგულისხმება არა სტრუქტურა, არამედ განვითარების გზა (რომელშიც ენათა ოჯახებამდე კიდევ უფრო მცირე რაოდენობით ამოსავალი ენობრივი ჯგუფების არსებობა ივარაუდება); ასეთი დაშვების შესაძლებლობა იმას ემყარება, რომ ამოსავალი ჯგუფების დაშლა შესაბამისი ენების (ოჯახების) დიდ

ამ პირობებში სრულიად არ არის მოულოდნელი და გასაკვირი ქართველთა განუხრელი ზრუნვა ამ ქვეყანაზე, რაც ქართულ იდეაში ჩამოყალიბდა სუვერენობის მიმართ განსაკუთრებულ დამოკიდებულებად, რადგანაც სუვერენობა ქართული იმ თვითმყოფადობის შენახვის (ასევე — იმ უძველეს სამყაროსთან ცოცხალი კავშირის არდაკარგვის) გარანტია იყო, რომელიც ძალიან ძველია, და, როგორც ასეთი, ჯერ ერთი, არა უბრალოდ ჩვენი, არამედ მსოფლიო ცივილიზაციის ელემენტია, მეორეც, როგორც ასეთი, როგორც ელემენტი, ერთადერთი (მესამე პროტოელემეტის ერთადერთი წარმომადგენელი), ე. ი. უნიკალურია.

●

ამავე კონტექსტში — კიდევ ერთი მსჯელობა.

ზემოთ ითქვა, რომ ქართველურმა განვითარებაში მოგვცა ფაქტიურად ერთი ენა. მაგრამ საქმე ისაა, რომ ქართველურის ტრანსფორმაცია რეალურად არ ამცდარა ენათა განვითარების — დიფერენციაცია-დივერგენციის — ბუნებრივ, უნივერსალურ სქემას. ქართველურიც იშლებოდა ჯერ სვანურის, შემდეგ მეგრულ-ლაზურის გამოყოფის გზით: ქართველური →ქართულ-ზანური, სვანური → ქართული, ზანური, სვანური. ჩვენც ვიშლებოდით ისევე, როგორც პროტოსემიტები და პროტოინდოევროპელები, მაგრამ ჩვენ ვერთიანდებოდით (საინტერესო დაკვირვება: ქართველური სამყა-

---

რაოდენობას ქმნის, ხოლო ქართველურმა დაშლის შედეგად მოგვცა ლოკალიზებულად ერთი, სამელემენტიანი ჯგუფი (რომელიც ფუნქციურად შეადგენს ერთ ელემენტს ლიტერატურული/სამწერლობო ენის სახით + შტოები).

როს ტომობრივი თუ დიალექტური დიფერენციაციის ყოველი ახალი ეტაპი ხდება მისი ინტეგრაციის ახალი ფორმის ჩამოყალიბების საფუძველი, — *რ. გორდეზიანი*, ქართული თვითშეგნების ჩამოყალიბების პრობლემა).

ესეც პრაქტიკულად უნიკალური შემთხვევაა ათასწლეულთა ისტორიაში. ფაქტიური სურათი ასეთია: დიფერენციაციის გზით ქართველურიდან განვითარებულმა ერთეულებმა საბოლოოდ არ ისურვეს ცალკე ენის სტატუსი და ერთობლივად შექმნეს ერთი სალიტერატურო ენა თავისი ერთი დამწერლობითა და მწიგნობრობით, რომელსაც ქართული დაარქვეს (შექმნა ყველამ, მათ შორის იმ ტომებმა, რომელთა სამეტყველო ენა ისე შორს არ წასულა დიფერენციაციის გზაზე; ლინგვისტურ დეტალებს ჩვენთვის ამჯერად მნიშვნელობა არ აქვს, თუმცა უნდა ითქვას, რომ ერთი საერთო ენის ფუნქცია ფარნავაზის ეპოქამდე გაცილებით ადრე უნდა არსებულიყო). ეს ვითარება — ბუნებრივი — დამკვიდრდა როგორც საბოლოო და ერთადერთი, ქართველებმა ასე შეინარჩუნეს ეროვნული ერთიანობა და მთლიანობა. ერთი საერთო სალიტერატურო და სალოცავი ენა, ერთი დამწერლობა და მწიგნობრობა, ეს იმას ნიშნავს, რომ **მათ ისურვეს ერთ ერად —ქართველებად — ყოფნა და ასე ზრუნვა სუვერენობაზე ერთი ქართული იდეის საფუძველზე.**

მაგრამ ეს შეიძლება იმასაც ნიშნავდეს, რომ მათ ასე — ერთ მთელად და დაუშლელად — შეინარჩუნეს (შეუნარჩუნეს კაცობრიობას) ერთ-ერთი უძველესი ცივილიზაციური ელემენტი და მოიტანეს დღემდე.

ამ შემთხვევაში იმის თქმაც შეიძლება, რომ — არა მხოლოდ მათ, არა მხოლოდ მათმა ისტორიამ და მისმა კანონზომიერებებმა, არამედ საერთოდ ისტორიამ, რომელსაც კანონ-

ზომიერი ხასიათი აქვს. ისტორიამ ასე ინება და ასე განგვიკუთვნა ადგილიც და სტატუსიც, — კერძოდ, ისე, რომ ის ელემენტი არ დაგვეშალა, დაგვეტოვებინა პრაქტიკულად ერთ მთელად ერთ მემკვიდრესთან.

უნდა ვიგულისხმოთ — ეს სრულიადაც არ არის გამორიცხული, — რომ ყველაფერი ეს თავისთავად კვებავდა (არ აქვს მნიშვნელობა, რამდენად გაცნობიერებულად) ქართველთა ეროვნულ იდეას, იყო მისი, მათ შორის მისი ამბიციურობის, არგუმენტი.

•

ამბიციურობას რაც შეეხება, ამაზე ოდნავ ქვემოთ, ჯერ — ქართული იდეის კიდევ ერთი მკვებავის, მომავალში ქართველი ერის ფუნქციაზე ტრადიციული წარმოდგენის, შესახებ.

როგორც ჩანს, ეს წარმოდგენა (იხ. ზემოთ, «ქებაჲსთან» დაკავშირებით), პირველ ყოვლისა, დაკავშირებულია ქართველთა რწმენასთან, რომ მათი ქვეყანა არაორდინარული ქრისტიანული ქვეყანაა, რადგანაც ღვთისმშობლის წილხვდომილია (შდრ *ს. მახარაშვილი*, ბასილი პროტოასიკრიტის მსოფლმხედველობისათვის, — კრებ.: ბიზანტინოლოგია საქართველოში, თბილისი, 2007).

ბასილი მონაზონის (IX ს-ის ბერძენი ავტორი, მის თხზულებას ჩვენამდე არ მოუღწევია, მოღწეულია ექვთიმე ათონელის თარგმანი, აგრეთვე მასზე დამყარებული რამდენიმე სხვა რედაქცია) «ცხოვრება ილარიონ ქართველისა»: (ულუმბოს მთაზე ბერძენ მამასახლისს, რომელმაც, როგორც არაბერძენნი, არ მიიღო ილარიონი და ქართველი ბე-

რები, გამოეცხადა ღვთისმშობელი და უთხრა:) «რომელნი მათ არა შეიწყნარებენ, მტერ ჩემდა არიან“.

ღვთისმშობლის მფარველობითი მისიის შესახებ იდეა (იხ. ქართლის ცხოვრება — ლეონტი მროველის «ცხოვრება ქართველთა მეფეთა») ჩვენს კლასიკურ აზროვნებაში, კერძოდ ლიტერატურაში, დამკვიდრებულია (იხ. კიდევ: გიორგი მთაწმიდელის «ცხოვრება იოანესი და ეფთვიმესი», გიორგი მცირის «ცხოვრება გიორგი მთაწმიდლისა», არსენ ბერის «ცხოვრება წმ. ნინოსი», ნიკოლოზ გულაბერისძის «სვეტიცხოვლის საკითხავი»...).

რაც მთავარია, ეს წარმოდგენა არ არის მარტო ქართული (სათანადო საილუსტრაციო მასალა იხ., მაგ., *ზ. გამსახურდია*, «ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ»; *ნ. ბარამიძე*, ლაზარე-საქართველო და აპოკალიფსური ჟამი, თბილისი, 2008).

იგი საყოველთაოდაა მიღებული მართლმადიდებლურ, კერძოდ სლავურ, რუსულ სამყაროში (იხ., მაგ XVI ს-ის ძველსლავური ცნობილი აკათისტო ივერიის ღვთისმშობლისა, თუ XIX ს-ში სერაფიმ საროველთან, თუ ახალ დროში — XX ს. — ლავრენტი ჩერნიგოველთან).

•

ყველაფერი, რაც ზემოთ ითქვა, ერთი მხრივ, მეცნიერული, მეორე მხრივ, თეოლოგიური განსჯის სფეროა. მაგრამ ქართული იდეის პოზიციიდან მთავარია, რომ ყველაფერი ეს რწმენაა, რომელიც, უნდა დავასკვნათ, განაპირობებდა ქართულ სუვერენობაზე ჩვენს განსაკუთრებულ ზრუნვას — ქართულ იდეას.

ქართველებს სჯეროდათ, და ამაში უნდა ვეძებოთ მათი ეროვნული იდეის ერთ-ერთი მთავარი საფუძველი. მათ სჯეროდათ, რომ ქვეყანა, რომლის სუვერენობასა და მომავალს ისინი იცავდნენ, **არა მხოლოდ მათთვის იყო საინტერესო და განსაკუთრებული ქვეყანა.**

— მათი ენა უძველესთა რიგში დგას, მათი წინაპრები უძველესი (წარლვნის შემდეგდროინდელი) ცივილიზაციის შემოქმედნი არიან, ხოლო, საერთოდ, ისინი ნოეს პირდაპირ შთამომავლებს განეკუთვნებიან.

— მათ რეგიონშია კლდეზე მიჯაჭვული პრომეთე (რომელიც არ არის ბერძნული პანთეონის წარმომადგენელი, — იგი უფრო ძველი ცივილიზაციის წევრია);

— მათ ქვეყანაში მოდიოდნენ ოქროს საწმისისთვის (რომელიც, ყველაფერთან ერთად, გარკვეული კულტურის / ცივილიზაციის სიმბოლოა); მათი სამყაროა კოლხეთიც, მედეაც, აიეტიც, კირკეც, პასიფაეც, აფსირტეც...

— მათთან, მცხეთაში, ინახება მაცხოვრის კვართი, რომელიც, მათი ღრმა რწმენით, აქ არა შემთხვევით, არამედ «წინასწარვე განგებულებით» მოხვდა; და კიდევ ერთი, რასაც ჩვენი წინაპრები განსაკუთრებულად აქცევდნენ ყურადღებას: ეს მოხდა ქართველთა გაქრისტიანებამდე და, საერთოდ, იქამდე, ვიდრე მოციქულები შეუდგებოდნენ ქრისტიანული სამოციქულო მისიის აღსრულებას მსოფლიოში, — ქართველობა წინასწარვე, პროვიდენციულად იყო არჩეული ქრისტიან ერად.

— მათი ქვეყანა ახალი ისრაელია, ხოლო მათი ერი — ერი საზეპურო.

— მათი სამშობლო ღვთისმშობლის წილხვედრია (როგორც ზემოთ ვნახეთ, ამას არაქართველებიც აღიარებდნენ).

— ღვთისმშობელმა ანდრია პირველწოდებული წარგზავნა საქართველოში და თან თავისი ხელთუქმნელი ხატი გაატანა. საქართველოს განმანათლებელი იესო ქრისტეს პირველი მოწაფე იყო (სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ფაქტის მიმართ პრაქტიკულად მხოლოდ ერთხელ იქნა ეჭვი გამოთქმული — ქართველი და არა უცხოელი ავტორის მიერ; საერთოდ კი, ფაქტი დადგენილად ითვლება, — იხ., მაგ., *Fr. Dvornik*, The Idea of Apostolisity in Bizantium and the Legend of the Apostle Andrew. Cambridge, Massachusetts, 1958), ასევე სიმონ კანანელი — იესოს უკანასკნელი მოწაფე, ასევე მატათია — ჯვარცმის და აღდგომის შემდეგ არჩეული მოწაფე.

— მათი მეფეები დავით წინასწარმეტყველის შთამომავლები იყვნენ და მაცხოვარს ენათესავებოდნენ. (ზოგიერთი მოსაზრებით, ეს მთლიანად ქართველობას ეხება, — იხ. *პ. ინგოროყვა*, გიორგი მერჩულე, თბილისი, 1954; ეს ცნობა ძველი დროიდან, X ს., კონსტანტინე პორფიროგენეტიდან, იღებს სათავეს).

ქართველებს სჯეროდათ, ისინი აგრეთვე სინქრონიულად ხედავდნენ, მაგალითად:

— მათ არაორდინარულ ადგილს ქრისტიანულ მსოფლიოში, კერძოდ მათ განსაკუთრებულ კავშირს იერუსალიმთან, სადაც მათ ოცდაათამდე ეკლესია-მონასტერი ჰქონდათ (სამწუხაროა არა მარტო ის, რომ ყველაფერი მათ სადღეისოდ წართმეული აქვთ, არამედ არანაკლებ ის, რომ ქართული ისტორიის ეს დიდი ფრაგმენტი ჩვენს ირგვლივ არავის სურს გაიხსენოს).

— მათ პრივილეგირებულ მდგომარეობას იერუსალიმში, სადაც, იყო დრო, როდესაც მხოლოდ მათ ჰქონდათ უფლება შესულიყვნენ ხარკის გადაუხდელად — ცხენებზე ამ-

ხედრებულები, გაშლილი დროშებით (ამაზეც უცხოური წყაროები მიუთითებენ, კერძოდ შუასაუკუნეების პილიგრიმული ლიტერატურა; სხვათა შორის, გაშლილ ქართულ დროშებზე წმ. გიორგი იყო გამოსახული, — იხ. *ა. სილაგაძე, გ. ჯაფარიძე,* ავმართე დროშა მეფისა ალმითა წითელ-შავითა, თბილისი, 1999; ისევ ქართული სახელმწიფო სიმბოლიკის შესახებ, — ლიტ. საქართველო, №48, 2002).

— იმას, რომ დიდი ხნის მანძილზე ქართველები ფლობდნენ გოლგოთას და მაცხოვრის საფლავის გასაღებს (ამასაც უცხოური წყაროები ადასტურებენ, — იხ. *ე. მეტრეველი,* მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, XI-XVII სს., თბილისი, 1962; *ლ. მენაბდე,* ძველი ქართული მწერლობის კერები, II, თბილისი, 1980).

— იმას, რომ მცხეთაში და თბილისში მათ ჰქონდათ თავიანთი სიონი, ბეთლემი, თაბორი, ბეთანია, გეთსიმანია, გოლგოთა...

•

აი, ეს ყველაფერი მოჰქონდათ ქართველებს თავიანთი ისტორიის მანძილზე — ამჯერად ახალი, ქრისტიანული, საქართველოს გადასახედიდან ვმსჯელობ. ამავე დროს, ინარჩუნებდნენ ან ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ ის, რაც, შესაძლოა, ყოველთვის ჰქონდათ, ოდითგანვე, — თავიანთ **ფუნქციას** შესაყარისა, რომელიც ახალ დროში ევროპულსა და აზიურს აახლოვებდა, ხოლო სულ ადრე — შეიძლება ამისთანა დაშვებაც გავაკეთოთ — პროტოსემიტურსა და პროტოინდოევროპულს.

ასეთი თეორიული დაშვება შეიძლება ისევ იმ მოცემულობას დაემყაროს, რომ მეოთხე-მესამე ათასწლეულის ორ-

მა ცივილიზაციურმა ელემენტმა განვითარებაში მოგვცა მთელი სია ხალხებისა და ქვეყნებისა, ხოლო მესამემ — მხოლოდ ქართველური, ისტორიული და დღევანდელი ქართული სახელმწიფოს და ქართველი ერის სახით. ამ კონტექსტში არაკორექტული არ იქნება ვივარაუდოთ, რომ ჩვენ **მაშინვე** გვქონდა ჩვენი საკუთარი ადგილი და ფუნქცია. შესაძლოა, ეს იყო შუაში ყოფნის ფუნქცია, თუმცა კონკრეტულად ამას არ აქვს პრინციპული მნიშვნელობა (შუაში, ე.ი. იმათ შორის, რომლებიც შემდეგში განშტოვდებიან; იმათ შორის, რომლებიც შემდეგში შეიცვლიან ფუნქციებს; იმ ტრანსფორმაციების პროცესის შუაში, რაც ყოველთვის იქნებოდა; იმ უკიდურესობებში — შუაში, რაც ყოველთვის ახლავს განვითარებას; იმ დაპირისპირებებში — შუაში, რაც ყოველთვის ახლავს ისტორიას, და ა.შ.*).

ასევე ლოგიკური იქნება, თუ ვიტყვით, რომ სწორედ შუაში მყოფმა ელემენტმა შეინარჩუნა პრინციპული ფუნქცია (და ტრანსფორმების სახით არ მოგვცა ბევრი ქვეყანა და ერი), ხოლო დანარჩენმა ორმა, განაპირა პოზიციებში

---

* ამავე დროს, შუაში (გასაყარზე/შესაყარზე) ყოფნა პრინციპულად არ ნიშნავს რაღაცის ან ვიღაცის წინ ან უკან ყოფნას, — ნიშნავს (პირველ ყოვლისა, ცივილიზაციურად) ერთის მდგომარეობაშიც ყოფნასაც და მეორისაშიც პლუს საკუთარი სპეციფიკა. გარდა ამისა, შედარებით ახალი პრაქტიკული ისტორიის პოზიციებიდან, შუაში ყოფნა ჩვენთვის,როგორც ჩანს, გულისხმობდა რეგიონულ თუ გლობალურ გადახლართვებს. სხვა მხრივ — კერძოდ საკუთარი განვითარების დინამიკაში — ჩვენ, პირიქით, ვცდილობდით წინ ვყოფილიყავით. ასე იყო, მაგალითად, მაშინ, როდესაც XII ს-ში, ევროპაზე ადრე, ჩვენ შევქმენით პარლამენტის მსგავსი ორგანო. ასე იყო სულ ახლახან, როდესაც 1992 წ. 6 იანვრის ავადმოსაგონარ დილას ყოფილ საბჭოთა სივრცეში ჩვენ პირველებმა — რაც სულ არ იყო საჭირო ჩვენთვის — გადავლახეთ პოსტსაბჭოთა მდგომარეობა და შევედით პოსტპოსტსაბჭოთაში.

მყოფმა, პირიქით, მოგვცა ბევრი ქვეყანა და ერი (თავ-თავიანთი, ტრანსფორმირებული და გამრავალფეროვნული, ფუნქციებით).

ყველა შემთხვევაში, ახსნა იმისა, რომ ეპოქათა ცვლილებების უზარმაზარმა დრომ საწყისი ეპოქის (პროტოეპოქის) ერთი ელემენტი ფაქტიურად ერთ ელემენტად შეინახა, ლოგიკურად მხოლოდ იმით შეიძლება, რომ მან ამ ელემენტს **ფუნქცია არ შეუცვალა, შეუნარჩუნა** (რადგანაც, საერთოდ, რაღაცა სტრუქტურაში ელემენტისთვის ადგილის შენარჩუნება ნიშნავს ფუნქციის შენარჩუნებას). პრაქტიკულად ეს ალბათ იმას ნიშნავს, რომ ჩვენი განვითარება და ტრანსფორმაცია ისეთი უნდა ყოფილიყო, რომ ყოველ ახალ სიტუაციაში ჩვენ, განახლებულნი, კავშირს არ ვკარგავდით ძველთან — რაღაცასთან, რაც უფრო ადრე იყო. მაგრამ, ქართული იდეის პოზიციიდან, ეს იმასაც ნიშნავს, რომ ჩვენ განსაკუთრებულად უნდა გვეზრუნა ჩვენს სუვერენობაზე — ჩვენს არსებობასა და სახელმწიფოებრიობაზე. ასეა თუ ისე, **ქართული სუვერენობის იდეა საკუთარ ფუნქციაზე ზრუნვას გულისხმობს.**

დროში ეს ფუნქცია არ არის შემოსაზღვრული. რაც შეეხება სივრცეს, შესაძლოა, ამას მხოლოდ სიმბოლური მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ფაქტია, რომ წარღვნისშემდეგდროინდელი მსოფლმოწყობის პროცესში გეოგრაფიულად ჩვენ მართლაც შესაყარზე/გასაყარზე აღმოვჩნდით (და, ტრადიციულად, ჩვენ ევროპაც გვაქვს და აზიაც — შდრ ძველი ბერძნების წარმოდგენა იმის შესახებ, რომ ევროპასა და აზიას შორის ერთი საზღვარი მდ. ფასისზე გადის; იხ. *ჰეროდოტესთან*, IV:45). ჩვენ გასაყარზე აღმოვჩნდით გეოგრაფიულადაც, ცივილიზაციურადაც. შესაძლოა, ეს უპირატესობა იყო.

•

შესაძლოა, ჩვენ ამიტომაც გვებრძოდნენ.

როგორც ჩანს, ჩვენი — **თავისი** — ადგილი და შესაბამისი თვითმყოფადობა იყო ერთი მიზეზი იმისა, რომ ჩვენ გვებრძოდნენ.

ერთი მხრივ, ჩვენ გვებრძოდნენ როგორც ქრისტიან ერს. ამიტომ იყო ჩვენი ახალი (ქრისტიანული) ისტორია მოწამეობრივი ისტორია, რომელშიც ჩვენი დამარცხება საბოლოოდ შეუძლებელი გახდა.

მეორე მხრივ, ჩვენ გვებრძოდნენ მეზობელი ქრისტიანებიც, და მათ მიერ მოყენებული დარტყმები არანაკლებ მტკივნეული იყო.

მესამე მხრივ — და მთავარი ესაა, — ჩვენ გვებრძოდნენ კონსოლიდირებულად. სწორედ ეს იყო (და არის) ჩვენი ადგილისა და ფუნქციის წინააღმდეგ ბრძოლა. და აქ არ იგულისხმება კოალიციური ლაშქრობები (ან მხოლოდ კოალიციური ლაშქრობები) ჩვენს წინააღმდეგ (თუნდაც ისეთი ცნობილი და უნიკალური, როგორიცაა დიდგორისა 1121 წ.). საუკუნეების მანძილზე კონსოლიდირებული ბრძოლა ჩვენს წინააღმდეგ გამოიხატებოდა (და გამოიხატება) იმ შეგნებულ მცდელობებში, რომელთა მიზანი იყო ამოვეგდეთ გლობალური კონტექსტიდან, ხოლო ამისათვის არ შეემჩნიათ, მიეჩქმალათ ან უკიდურესად დაემცროთ ჩვენი ადგილი მსოფლიო ისტორიაში, გაეყალბებინათ, პირველ რიგში, რეგიონული ისტორია, ოლონდ ჩვენი როლი წაშლილიყო ან ამორფული გამხდარიყო.*

---

* ამისათვის დაჟინებით ავიწყებდნენ საერთაშორისო საზოგადოებას, მაგალითად, იმას, რომ კოლხეთი (აიეტიც, მედეაც) ჩვენი, ქართული, ისტორიული წარსულია, ხოლო ქართულ სახელმწიფოებრი-

ერთი თვალსაჩინო მაგალითი. ქრისტიანულმა ისტორიოგრაფიამ, რომელსაც მხარს უჭერს ანტიკური და იუდაისტური ტრადიცია, ახ. წ. მეორე საუკუნიდან ხალხთა და ენათა განყოფის კატალოგებში (დიამერიზმებში) დაამკვიდრა ტოპოსი, რომლის მიხედვითაც ნოეს შთამომავალთაგან (70 ან 72 ან 73 ხალხს შორის) თხუთმეტი გამორჩეულია — მათ საკუთარი დამწერლობა ან რაღაც დამწერლობაზე დამყარებული საკუთარი მწიგნობრობა აქვთ. ამ თხუთმეტთა (ე.ი. არაველურთა) რიცხვში შეტანილია ქართული (იბერიული) ენა და ამ ენის მატარებელი ხალხი (საინტერესოა, რომ ამ სქემაში, რომელიც სემის, იაფეთის და ქამის განშტოებებზეა აგებული, იაფეთიდთა სია თითქმის ყოველთვის რატომღაც იბერიული ენით იწყება). ეს ფაქტი დაცულია III-XVIII საუკუნეების სირიულ, ბერძნულ, ლათინურ, ებრაულ, არაბულ, სლავურ და სხვ. წყაროებში. იგი მსოფლიოში ყველასთვის ცნობილია როგორც ძველ სამყაროში ცალსახად მოღებული აზრი; მასზე არავინ დავობს. ერთადერთი, რაც სადავო გახდა ახალი დროის (XX-ს დასაწყისის) მკვლევართათვის წლების განმავლობაში, იყო ყველგან დასახელებულ იბერიული

ობას უნიკალური ისტორია აქვს, რადგანაც, ჯერ ერთი, პრაქტიკულად უწყვეტად მოვიდა დღევანდელობამდე, მეორეც, ახალ წელთაღრიცხვამდე ეპოქების მონაპოვარია კოლხეთის და იბერიის (ქართლის) სამეფოების სახით; ამისათვის, პირველ რიგში, ებრძოდნენ ჩვენს ენას, ასევე ჩვენს საეკლესიო ავტოკეფალიას; ამისათვის გვაძევებდნენ ჩვენსავე მონასტრებიდან ათონში თუ იერუსალიმში (მართლაც საოცარია, რომ ერს, რომელსაც განსაკუთრებული პრივილეგიები ჰქონდა მოპოვებული იერუსალიმში და იქ ოცზე მეტი საკუთარი ეკლესია და მონასტერი, დღეს ყველაფერი კატეგორიულად წართმეული აქვს, ხოლო სხვებს — მართლმადიდებლებსაც, კათოლიკეებსაც, გრიგორიანელებსაც — იქ ყველაფერი აქვთ, მათ შორის ისიც, რაც არასოდეს ჰქონიათ); ამისათვის შლიდნენ და შლიან დღესაც ჩვენს ეპიგრაფებს, ხოლო ჩვენს ხელნაწერებს სხვა კატალოგებში და ყუთებში ათავსებდნენ...

ენის იდენტიფიკაცია: არის თუ არა ეს ქართული ენა, ხომ არ არის ესპანელთა ენა (ახირებულობის, საბოლოოდ, როგორც ჩანს, ჩვენს წინააღმდეგ მომართული სურვილის, დადასტურებაა ის, რომ ესპანური ენა იაფეთიდთა სიაში ისედაც დასახელებულია!). საბოლოოდ, დისკუსია დამთავრდა ისე, როგორც უნდა დამთავრებულიყო, — ჩვენს, ე. ი. ისტორიული სამართლიანობის, სასარგებლოდ; სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ აქ დამსახურება არა ჩვენ, არამედ ისევ დასავლელ მეცნიერებს ეკუთვნით (კერძოდ, იხ. *S. Kraus*, Zur Zahl der biblischen Völkerschaften. – Zeitschrift für die alttestamentliche Wissenschaft, N26, 1906. ყველაფერ ამის შესახებ დაწვრილ. იხ. *ნ. დობორჯგინიძე*, ქრისტიანული ისტორიოგრაფია და თხუთმეტი სამწერლო ენის ტოპოსი. — თსუ ალმანახი «ლიტერატურა და სხვა», 2005).

ამგვარი მცდელობები (ჩვენი ისტორიულად დაწინაურებული ენობრივ-კულტურული მეობის დამცრობისა და იგნორირების მცდელობები), ჯერ ერთი, ფაქტია, მეორეც, როგორი უსუსურიც უნდა იყვნენ წმინდა მეცნიერული თვალსაზრისით, რაღაც შედეგს მაინც პოვებენ. საბოლოოდ, ამ მცდელობებმა ჩვენთან დაკავშირებით მთელი რიგი ტაბუდადებული თემა დააგროვა, რასაც შემდეგ ფალსიფიცირებული თემები მოჰყვა, შემდეგ — ფალსიფიცირებული პასაჟები ევროპულ ენციკლოპედიებსა და ცნობარებში, ბოლოს — ჩვენი ისტორიის ხარჯზე დაწერილი ბევრი ისტორია.

ეს უკანასკნელი მართლაც უნიკალური მოვლენაა. ჩვენს ირგვლივ პრაქტიკულად არ დარჩა არცერთი ხალხი, რომელსაც საკუთარი ისტორიის ჩვენი ისტორიის ხარჯზე დაწერის სურვილი და მცდელობები არ გასჩენოდეს (მათ შორის, ისეთი ხალხებიც, ვისაც არც სახელმწიფო ჰქონია, არც

სამეფო, არც მეფეები, რომლებიც თავიანთ მიერ დაწერილ ბრძანებას ან კანონს დატოვებდნენ, არც დამწერლობა — XIX ან XX ს-მდე). კონკრეტულად ეს ყველაფერზე ვრცელდება: ჩვენს ტერიტორიებზე და ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხოვრების დინამიკაზე, ჩვენს ომებზე და ჩვენს ზავებზე, ჩვენს მოღვაწეებზე და მათ წინაპრებზე თუ შთამომავლებზე, ჩვენს ლიტერატურაზე და არქიტექტურაზე (საპირისპიროდ ამისა, ჩვენ ჩვენს ისტორიას ისე ვწერდით, რომ სხვების არც ტერიტორიები გვაინტერესებდა, არც კულტურის ძეგლები — ჩვენ ჩვენიც გვყოფნიდა*). არგუმენტებს და ფაქტოლოგიას ამ დროს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს: არის ძველი ქვა, რომელსაც ქართულად იწერია, რომ ის ქართულია, — ის მაინც შეიძლება არაქართულად გამოცხადდეს, ასევე — ეკლესია, ასევე ბოლოს — ტერიტორია და ა.შ. ეს მეთოდიკა განსაკუთრებით დაიხვეწა იმპერიისა და საბჭოთა კავშირის სინამდვილეში; მათ შორის, მაგალითად, ჯერ — ან ახალი ეთნონიმების შექმნა ან ძველში ახალი შინაარსის ჩადება, შემდეგ — ყველაფერ ამის დაკავშირება ახალ, საკუთარი წესებით შექმნილ, გეოგრაფიასთან და აქაც ახალი ტერ-

*»ჩვენი» — ეს არის მოცემულობა, ჯერ ერთი, რომელსაც ვერაფერს უზამ, მეორეც, რომელსაც მხოლოდ ასე უნდა უყურებდნენ სხვები. ჩვენი ბრალი არ არის და, სხვათა შორის, არც ჩვენი დამსახურება, მაგალითად, რომ მაინცდამაინც ჩვენს მიწაზე, დავით გარეჯის მიდამოებში, 1937 წ. აღმოჩენილია უდაბნოპითეკი Udabnopithecus garedziensis – ადამიანის მაგვარი ყველაზე ძველი პრიმატი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე; ისევე, როგორც ის, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1991 წელს, მაინცდამაინც ჩვენს მიწაზე, დმანისში, აღმოჩნდა ევროპაში ყველაზე ძველი, 1 900 000 წლის წინანდელი, სახეობა ადამიანისა — Homo Georgicus.

მინების და ახალი შინაარსის წარმოშობა;* შემდეგ — კომპაქტურად მცხოვრები ზოგიერთი ხალხისთვის (ესეც უკიდურესად პირობითად ითქმის, რადგანაც ამ ადგილებში ქართველები ყოველთვის გაცილებით მეტნი იყვნენ) სახელმწიფო ავტონომიის მიცემა (დაახლოებით ეს იგივეა, რომ ვთქვათ, მოსკოვში, მოსკოვის ფარგლებში, შეიქმნას, მაგალითად, თათართა ავტონომია); შემდეგ — უკვე საბჭოთა კავშირის დაშ-

---

* სიტყვა «აფხაზ» ქართული — დასავლურქართული — სატომო სახელწოდებაა. ასეთად არის იგი გამოყენებული ანტიკურ წყაროებში: აქ «აბაზგ» ტერმინს (პირველად მოხსენიებულია *ფლავიუს არიანესთან* — იხ. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები *ნ. კეჭაღმაძისა*, თბილისი, 1961) განსხვავებული მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ამავე წყაროების «აფსილს» (აფსუას), — იგი ქართულ ტომს აღნიშნავს. შემდეგ „აფხაზი", საერთოდ, დასავლეთ საქართველოს მკვიდრს აღნიშნავდა, მხოლოდ უფრო გვიან მისი მნიშვნელობა დავიწროვდა აფსუების აღსანიშნავად (იხ. *თ. გამყრელიძე*, ძველი კოლხეთის სატომო სახელთა ისტორიიდან, — კრებ.: საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბილისი, 1993). გარდა ამისა, შუა საუკუნეებში იგი, საერთოდ, ქართველს და საქართველოს მიემართებოდა. ასეთად არის იგი წარმოდგენილი ყველა იმ ძირითად უცხოურ წყაროში, რომელიც საქართველოს რეალიებს ეხება: სომხურში, სპარსულში, არაბულში (იხ. *ე. ცაგარეიშვილი*, «ქართველისა» და «საქართველოს» აღმნიშვნელი ტერმინები სომხურ წერილობით წყაროებში; *კ. ტაბატაძე*, საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი ტერმინები X-XV სს. სპარსული წყაროების მიხედვით; *გ. ჯაფარიძე*, ქართველებისა და საქართველოს არაბული სახელწოდებები; სამივე ნაშრომი იხ. კრებ.: საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია); ასევეა მხატვრულ ლიტერატურაში, იხ., მაგ., სპარსული პოეზიის შედევრები, თარგმანი *მ. თოდუასი*, თბილისი, 2010. რაც მთავარია, არცერთი წყარო (ასევე — გეოგრაფიული რუკა) აფსუებს არ განუკუთვნებს იმ ტერიტორიას, რომელზეც დღესაა ლაპარაკი; მათ ის ტერიტორია აქვთ განკუთვნილი, რომელიც საქართველოს (მის აფხაზურ ნაწილს) ჩრდილოეთით ესაზღვრება.

რაც შეეხება «სამხრეთ ოსეთს», ამ ნონსენსზე სპეციალური მსჯელობა არც ღირს.

ლის შემდეგ — იარაღის ძალით «დამოუკიდებელი» სახელმწიფოების შექმნა ჩვენს ტერიტორიაზე*...

მაგრამ ეს შორს წაგვიყვანს და სხვა თემებთან მიგვიყვანს. ამჯერად საინტერესო ისაა, რომ ზემოხსენებელი ის აგრესია, რომელიც საუკუნეების მანძილზე ჩვენი თვითმყოფადობის წინააღმდეგ იყო მიმართული (და არა ჩვეულებრივი, დაპყრობითი აგრესიულობა), მხოლოდ იმით შეიძლება აიხსნას, რომ ჩვენ ჩვენთვის განკუთვნილი ადგილი და ფუნქცია გვქონდა ყოველთვის, და ეს ფუნქცია არ იყო მხოლოდ გეოპოლიტიკური შინაარსისა.

---

* ის, რომ საბჭოთა კავშირის პირობებში ხმის ამოღება ძნელი იყო, ასე თუ ისე გასაგებია (ისევე, როგორც ის, რომ იმავე პირობებში ფორსირებულად და სრულიად გამიზნულად შეიქმნა საბჭოთა კავშირში მცხოვრები ზოგიერთი ხალხის «ისტორიები»). მაგრამ ის, რომ შემდგომ ყველაფერი ცივილიზებული მსოფლიოს თვალწინ მოხდა, ძალიან ძნელი ასახსნელია. გაუგებარია ასევე, რომ საერთაშორისო სამართალს, როცა ლაპარაკია ჩვენზე (ან ჩვენისთანა პატარა ქვეყანაზე), არაფერი აინტერესებს. ის, რომ მას ისტორია არ აინტერესებს, შეიძლება იურისტთათვის მისაღებიც იყოს. მაგრამ მას არც რეალობა — დღევანდელი/სინქრონიული მდგომარეობა — აინტერესებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, თვალს არ დახუჭავდა იმაზე, რომ იმავე აფხაზეთში, სანამ ქართველთა სისხლიანი ეთნოწმენდა განხორციელდებოდა, საბჭოთა სტატისტიკით (!) 240 ათასი ქართველი ცხოვრობდა — მთელი აფხაზეთის დაახლ. 47%, და მხოლოდ 93 ათასი აფსუა/აფხაზი —17% (მოსახლეობის დაახლოებით ამ შეფარდების პირობებში შეიქმნა თავის დროზე აფხაზური ავტონომია). საერთაშორისო სამართალს და მსოფლიო თანამეგობრობას, სამწუხაროდ, არც ის აინტერესებს, რომ XX ს-ის ბოლოს და XXI-ის დასაწყისში იქმნება სრულიად ველური პრეცედენტი იმისა, რომ ერთ ქვეყანას შეიძლება წაართვან ტერიტორია და გამოაცხადონ ახალი სახელმწიფო სრულიად მარტივი მექანიზმით — დახოცონ ან განდევნონ იქიდან ავტოხთონი მოსახლეობა, რომელიც აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენს, და შემდეგ ტერიტორია საზეიმოდ გადასცენ დარჩენილ უმცირესობას (ხოლო ვაკუუმი შეავსონ საკუთარი მოსახლეობის ჩამოსახლებით).

სხვანაირად სრულიად გაუგებარია, რომ, სამხედრო ექსპედიციების გვერდით, ჩვენი კონკურენტებისთვის გაცილებით უფრო ქმედით იარაღად წარმოიდგინებოდა ჩვენი ისტორიული როლის დამცრობა, — ეს იყო ბრძოლა ჩვენი ადგილის წინააღმდეგ. ისევე, როგორც გაუგებარია ამ ტიპის აგრესიულობა იმ ხალხის წიააღმდეგ, რომელსაც მხოლოდ საკუთარი სუვერენობა უნდოდა და არასოდეს განუზრახავს სხვისი სუვერენობისთვის ზარალის მიყენება — მაშინაც, როდესაც მას ეს შეეძლო, მაშინაც, როდესაც სხვები დახმარებას სთხოვდნენ და საკუთარ ვასალობას სთავაზობდნენ.

მეორე მხრივ, სრულიად გასაგებია ჩვენი ეროვნული იდეა საკუთარ ფუნქციურ — სახელმწიფოებრივ და კულტურულ — სუვერენობაზე ზრუნვისა. ისევე, როგორც გასაგებია, რომ ეს იდეა ბუნებრივად შეიქმნა და არა ხელოვნურად — ისეთი განზრახვით, როდესაც ამოსავალია ეგოისტური სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური (ნაციონალისტური, იმპერიალისტური და ა.შ.) ინტერესები, სხვათა ინტერესების წინააღმდეგ მიმართული. ჩვენი იდეა ჩამოყალიბდა ჩვენი იმ რწმენის ნიადაგზე, რომ ჩვენ **საჭირო** ელემენტი ვართ იმ ზესტრუქტურაში, რომელსაც მსოფლმოწყობა წარმოადგენს, და ამის გამო უნდა ვიზრუნოთ ჩვენს სუვერენობაზე.

რაც მთავარია, სწორედ აქ იმალება ქართული იდეის კიდევ ერთი — შეიძლება მთავარი — ნიშანი: **ამ იდეაში თავიდანვე და თავისთავად გააზრებულია სხვათა სუვერენობის აღიარება და კატეგორიული უარყოფა სხვათა — ყველას — სუვერენობის შელახვისა.**

ჩვენ ასე მოვდივართ დღევანდლამდე — ეს არის ქართული იდეა, რომლითაც ჩვენ მოვდივართ.

•

ამგვარად: ქართული იდეა — სხვებისთვის უწყინარი, — არის რა სუვერენობის იდეა, ყველაფერთან ერთად, ემყარება, ერთი მხრივ, ჩვენს კოლექტიურ მეხსიერებაში არსებულ ცოდნას იმის შესახებ, რომ ჩვენ, ჩვენი თვითმყოფადი ადგილით, პრეისტორული ხანიდან მოვდივართ, მეორე მხრივ, ჩვენი წინაპრების კოლექტიურ რწმენას იმის შესახებ, რომ ქვეყნიერების აღსასრულისას ჩვენ ასევე გვექნებ ჩვენი ადგილი.

აქედან გამომდინარეობს ქართული იდეის თავისებურება: **ქართველი ერის და ქართული ქვეყნის სუვერენობაზე განსაკუთრებული ზრუნვაა საჭირო და აუცილებელი.**

მაგრამ აქედან გამომდინარეობს ისიც, რომ ქართული ზრუნვა იყო და არის მხოლოდ ქართულ ანუ საკუთარ სუვერენობაზე ზრუნვა, და სხვა არაფერი, — ეს არის ჩვენი იდეის კიდევ ერთი სპეციფიკური მხარე. და — იმდენად მნიშვნელოვანი, რომ კიდევ ერთხელ უნდა გავიმეოროთ: **ქართული ზრუნვა არის მხოლოდ საკუთარ სუვერენობაზე ზრუნვა, და სხვა არაფერი.**

ორივე მკვებავი, რომელზეც ზემოთ იყო მსჯელობა, იდეის პოზიციიდან რეალურია. თუ მეორე ნაწილს გარკვეული მისტიკურობის ელფერი დაჰკრავს, შეგვიძლია დავმიწდეთ, და მაშინ ვნახავთ, რომ ჩვენს ესქატოლოგიურ წარმოდგენაში არსებულს ჩვენ რაღაცნაირად ჩვენს რეალურ ცხოვრებაში განვახორციელებდით (გამომდინარე ისევ იქიდან, რომ ჩვენი ზრუნვა მხოლოდ საკუთარ სუვერენობაზე ზრუნვაა): განვახორციელებდით უბრალოდ ჩვენი არსებობით, რადგანაც ჩვენი არსებობით ჩვენ «ვამხელდით» რეალურ ცხოვრებაში, — რა თქმა უნდა, არა პირდაპირი გაგებით,

არამედ ჩვენი არსებობის იმ მაგალითით, რომ არ ვიყავით აგრესორები, არ ვიმორჩილებდით იმ მეზობელ ქვეყნებს, რომლებსაც ვამარცხებდით; ფაქტიურად მხოლოდ თავდაცვით ომებს ვაწარმოებდით, პრაქტიკულად მეორე დღესვე ვიწყებდით სხვების აგრესიას*; ყველას ვაძლევდით თავშესაფარს ჩვენს მიწაზე... რაც მთავარია, ვითმენდით დაუსრულებლად...

საბოლოოდ, ჩვენი არსებობა მთელი ჩვენი ისტორიის მანძილზე არასოდეს ყოფილა მიმართული ჩვენს გალაღებაზე და სვებედნიერებაზე, კერძოდ — სხვების ხარჯზე ზესიძლიერეზე. **ჩვენი ამოცანა იყო ქვეყნისა და ერის შენარჩუნება და ახალი არსებობის დასაწყისამდე მიყვანა.** ესეც ჩვენი იდეის სპეციფიკაა, კონკრეტული და ერთ-ერთი მთავარი.

იგი უშუალოდ გამომდინარეობს რწმენიდან, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა დაიმკვიდრეს, ვინაიდან იმ მისიის შესრულება **მხოლოდ იმ ერს შეუძლია, რომელიც არ არის გალაღებული და სვებედნიერი** («დამდაბლებული», «დაწუნებული»).

აქ შეიძლება ლოგიკური წრის შეკვრა: ქართული იდეის ის ნაწილი, რომელზეც ახლაა საუბარი, მხოლოდ რწმენაა და, შესაბამისად, მოქმედების სახელმძღვანელო, რომელიც უკარნახებს ერს, იყოს მშვიდობიანი და მომთმენი, და მხოლოდ იმაზე ზრუნავდეს, რაც მისი საკუთარი მოცემულობაა — საკუთარი მიწის, საკუთარი ხალხის, საკუთარი რწმენის,

---

* მაგალითად, ლაშა-გიორგი XIIIს-ში — მაშინ, როდესაც არაბობა ჩვენს ქვეყანაში უკვე განვლილი ეტაპი იყო, — მის მიერ მოჭრილ **ქართულ** მონეტას სრულიად უმტკივნეულოდ და უკომპლექსებოდ აწერდა **არაბულად**: «მეფე დიდებული, დიდება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, გიორგი ძე თამარისა, მახვილი მესიისა».

საკუთარი ენისა და კულტურის შენარჩუნებასა და განვითარებაზე, სხვების შეუვიწროვებლად. **სუვერენობა, ეს არის თავისუფლება, რომელიც ყველას უნდა ჰქონდეს, — ეს არის ქართული იდეის არგუმენტი. ქართული იდეა ამიტომ არის სუვერენობაზე (ე.ი. საკუთარი არსებობის შენარჩუნებაზე) და თავისუფლებაზე (ე.ი. საკუთარი ადგილის შენარჩუნებაზე) ორიენტირებული.**

ამ იდეის მატარებელი ერი, ბუნებრივია, მძიმე ხვედრის ერია. ერთი მხრივ — იმიტომ, რომ იგი მუდმივად უნდა ყოფილიყო მებრძოლი ერი. მეორე მხრივ — იმიტომ, რომ საკუთარი თავდაცვა მას ისე უნდა განეხორციელებინა, რომ სხვებისთვის არ შეეშალა ხელი (მაშინაც კი, როდესაც თავდაცვისთვის მომგებიანი იყო სხვების სუვერენობის ხარჯზე მოქმედება).

მაგრამ ყველაფერი ეს იმას ნიშნავს, რომ ეს ერი **უნდა ყოფილიყო** მძიმე ხვედრის ერი, მას ფუნქციურად **ჰქონდა განკუთვნილი ყოფილიყო** მძიმე არსებობის (ისტორიის) ერი, რომელსაც არასოდეს ექნებოდა არც სრული, არც არასრული ბედნიერების მდგომარეობა. ქართული ქვეყანა, ქართული სახელმწიფო არ შეიძლებოდა ყოფილიყო დიდი ან ზედიდი (ზეძლიერი) ქვეყანა და სახელმწიფო.* **საქართველო პატარა ქვეყანა და პატარა ერი უნდა ყოფილიყო.**

ჩვენი ისტორია მთლიანად ამ მოცემულობას ემყარება. მაგრამ აქ, როგორც საერთოდ ყველაფერში, ხშირად ჩნდება დაბალანსების გარკვეული ეფექტი. ერთი მხრივ, საქართვე-

---

* მაშინ: ა) მას სხვა ზრუნვა ექნებოდა — საკუთარი სიდიდისა და ძლიერების შენარჩუნება ნებისმიერი გზით, და ის ფუნქცია არ ექნებოდა; ბ) რომც ჰქონოდა — რაც წარმოუდგენელია, — საბოლოოდ იგი მაინც ვერ გაძლებდა, ან დაიშლებოდა, და იმ ფუნქციას ვერ შეასრულებდა.

ლო პოლიტიკურ, სამხედრო და ა.შ. თამაშებში ვერ იქნებოდა (და არ უნდა ყოფილიყო) პირველი რანგის მოთამაშე, რომელსაც ისეთი მაღლობი ეჭირებოდა, საიდანაც სხვებს ზემოდან გადმოყურებენ; მეორე მხრივ (ან — ამიტომვე) პირველი რანგის მოთამაშეები მისი წარმომადგენლები უნდა ყოფილიყვნენ, რომლებიც სხვა ადგილზე ისეთ მაღლობებზე სხდებოდნენ, საიდანაც სხვებს გადმოყურებენ. კიდევ ერთი კანონზომიერება: ამ დროს მათ თავიანთი შესაძლებლობები არ უნდა მოეხმარათ საკუთარი სამშობლოს ინტერესებისათვის, — საკუთარ სამშობლოს სხვა ცხოვრებით უნდა ეცხოვრა.*

•

ქართული იდეის მატარებელი ერის ისტორია ამიტომ არ არის ტერიტორიული ზრდის ან მექანიკური გაერთიანებების ისტორია. ეს არის ერთი მოცემულობის, ერთი მთელის — ქართული მიწების, ქართული კუთხეების, ქართული ერთეულების — შიგნით მიმდინარე ისტორია ერთიანი ქართული ეროვნული ორგანიზმის ბაზაზე, რომელიც არ იცნობს მიერთებათა, დაპყრობათა, სხვა მიწების შემოკრების იდეოლოგიას (შდრ *ა. სილაგაძე*, «ეროვნული ცოცხალი ორგანიზმი»). ესეც ჩვენი ისტორიის სპეციფიკაა, განსხვავებული ზოგიერთი სხვა ისტორიის — მაგალითად, გერმანიის ან რუსეთის — სპეციფიკისგან (რომელიც სახელმწიფოთა შექმნისა და განვითარების სხვა, შეიძლება ითქვას — უფრო ცნობილ და საპირისპირო, ვარიანტს გულისხმობს).

---

* იგივე სტალინი, მსოფლიოს ისტორიაში ალბათ ერთ-ერთი ყველაზე ძლევამოსილი ლიდერი, ამის თვალსაჩინო მაგალითია; ლ. ტროცკი: «Чтоб грузин стал представителем великорусских тенденций, такие парадоксы в истории бывали не раз», – *Л. Троцкий*, Сталин, т. II, М. 1990).

ჩვენი სინამდვილე მხოლოდ ისაა, რომ, თუ გარეშე ძალის ნებით დაშლილ მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდით, ხელახლა ვწყვეტდით გამთლიანებისა და გაძლიერების ამოცანას — შინაგანი ერთიანობისა და მისწრაფების და არა სხვათა ტერიტორიების მოპოვების საფუძველზე.

ასეთი იყო ქართული იდეა მოქმედებაში. დავით აღმაშენებელს და მის უშუალო მემკვიდრეებს რეალური საშუალება ჰქონდათ აეღოთ კურსი საქართველოსთვის ვრცელი ტერიტორიების დამკვიდრებისა კავკასიაში, ასევე — მცირე აზიაში. ისინი ფაქტიურად ფლობდნენ ამ ტერიტორიებს, მაგრამ თავში აზრადაც არ მოსვლიათ, მაგალითად, სომხეთი ან შირვანი თავის საკუთრებად განეხილათ და დაეწყოთ მოსახლეობის ასიმილირება.

საერთოდ, სწორედ დავით აღმაშენებლის (და მისი უშუალო მემკვიდრეების, კერძოდ თამარის) დროს საქართველოს ფაქტიურად იმპერიის (ან: კვაზიიმპერიის) არსებობის ფაქტი ხდის თვალსაჩინოს ჩვენს სპეციფიკას. საქმე ისაა, რომ ის, რასაც დავით აღმაშენებელი ფლობდა, არ შექმნილა სუვერენული ქვეყნების დაპყრობის და სუვერენული ხალხების დათრგუნვის გზით. დავითი ებრძოდა დამპყრობელ თურქ-სელჩუკებს, რომლებსაც (ალფ-არსლანი, მალიქ-შაჰი...) აოხრებული ჰქონდათ ხარკდადებული საქართველო, მიტაცებული — მისი ტერიტორიები; მაგრამ მათი საბოლოო დამარცხება და საფრთხის თავიდან მოშორება მხოლოდ საქართველოდან მათი განდევნით ვერ მიიღწეოდა, რადგანაც მათ დაპყრობილი ჰქონდათ საქართველოს მიმდებარე ტერიტორიები, საიდანაც კვლავ ამზადებდნენ აგრესიას. საქართველოს და დანარჩენ ამიერკავკასიას ერთი დამპყრობელი ჰყავდა, საბოლოოდ, ამოცანა იყო მათი ბატონობის აღმოფხვრა ცენტრალური და

სამხრეთი კავკასიის* მთელ ტერიტორიაზე (სადაც, საქართველოს მეზობლად, სუვერენული სახელმწიფოები იმ დროს აღარ არსებობდა; ბიზანტიელებმა იმპერიის სხვადასხვა პუნქტში გადაასახლეს სომხეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი, მერე აქ სხვადასხვა თურქსელჩუკური საამიროები შეიქმნა; ასევე დაპყრობილი იყო შირვან-არანი). პრაქტიკაში ეს ასე აისახებოდა: ა) დავითი თავს ესხმოდა იმათ, ვინც მეზობლად იყო დაბანაკებული ხელახალი ომისთვის; მას თავდაცვითი ომი გადაჰქონდა საქართველოს ტერიტორიის გარეთ; ბ) ამ დროს იგი ტერიტორიებს ართმევდა დამპყრობელს, ე. ი. ათავისუფლებდა დაპყრობილ მიწებს; გ) ეხმაურებოდა დაპყრობილი ხალხების თხოვნას, განედევნა დამპყრობელი (მაგალითად, 1124 წელს, როდესაც ანისის თავკაცი სომეხი მოქალაქეები ეახლნენ საქართველოს მეფეს და სთხოვეს ქალაქის გათავისუფლება; იმავე წელს შირვანელებთან ერთად შირვანი გაათავისუფლა; ამ და სხვა სამხედრო ექსპედიციების შედეგად დავით მეფემ განდევნა თურქსელჩუკები მიტაცებული მიწებიდან და საქართველოს შემადგენლობაში შეიყვანა ეს ტერიტორიები); დ) მიმართავდა პრევენციას, მათ შორის — მაშინ, როდესაც დაპყრობილი ქართული ტერიტორიების (ქალაქების) მუსლიმი თავკაცები ჯარის გამოგზავნის თხოვნით მიმართავდნენ მეზობელ სპარს თუ თურქ ლიდერებს (ფაქტიურად ასე დაიწყო, ალ-ფარიკის მიხედვით, დიდგორის პროცესი; არაბული ტექსტი იხ. — *გ. წერეთელი*, არაბული ქრესტომათია, თბილისი, 1949).

---

* ტერმინების შესახებ, აგრეთვე «ამიერკავკასიის», როგორც ტერმინის, სპეციფიკური შინაარსის შესახებ იხ. *T. Gamkrelidse,* Transcaucasien oder Südkaukasus? – Caucasica, 2, Tbilisi, 1998; *R. Metreveli,* The Caucasian Civilization in the Globalization Context, Stockholm, 2009.

ამ პროცესმა გაათავისუფლა მთელი ამიერკავკასია საერთო დამპყრობლისგან, არა მარტო საქართველო იხსნა, არამედ მეზობელ ხალხებს სამომავლოდ შეუნარჩუნა ტერიტორიები და თვითმყოფადობა. შედეგად, შეიქმნა დიდი საქართველო (XII-XIII საუკუნეების საქართველოს საზღვრები იხ. *რ. მეტრეველი*, დავით აღმაშენებელი, მეფე თამარი, თბილისი, 2002). ფაქტიურად, ეს იყო იმპერია, რომელსაც (ისევ ქართული ეროვნული იდეის სპეციფიკა) შეიძლება ამიერკავკასიული ან კავკასიური ერთიანი სახელმწიფო ეწოდოს (შდრ *დ. მუსხელიშვილი*, ქართველი ერის ზნეობრივი ორიენტირებისათვის, — კრებ. «ისტორიანი», თბილისი, 2009). სულ სხვა თემაა, მაგრამ მაინც ვიტყვი: სრულიადაც არ არის გამორიცხული, რომ სუვერენული ქვეყნების კავკასიური გაერთიანება („კავკასიური კვაზიიმპერია") ჩვენი სახელმწიფოებრიობის მომავალია.

საინტერესო დეტალი: მას შემდეგ, რაც სომხური ტერიტორიები მიერთებულ იქნა, საერთო საფრთხის წინაშე კონსოლიდირებისა და გაძლიერებისათვის, დავით აღმაშენებელმა სცადა ქართველთა (მართლმადიდებელთა) და სომეხთა (გრიგორიანელთა) რელიგიური ერთიანობის მიღწევა, რისთვისაც — დისკუსიისა და შეთანხმებისათვის — სპეციალური საეკლესიო კრება იქნა მოწვეული (იხ. *მ. ლორთქიფანიძე*, საქართველოსა და სომხეთის ურთიერთობის წარსულიდან, — XII ს. საქართველოს ისტორიის საკითხები, თბილისი, 1969). საინტერესო აქ ისაა, რომ კრება უშედეგოდ დამთავრდა, ხოლო დავით აღმაშენებელს — მიუხედავად იმისა, რომ თავისუფლად შეეძლო — არ უცდია ვასალთა, კერძოდ მღვდელმთავართა, მიმართ ზემოქმედება ან ძალდატანება.

ეს იყო ცხოვრების წესი იმ დიდ ქართულ სახელმწიფოში. უფრო გვიანდელ ერთ შემთხვევას სომეხი მემატიანე სტეფანოზ ორბელიანი აღწერს: ორ სომხურ მონასტერს შორის დავის გადასაჭრელად ქართველებმა (იოანე ათაბაგი) დვინში კრება მოიწვიეს, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქართველმა მართლმადიდებლებმა, სომეხმა გრიგორიანელებმა და მუსლიმებმა (!).

ტერიტორიებს რაც შეეხება, საქართველო თავისი ისტორიის მანძილზე, დიპლომატიური თუ სამხედრო გზით, მხოლოდ ქართული მიწების დაბრუნებაზე ან გაერთიანებაზე ზრუნავდა, და ეს ტრადიცია უცვლელად მოდის ფარნავაზის და ქუჯი ერისთავის დროიდან.

XVIII ს-ში ერეკლე მეორე განჯის, ერევნის, ყარაბაღის, ნახჭევანის სახანოების მმართველია, ამავე დროს მისი იურისდიქცია, სამწუხაროდ, არ ვრცელდება სამცხეზე და საინგილოზე. როგორი დამოკიდებულება აქვს ქართლ-კახეთის მეფეს ამ რეალობისადმი? გეორგიევსკის ტრაქტატის დადების წინ იგი სთხოვს რუსეთს დაეხმაროს სამცხის დაბრუნებაში — ეს ქართული მიწაა, და სიტყვასაც არ ძრავს განჯის, ერევნის, ნახჭევანის და ა.შ. სახანოებზე — ეს არ არის ქართული მიწები.

კიდევ ერთი ფრაგმენტი — ახალი საქართველოს ისტორიიდან. 1918 წლის დეკემბერში (დამოუკიდებლობის მოპოვებიდან ექვსი თვის შემდეგ) სომხეთის ექსტრემისტებმა (ასეთი ჯურის ცალკეული ადამიანები თუ პოლიტიკოსები ყველა ქვეყნის ისტორიაში მოიძებნება, მათ შორის — ჩვენში) აშკარა შეცდომა დაუშვეს (პირველ რიგში, საკუთარი ხალხის წინაშე) — განახორციელეს სამხედრო აგრესია საქართველოს მიმართ. მაშინ ისინი შემოვიდნენ ჩვენს ტერი-

ტორიაზე, დაიკავეს სამხრეთ ნაწილში ბორჩალოს მაზრა. ქართველები მხოლოდ ამის შემდეგ გადავიდნენ თავდაცვიდან შეტევით ომზე, განდევნეს საკუთარი მიწიდან მომხვდური და შევიდნენ მის ტერიტორიაზე — მოწინააღმდეგის არმია დამარცხებულ იქნა. რას ვაკეთებთ ჩვენ ამის შემდეგ? ჩვენ ვაჩერებთ წინსვლას და სამხედრო მოქმედებებს, ინგლისელთა კატეგორიული ჩარევით იქმნება დროებითი ზავი, რომლის ერთ-ერთი პუნქტის მიხედვით, ლორეს სადავო ტერიტორია იყოფა სამ ნაწილად: ერთი განეკუთვნება სომხეთს, ერთი — საქართველოს, ერთი ცხადდება ნეიტრალურ ზონად, ხოლო საკითხის საბოლოო გადაწყვეტა მომავლისთვის გადაიდება. კიდევ უფრო საინტერესო განვითარება ამ ისტორიისა: 1921 წლის შემდეგ ქართველებს არც მათთვის განკუთვნილი ტერიტორია მოუკითხავთ, არც ნეიტრალური, — ყველაფერი უმტკივნეულოდ გადაწყდა მოძმე სომხების სასარგებლოდ (მოძმე ერის ცნება, რომელიც, საერთოდ, დღეს რატომღაც დევალვირებულია, ჩვენს სინამდვილეში — ჩვენთვისაც, სომხებისთვისაც — შინაარსისა და მნიშვნელობის მატარებელია; უცხოელ ანალიტიკოსებს ამისი ადეკვატური აღქმა ხშირად უჭირთ).

კიდევ ერთი ფრაგმენტი. უფრო გვიან, 1920 წელს (აპრილში რუსეთის მიერ აზერბაიჯანის ოკუპაციის შემდეგ), დაირღვა საქართველოს აღმოსავლეთი საზღვარი. თბილისს მოსკოვმა განუცხადა, რომ მას ამ საქმესთან არავითარი კავშირი აქვს, რადგანაც აზერბაიჯანი დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკაა და ეს მისი სამხედრო ნაწილები შემოვიდნენ საქართველოში (სინამდვილეში მოქმედებდნენ ბოლშევიკების მე-20 და 32-ე დივიზიები). ქართულმა ჯარმა წითელ ხიდთან დაამარცხა მოწინააღმდეგე და გადავიდა აზერბაი-

ჯანის ტერიტორიაზე. საქმეში, „მომრიგებლის“ ფუნქციით, ისევ მოსკოვი ჩაერია, ქართველებმა შეწყვიტეს მოწინააღმდეგის დევნა და საკუთარ საზღვრებამდე დაიხიეს (სხვათა შორის, მომენტი უკიდურესად ხელსაყრელი იყო: ერთი მხრივ, რუსეთს სერიოზული მოქმედების არავითარი საშუალება არ ჰქონდა, რადგანაც ამ დროს ერთდროულად, სხვადასხვა ფრონტზე, ებრძოდა პოლონეთს და ვრანგელს, მეორე მხრივ, აზერბაიჯანში ბევრგან მზად იყვნენ წითლების წინააღმდეგ გამოსვლისათვის). ამ ამბების აღმწერი ფრანგი რემონ დიუგე ასკვნის (იხ. *რ. დიუგე*, მოსკოვი და წამებული საქართველო, ქართ. თაგმანი, თბილისი, 1994): «ისტორიაში შეიძლება პირველად მოხდა ასეთი რამ. კარგად მომზადებული, ენერგიით სავსე, ძლიერი არმია უარს ამბობს ლამაზი გამარჯვების ნაყოფი გამოიყენოს. მას ხომ არაფერი უშლიდა ხელს საბოლოო გამარჯვებაში! ისტორიაში ალბათ პირველი შემთხვევაა, როცა გამარჯვებული არმია უკან იხევს. მტერი დაამარცხა, გააქცია, თავად კი უკან დაიხია [...] ამ უცნაურმა და უგუნურმა ბრძანებამ (ბრძანება თბილისიდან მოუვიდა გენერალ კვინიტაძეს — ა. ს.) საქართველოს დამოუკიდებლობას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა». (ისევ უნდა გავიხსენოთ მოძმე ერის ცნება — ქართველებისა და აზერბაიჯანელებისთვის იგი ფუნქციურია).

•

ეს და ყველა სხვა მაგალითი ჩვენი ისტორიიდან თვალსაჩინო ილუსტრაციაა იმისა, რომ ჩვენ, ჩვენი იდეიდან გამომდინარე, არასოდეს ვიყავით საკუთარი თავისთვის გამორჩეული ბედნიერების მოსურნე, — ჩვენი რწმენიდან გამომდინარე, ჩვენ არც შეიძლებოდა ვყოფილიყავით ასეთნი.

ჩვენი ქვეყანაც, ჩვენი იდეიდან და ჩვენი რწმენიდან გამომდინარე, არა ზეძლიერი და ზებედნიერი სახელმწიფო უნდა ყოფილიყო, არამედ მხოლოდ სუვერენული ქვეყანა, რომელშიც საკუთარი სულიერება განვითარდებოდა, როგორც მსოფლიო ცივილიზაციის ორგანული და ამავე დროს ორიგინალური და წარმატებული შემადგენელი, — აქ ჩვენ გვინდოდა და, როგორც ჩანს, შეგვეძლო შეჯიბრი.

მსოფლიო ისტორიამ იცის დიდი — ზეძლიერი და ძლიერი — სახელმწიფოები, რომელთა მიკროისტორიით ფაქტიურად მარკირებულია მოცემული ეპოქის მაკროისტორია. მაგრამ იცის სხვა შემთხვევებიც. ებრაელები, მაგალითად, ჰეროდოტესთან (რომელიც არა მხოლოდ საბერძნეთს და საბერძნეთ-სპარსეთის ომებს ეხება) საერთოდ არ არიან მოხსენიებულნი — არც იუდეა და არც მისი დედაქალაქი (არც გაერთიანებული სამეფო, არც ისრაელი). ამავე დროს, მოხსენიებულია პრაქტიკულად ყველაფერი, რაც იმდროინდელი რეალური ისტორიისთვის მნიშვნელობის მქონე იყო (ასირია, ეგვიპტე, ფინიკია, სპარსეთი, არაბეთი, ლიდია, მიდია, ინდოეთი, ეთიოპია, ბაქტრია, კიმერია, სკვითია, კვიპროსი, მაკედონია, იტალია და ა.შ.); რაც მთავარია, უფრო ძველი სურათიცაა მოცემული — აღმოსავლეთის და დასავლეთის ძველი ცივილიზაციების ეპოქისა; ჰეროდოტე ასევე, კერძოდ, კარგად იცნობს პალესტინას (დეტალურად იცნობს რეგიონს ეგვიპტიდან პალესტინამდე, იცის, მაგალითად, აქ მდებარე არაბული სამეფო — ნაბატეა, ისიც იცის, რომ არაბებს ჰყავდათ ქალღმერთი ალილათი — ალ-ლათი, ჰეროდოტე მას აფროდიტა ურანიას ეკვივალენტად ასახელებს)... გარკვეული თვალსაზრისით, ებრაელების არყოფნას ჰეროდოტეს ისტორიებში შეიძლება ახსნა მოენახოს. მაგრამ საქმე ისაა, რომ

ისინი არც სხვა ანალებში წარმოადგენენ რამდენადმე მნიშვნელოვან თემას, არც თანამედროვე ნარკვევებში მსოფლიოს რეალური ისტორიისა, — ისინი არ იყვნენ აქტუალურნი იმდროინდელი მაღალი მსოფლიო პოლიტიკისთვის. იყვნენ სხვა ხალხები, რომლებიც, როგორც გლობალური პოლიტიკური და სამხედრო თამაშების პირველი მონაწილენი, გავლენას ახდენდნენ მოვლენათა მსვლელობაზე. ებრაელები ამ მხრივ არ ზემოქმედებდნენ — მათ **საკუთარი** ქვეყანა ჰქონდათ. მაგრამ, მეორე მხრივ, მათ ჰქონდათ სხვა რამ — უნიკალური სულიერება და ისეთი შემოქმედება ბიბლიის სახით, რომელიც მთელ სამყაროზე ზემოქმედებდა, და რომელიც, სხვათა შორის, **საკუთარ** რეალიებს აღწერს და **საკუთარ** თვითმყოფადობას ამკვიდრებს.

საქართველოს ისტორია, რა თქმა უნდა, განსხვავებულია (მაგალითად, ჩვენ არ გვქონდა ჩვენი ქანაანი, სადაც უნდა ჩავსახლებულიყავით; ასევე: იყო დრო, როდესაც ჩვენი სახელმწიფო გადამწყვეტ როლს თამაშობდა — არა მარტო რეგიონში — და ისტორიული ანალების ყურადღების ობიექტი იყო; ასევე: ჩვენ არ გვქონდა დაკარგული საუკუნეთა განმავლობაში სუვერენობა და სახელმწიფოებრიობა, და ა.შ.). გარკვეული პარალელი აქ ის არის, რომ ჩვენ, როგორც პატარა ქვეყანას, საკუთარი მოცემულობა გვაკმაყოფილებდა, ჩვენ ვცდილობდით მხოლოდ მასზე გვეზრუნა და ვყოფილიყავით მსოფლიო ისტორიისათვის ის მცირე, მაგრამ ორგანული, ელემენტი, რომელიც **საკუთარ** სუვერენობას დაამკვიდრებდა, ხოლო გლობალური ზემოქმედება — თუ ეს ჩვენ შეგვეძლო — ჩვენს სულიერებას ექნებოდა.

და კიდევ ერთი: ჩვენ ამ დროს, როგორც ჩანს, გვახსოვდა, რომ უძველეს ფესვებთან გვქონდა უშუალო კავშირი.

•

ერთი საკითხიც — ებრაელი ხალხის თემასთან დაკავშირებით. ჩვენს, ქართულ, კონტექსტში ეს თემა სრულიად გამორჩეულად ჟღერს.

საქართველოში (ქართლში) ებრაელები ძვ. წ. VI ს-ის, ნაბუქოდონოსორის დროინდელი, გადასახლების შემდეგ ჩანან (მეორე გადმოსვლა ახ. წ. I საუკუნეს განეკუთვნება, იმპერატორ ტიტუსის დროს იერუსალიმის ტაძრის დანგრევის შემდეგ; არის სხვა დათარიღებაც: ძვ. წ. II ს-ში — იხ. *თ. დუნდუა*, ქართული ეთნოკულტურული ევოლუცია და დასავლეთი ნუმიზმატური მასალების მიხედვით, თბილისი, 1997), — მცხეთა ხდება მათთვის მეორე იერუსალიმი. ქართლში ებრაელების ცხოვრება არის არა მარტო ებრაელთა გრძელი ისტორიის ფრაგმენტი, არამედ საქართველოს ისტორიისაც, რადგან ისინი — სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ — ჩვენს მიწაზე პირველი ქრისტიანები (იუდეოქრისტიანები) არიან; რაც მთავარია, ქართლის ებრაულ თემს (აბიათარი) დიდი წვლილი მიუძღვის მეფე მირიანის დროს ჩვენში ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებაში (დაწვრილ. იხ. *ზ. კიკნაძე*, ქართლი გაქრისტიანების გზაზე, თბილისის, 2009), — ამ დროიდან ქრისტიანობაზე მოქცეული ებრაელები ქართველებთან ერთად ერთ ქართულ ქრისტიანულ ოჯახად ცხოვრობდნენ.

მაგრამ საქმე ისაა, რომ არმოქცეული ებრაელებიც (ქართველი ებრაელები) ცხოვრობდნენ და დღესაც ცხოვრობენ როგორც ჩვენი საზოგადოების ორგანული შემადგენელი ელემენტი, რომელიც ყოველთვის მონაწილეობდა ჩვენი ისტორიის შექმნაში. ამ რეალობის ფონზე ზედმეტი და უადგილოა იმის გახსენება, რომ, განსხვავებით პრაქტიკულად ყვე-

ლა სხვა ქვეყნისგან, საქართველოში ებრაელთა დისკრიმინაციის და დევნის არცერთი შემთხვევა არ გვაქვს.

საქართველო ის გამონაკლისი ქვეყანაა, რომელსაც ბოდიშის მოხდა არ უწევს ებრაელობასთან.

საერთოდ, საქართველო ის გამონაკლისი ქვეყანაა, რომელსაც ბოდიში მოსახდელი არავისთან აქვს, — არცერთ ხალხთან, არც ჩვენს მიწაზე მცხოვრებთან, არც ჩვენს მეზობლად, არც ჩვენგან შორს. ესეც ქართული იდეაა მოქმედებაში.

სხვათა შორის — ისიც, რომ დღეს ისრაელში შეიძლება ყველამ კარგად და აქტიურად არც იცის ჩვენი თანაარსებობის უნიკალური (სხვა ქვეყნებისგან განსხვავებული) ისტორია და, სადაც საჭიროა, ამას ითვალისწინებს.

•

ქართული იდეა **მშვიდობიანი** იდეაა — ასეთი იყო იგი მოქმედებაში.

ხოლო, როგორც იდეა, იგი ასეთია:

ჩვენ ვიყავით (მაშინაც, როდესაც ბევრნი სხვანი არ იყვნენ, — და გვქონდა ჩვენი ადგილი), ჩვენ ვართ (მაშინაც, როდესაც ზოგნი გაქრნენ ან დაკარგეს თავიანი სახე, — და გვაქვს ჩვენი ადგილი), ჩვენ ვიქნებით (მაშინაც, როდესაც ჩვენი ყველას აღსასრულის ჟამი მოახლოვდება, — და გვექნება ჩვენი ადგილი).

ჩვენ ვიყავით, ჩვენ ვართ, ჩვენ ვიქნებით.

ეს არის, მოკლედ, ქართული იდეა.

რომელიც ბუნებრივად გულისხმობს იმას, რომ ჩვენ იგივე გვინდა ყველა სხვა ქვეყნისთვის და ჩვენ იგივე გვინდა ყველა სხვა ქვეყნისგან.

ეს არის ქართული იდეა — უკიდურესად არაამბიციური გლობალურ კონტექსტში და უკიდურესად ამბიციური საკუთარი სუვერენობის კონტექსტში.

თავი მესამე
ბოლოთქმა

•

«ყოველ ერს თავისი საკუთარი სახე აქვს, თავისი საკუთარი გულთათქმა, თავისი წადილები, თავისი სულთასწრაფვა, თავისი ღირსება». ეს ილია ჭავჭავაძეა (რომლის — ასევე აკაკის — ლექსის ციტირებით დაიწყო წინამდებარე წიგნი).

ყოველ ერს თავისი სახე აქვს და ამ სახის გამოხატვისთვის მას სუვერენული არსებობა სჭირდება. სუვერენული არსებობა კატეგორიულად არაა იზოლირებული არსებობა, — ეს არის ცივილიზებულ სამყაროში ინტეგრირებული არსებობა საკუთარი სახით.

დამოუკიდებლობა, მეტი არაფერი — ეს არის ქართული იდეა. იგი ბუნებრივი იდეაა და ამიტომაც რეალიზდა ათასწლეულთა მსვლელობაში და სრულიად უმტკივნეულოდ რეალიზდება დღეს — ამ იდეურად, ინფორმაციულად, ფინანსურად და ა.შ. გლობალიზებულ ან გლობალიზებაზე ორიენტირებულ მსოფლიოში, რომელშიც ყველას საჭიროა ჰქონდეს თავისი წილი დამოუკიდებლობა, რათა ორგანულად იცხოვროს ერთიან სამყაროში — საკუთარი ბინის ქონის და საერთო სახლში თანაცხოვრების კანონების ფარგლებში.

ქართული იდეა, დამყარებული, ერთი მხრივ, რეალობაზე — ისტორიაზე, მეორე მხრივ, რწმენაზე (იყოს იგი ირრეალური და მისტიკური, თუ ვისმე ასე უნდა), მოცემულობაა. და, როგორც ასეთი, იგი მუდმივია — თავისი არსით იგი მხოლოდ მუდმივი შეიძლება იყოს.

რას შეიძლება ნიშნავდეს, ბოლოსდაბოლოს, ქართული (რუსული და ა.შ.) იდეა? თუ ჩვენ ვმსჯელობთ არა მხოლოდ ან უბრალოდ პოლიტიკაზე (როდესაც იდეა თუ კონცეფცია — ამის თქმაც მხოლოდ პირობითად შეიძლება — მართლაც შესაძლოა ვილაცამ შექმნას), მაშინ ეს არის მოცემულობა, რომელიც კანონზომიერია. შესაბამისად, იგი — ეროვნული იდეა — იმპლიციტურად თავიდანვე, თვითონ, არის მოცემული, ხოლო ექსპლიციტურად წარმოადგენს ამ მოცემულის ფორმულირებულ გამოხატვას, ჯერ ერთი, საკუთარი რწმენის/წარმოდგენის, მეორეც — საკუთარი ადგილისა და ფუნქციის გაცნობიერების, მესამეც — საკუთარი ისტორიული გამოცდილების, პერსპექტივის ხედვის და ა.შ. გათვალისწინებით.

ეს არის მოცემულობა. და ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ისიც, რომ მის — მოცემულობის — მიხედვით ვმოქმედებთ ჩვენ და მოქმედებენ ჩვენს მიმართ. შეიძლება არც ჰქონდეს მნიშვნელობა, ვმოქმედებთ ყოველთვის იდეის გაცნობიერებით, თუ ზოგჯერ — გაუცნობიერებლად; ასევე ზოგჯერ გაცნობიერებულად, ზოგჯერ გაუცნობიერებლად მოქმედებენ ჩვენს მიმართ. ყველაფერი ეს მხოლოდ იმაზე მოახდენს გავლენას, რომ ჩვენი მოქმედებები და ჩვენს მიმართ მოქმედებები კარგი (სწორი) იქნება ან ცუდი (არასწორი).

ეს არის მოცემულობა, რომლის კორექტირება შეიძლება, მაგრამ არ შეიძლება მისი პრინციპული შეცვლა. მისი გადაკეთება არ შეიძლება.

საქართველოს გადაკეთება არ სჭირდება.

იგი ყოველთვის თვითონ ახერხებდა ტრანსფორმირებას და გათანამედროვეობას — ამაში მას საკუთარი ეროვნული იდეა, როგორც მუდმივი მოცემულობა, უწყობდა ხელს (ხოლო აბრკოლებდა გარედან მოსული აგრესია და ძალდატანება). თუ იგი, საქართველო, ამ დროს საკუთარი ეროვნული იდეის ერთგული იყო, ეს არასდროს, არცერთ ეპოქაში, არ უშლიდა ხელს ჩვენს ირგვლივ სამყაროს, რადგანაც ეს იდეა — განსხვავებით ზოგიერთი სხვა ნაციონალური იდეისგან — მიმართული იყო ქვეყნის შიგნით და არა გარეთ, მისი რეალიზაციის სივრცე ჩვენი საკუთარი თავი იყო და საკუთარი ქვეყანა; რაც მთავარია, ჩვენ ამ დროს არასოდეს ვუქმნიდით დისჰარმონიას ჩვენს ირგვლივ გლობალური განვითარების კანონზომიერ დინამიკას.

•

დღეს ჩვენთვის ჩვენი საკუთარი ეროვნული იდეა აქტუალიზებულია — იმიტომ, რომ XX ს. ბოლოს და XXI ს-ის დასაწყისში აქტუალიზებულმა მსოფლიო პროცესმა დემოკრატიის მასობრივი ვარიანტის (მასდემოკრატიის) ექსპორტისა და მისი გლობალური დამკვიდრებისა კარგა ხანია უშუალოდ ჩვენს საზღვრებს მოაღწია. საერთოდ, ეს პროცესი მისაღებია, მაგრამ მხოლოდ — საერთოდ და პრინციპულად, რადგანაც პრინციპულად მისაღებია ე.წ. თავისუფალი და არათავისუფალი სამყაროების ჰარმონიზების იდეა, საბოლოოდ დაკავშირებული საყოველთაო უსაფრთხოების მიღწევის მიზანთან. მაგრამ მიუღებელი და გაუგებარი იქნება ამ პროცესის მეთოდოლოგიაში გადაკეთების (წაიკითხე: უხეში გადაკეთების) ამოცანის დასახვა; ყოველ შემთხვევაში, მიუ-

ღებელი იქნება ასეთი ამოცანის დასმა, მაგალითად, ჩვენს მიმართ, ან ჩვენისთანა ქვეყნის მიმართ.

ჯერ — ზოგადად ორიოდე სიტყვა საკუთრივ გადაკეთებაზე (ვიხმაროთ პირობითად ეს სიტყვა ტერმინის მნიშვნელობით). მსოფლიო თანამეგობრობა უნდა ხედავდეს, რომ ამ ამოცანის დასმისას ყოველთვის გაჩნდება არაკორექტულობის ელემენტი. გადაკეთებასა და გათანამედროვეობას შორის პრინციპული განსხვავებაა, რადგანაც მეორე ყოველი მოცემული დროის მოვლენაა და ყველა ერს სჭირდება, პირველი — მხოლოდ ველურ ტომს (თუ კიდევ დარჩა ასეთი), რომელიც, გარემოებათა გამო, ისტორიის მსვლელობაში განზე, პერიფერიაზე, აღმოჩნდა და, გარკვეული პოზიციებიდან, მარგინალი შეიქნა; გათანამედროვეობა/მოდერნიზაცია ბუნებრივი პროცესია და მას, გლობალური კანონზომიერებების მოქმედების პირობებში, პრაქტიკულად ყველა ერი ახერხებს, გადაკეთება არაბუნებრივი პროცესია, ამასთან — ველური ინიციატორების მეთოდია, კერძოდ — კოლონიზაციათა ეპოქის მონაპოვარი.

კონკრეტულად — რაც შეგვეხება ჩვენ.

ჩვენ, ერთი მხრივ, ჩვენი ეროვნული იდეის, მეორე მხრვ, ათასწლეულთა მანძილზე სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში და კულტურაში გამოვლენილი უაღრესად მაღალი დონის მატარებლებს, სრულიად თავისუფლად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ხელოვნური აქციები ჩვენ არ გვესაჭიროება, — ჩვენ თვითონ ვართ მზად მოდერნიზაციისთვის და თვითონ განვახორციელებთ მას (შდრ *ა. სილაგაძე*, რევოლუცია რომ არ ყოფილიყო..., თბილისი, 2005).

ჩვენ ყოველთვის რადიკალურ აზიასა და რადიკალურ ევროპას შორის ვიყავით, ხოლო, პირველ ყოვლისა სარწმუ-

ნოებრივი პოზიციიდან გამომდინარე, კულტურულად დასავლეთს წარმოვადგენდით. წინა საუკუნეში, 1918 წელს, სანამ საბჭოთა ეპოქა დადგებოდა, ჩვენ და არა სხვამ შევქმენით ევროპაში ფაქტიურად პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა, რომლის პარლამენტში უმრავლესობაც იყო და უმცირესობაც, და უმრავლესობას თანამედროვე ტიპის სოციალ-დემოკრატები წარმოადგენდნენ და არა ვულგარიზებული სოციალიზმის ტიპის ბოლშევიკები (რომლებიც პარლამენტში საერთოდ არ იყვნენ წარმოდგენილნი, ისინი მოსკოვში ისხდნენ და ჩვენს წინააღმდეგ გადატრიალებას ამზადებდნენ). ამისათვის ჩვენ დემოკრატიზების გზაზე დიდი გადაკეთება არ გვჭირდებოდა — შვიდი საუკუნით ადრე საქართველოს მეფის კარზე სამეფო დარბაზი არსებობდა, რომელსაც, როგორც წარმომადგენლობით ორგანოს, იმდენად დიდი ფუნქცია ჰქონდა (და იმდენად ჰქონდა შეზღუდული მეფის უფლებები), რომ 1185 წელს მან — და არა მეფემ — მიიღო გადაწყვეტილება, ვინ იქნებოდა ხელმწიფე ქალის ქმარი, ხოლო ორი წლის შემდეგ მანვე დაადგინა განქორწინება და ქვეყნიდან გააძევა დედოფლის უღირსი თანამესაყდრე.

მაგალითების მოტანა ჩვენი ისტორიიდან (და ჩვენი თანამედროვეობიდან) მრავლად შეიძლება. ჩვენ პრაქტიკულად უსაზღვრებო ქვეყანა ვიყავით — ესეც უნიკალური მაგალითია ისტორიაში. ერთი მხრივ, ქართველები დასასახლებლად (კერძოდ, კომპაქტურად დასასახლებლად) არსად მიდიოდნენ* — ესეც ქართული იდეაა მოქმედებაში, მისი ერთ-ერთი

* მხოლოდ ორი პრინციპული გამონაკლისი არსებობდა: ერთი — როდესაც მათ დამპყრობელი კომპაქტურად აყრიდა მიწიდან და თავისთან, თავისი ქვეყნის შიგნით, ძალით გადაასახლებდა; მეორე — როდესაც დამპყრობელი ჩვენს მიწას მიიტაცებდა

გამოხატულება: ჩვენ ჩვენი საკუთარი ქვეყანა გვინდოდა/გვერჩივნა, — **საკუთარი ჩვენთვის ნიშნავდა სუვერენულს.** მეორე მხრივ, საკუთარი ქვეყნის კარები ჩვენ ღია გვქონდა, ჩვენთან, ვისაც უნდოდა, შემოდიოდა და სახლდებოდა, — ასე გაჩნდა ჩვენს ტერიტორიაზე სომხებით, აზერბაიჯანელებით, ოსებით, აფსუებით, ბერძნებით, არამეელებით და ა.შ. კომპაქტურად დასახლებული ადგილები (თუ ვინმე დღეს მოინდომებს მათთვის ავტონომიების თუ დამოუკიდებელი ტერიტორიების განკუთვნებას, ეს მისი დესტრუქციული ბუნების გამოხატულებაა; თუ ვინმე ევროპაში ამას გარედან და გულგრილად შეხედავს, მან უნდა გაიხსენოს, რომ დღეს ასეთი კომპაქტური ადგილები მათთან უკვე შექმნილია); ასეთი ადგილები ჩვენს რეგიონში — ამიერკავკასიაში — ფაქტიურად არცერთი ქვეყნის ტერიტორიაზე არ არსებობს. ჩვენში ასეთი რამ ხელოვნურადაც (ე.ი. გამიზნულად) კეთდებოდა — და ჩვენ არც ამ დროს გამოვთქვამდით პროტესტს. 1829 წელს, მაგალითად, ადრიანოპოლის ზავით რუსეთს, რომელსაც მაშინ ანექსირებული ჰქონდა ჩვენი ქვეყანა, გადაეცა ქართული ტერიტორიები — ახალციხის საფაშოს ათი სანჯაყი, შედეგად — ჩვენი სამცხე-ჯავახეთიდან თურქეთში გადაიხვეწა 75 000 გამუსლიმებული ქართველი (გადასახლება მთლიანად ინსპირირებული იყო რუსეთის მიერ და, შესაბამისად, იძულებითი: თურქეთთან ხელშეკრულებაში სპეციალური პუნქტი იქნა ჩადებული, რომლის მიხედვითაც ზავის შემდეგ 18 თვის განმავლობაში საზღვარი ორივე მხრიდან ღია იქნებოდა, შემდეგ — დარჩენილი ქართველობისთვის დაწესებულ იქნა ისეთი გადასახადი, რომელიც მათთვის, როგორც მუსლიმებისთვის, შეურაცხმყოფელი იქნებოდა, ბოლოს — რამდენიმე სოფელი, რომელმაც

დარჩენა აირჩია, არტილერიით იქნა დაბომბილი); მათ ადგილზე რუსეთმა ჩაასახლა არა ქართველები მწირმიწიანი ადგილებიდან (კერძოდ, ზემო იმერეთიდან, — ასეთი თხოვნით მიმართა ქართველმა საზოგადოებამ ი. პასკევიჩს, მაგრამ იგი უარყოფილ იქნა), არამედ 30 000 სომეხი ყარსიდან, აგრეთვე ბერძნები და რუსი სექტანტები*.

ჩვენ ყოველთვის უპრობლემოდ ვიღებდით ლტოლვილებს, რომლებიც ჩვენთან ყოველი მხრიდან მოდიოდნენ: შევიწროებული სომხები თუ ქურთები ოსმალეთიდან, თუ ებრაელები გერმანული ოკუპაციის ქვეშ მყოფი ლიტვიდან, თუ ჩეჩნები — სულ ახლახან, რუსეთ-ჩეჩნეთის ომის მსვლელობაში; ჩვენ ყველას ვიღებდით და, მაგალითად, არ მოვითხოვდით მათგან ასიმილირებას და გვარების ქართულად გადაკეთებას.**

მთავარი ისაა, რომ ჩვენ ასეთები ყოველთვის ვიყავით და ამას უცხოელი დამკვირვებლები ადასტურებენ. როდესაც 1122 წელს დავით აღმაშენებელმა ქვეყანას თბილისი დაუბრუნა, მუსლიმებს, რომლებიც მაშინ ქალაქის საკმაოდ დიდ ნაწილს შეადგენდნენ, განსაკუთრებული მდგომარეობა შეუქმნა. ალ-ფარიკის, იმ ამბების მომსწრე არაბი ისტორიკოსის, მიხედვით, დავით აღმაშენებელმა (იხ. *გ. წერეთელი,*

---

* ქართულ მიწაზე ჩასახლება-დასახლება, კერძოდ XIX საუკუნეში, ცალკე საინტერესო და ნიშანდობლივი თემაა. მაგალითად, აფხაზეთში — საქართველოში — პეტერბურგის ნებით, შეიძლებოდა დასახლებულიყო ყველა, ქართველის გარდა — რუსი, კაზაკი, სომეხი...

** ჩვენთან ცხოვრობენ და ჩვენი თანამემამულენი არიან, მაგალითად, ქურთები (ეზიდები — იხ. *К. Алоев*, Езидские священные книги, Тбилиси, 1999), რომლებიც გასული საუკუნის დასაწყისში შემოვიდნენ თურქეთიდან სომხეთის გავლით, და ბევრი მათგანი დღესაც რუსულ და სომხურ გვარს ატარებს.

არაბული ქრესტომათია): «პირობად დადო, რომ იმ უბანში, სადაც მუსლიმებია, არ იქნებოდა ღორი და არ დაიკვლებოდა მათ შორის. მოჭრა მათთვის დირჰამი და მის ზედაპირზე ხალიფას და სულტნის სახელია. ნება მისცა მათ, აზანი და ლოცვა თავისუფლად შეესრულებინათ. დაუდო მათ პირობა, რომ ისმაილის აბანოში არ შევიდოდა ქართველი, არც ებრაელი, არც სომეხი; და რომ პარასკევ დღეს მინბარიდან მოიხსენიებოდა ხალიფას და სულტნის სახელი და არ მოიხსენიებოდა მისი სახელი». შემდეგ კიდევ უფრო გასაოცარი რამ: «და პირობად დადო, რომ ქართველის გადასახადი წელიწადში ხუთი დინარია, ებრაელისა — ოთხი დინარი, მუსლიმისა — სამი დინარი». საბოლოოდ: «უაღრესად კეთილად მოეპყრო მუსლიმებს და ისეთი ღირსება და პატივი მიაგო რელიგიის მსახურთ, სწავლულთ და სუფიებს, როგორიც მათ მუსლიმებს შორის არ აქვთ».

კიდევ ერთი — უნიკალური — ფაქტი, რომელსაც მიუთითებს სომეხი ისტორიკოსი მათე ურჰაელი (XII ს.): «მან (დავით აღმაშენებელმა — ა.ს.) ააშენა სომეხთა (sic!) ქალაქი ქართველთა (sic!) ქვეყანაში» (ლაპარაკია ქ. გორზე).

მაგალითები მართლაც მრავლადაა. მათ შორის — ორი ასეთიც, ახალი ისტორიიდან.

1944 წ. თებერვალ-მარტში საბჭოთა ხელისუფლებამ (ეს ჩვენი ბრალი არ არის, რომ მაშინ მას სათავეში ჩვენი თანამემამულე ედგა) თავიანთი მიწიდან ყაზახეთში და ყირგიზეთში გადაასახლა ჩეჩნები და ინგუშები და მათ ადგილზე მოსაზღვრე რესპუბლიკების მოქალაქეები ჩამოიყვანა, მათ შორის — მთის ქართველთა გარკვეული რაოდენობა (იგივე მოხდა ბალყარელების მიმართ). 1956-57 წლებში, როდესაც გადასახლებულები უკან დააბრუნეს, ქართველებმა — ყვე-

ლამ — დატოვეს ეს ადგილები და სახლები მათ პატრონებს დაუბრუნეს (სხვათა შორის, დაუტოვეს საკუთარი პირუტყვიც). საქმე ისაა, რომ სხვებმა (მაგ., ოსებმა) არ დაუბრუნეს, და ეს იქ დღესაც პრობლემაა.

მეორე მაგალითი. ქართველთა ნაწილი რაჭიდან, მოყოლებული XIX ს-ის 80-იანი წლებიდან, საშოვარზე დადიოდა კავკასიონის გადაღმა, ოსეთში, კერძოდ — ალაგირში, და ბევრი იქ ცხოვრობდა. 1919 წ. იანვარში ადგილობრივმა ოსებმა კი არ განდევნეს, პრაქტიკულად მთლიანად ამოჟლიტეს იქაური ქართველები, მხოლოდ მცირე ნაწილმა შეძლო გამოეღწია საქართველოში (ისტორიის ეს სისხლიანი ფრაგმენტი ჩვენ პრაქტიკულად დავიწყებული გვაქვს, — ეს ალბათ კარგია და საჭირო, მაგრამ ეს ჩვენი სპეციფიკაა; იშვიათ პუბლიკაციათაგან ერთი იხ. — *ს. რეხვიაშვილი*, ალაგირელი ქართველების ტრაგედია, გაზ. «სახალხო განათლება», N46, 1989 წ.) . ეს — მაშინ, როდესაც საქართველოს ტერიტორიის სხვადასხვა ადგილზე საუკუნეთა განმავლობაში და დღესაც ოსები სრულიად მშვიდად ცხოვრობენ.

ჩვენ — ჩვენი ეროვნული იდეის მატარებლებს — მართლაც გვაქვს სრული უფლება განვაცხადოთ, რომ ხელოვნური და მიზანმიმართული გარდაქმნები ჩვენ არ გვესაჭიროება. ჩვენ შინაგანად ვართ მზად უახლესი პროცესებისთვის და თანამედროვე ტრანსფორმაციებისთვის. ჩვენ მზად ვართ გლობალიზაციისთვისაც. თუ მსოფლიო თანამეგობრობა დღეს იმისთვის იღვწის, რომ ეროვნული (ასევე — კონფესიური) განკუთვნილება არსად არ წარმოადგენდეს დაბრკოლებას ან ქმნიდეს კომპლექსებს, და, კერძოდ, ჩვენს რეგიონში ჩვენთვის ყველასთვის სულერთი იყოს, ქართველია ჩვენი თანამემამულე, აზერბაიჯანელი თუ სომეხი, — ამის-

თვის სანიმუშო მაგალითს ჩვენ ყოველთვის ვიძლეოდით, ასეთი სიტუაცია ჩვენში ყოველთვის იყო რეალიზებული. ჩვენში რელიგიური თუ ეთნიკური ე. წ. უმცირესობები უფლებრივად და ფაქტობრივად ყოველთვის უკეთეს დღეში იყვნენ, ვიდრე უმრავლესობა, — ესეც პრაქტიკულად უნიკალური შემთხვევაა.

ეს არის ქართული იდეა მოქმედებაში.

ეს უნდა გაითვალისწინონ იმათ (ე.წ. მსოფლიო თანამეგობრობამ, ე. წ. თავისუფალმა სამყარომ და ა.შ.), ვისაც დღეს მსოფლიო პროცესების რეგულირების ამოცანა აქვს დასახული, და იზრუნოს (ოღონდ არა უხეშად) ე.წ. მესამე სამყაროს ტრანსფორმირებაზე. აქ ჩვენს და ჩვენისთანა ქვეყნების მაგალითზე ტიპიური ვარიანტის მოდელირება სრულიად უადგილო იქნება, რადგანაც, ჯერ ერთი, ცივილიზაციურად — მენტალურად, ინტელექტუალურად და კულტურულად — ამ სამყაროს ჩვენ არასოდეს წარმოვადგენდით (და, თუ მარეგულირებლებზე და დამგეგმავებზე მაღლა არა, მინიმუმ მათ დონეზე ყოველთვის ვიყავით); მეორეც, ეს როლი შეიძლება სხვებს განეკუთვნოს, მაგალითად იმათ, ვინც უნიტარული ქვეყნები და მონოეთნიკური საზოგადოებები შექმნა.*

---

* მსოფლიო თანამეგობრობას ამ ცოტა ხნის წინ ჩვენ უკვე გავუწიეთ ერთი, შესასრულებლად საკმაოდ მძიმე, სამსახური (არ ვიცი, რამდენად საჭირო და აუცილებელი იყო ეს მისთვის ან ჩვენთვის, მაგრამ ყველა შემთხვევაში — გავუწიეთ). დემოკრატიზაციის პროცესისთვის ერთ-ერთ ყველაზე უფრო სპეციფიკურ ამოცანას ყოფილი საბჭოთა სივრცე ქმნის; აქ საჭირო იყო ისეთი სტარტი, რომელიც გარკვეულ სამოდელო საფუძველს შექმნიდა. ჩვენ ვიკისრეთ და 2003 წ. ნოემბერში ეს მისია შევასრულეთ. მეტის გაკეთება გლობალური ინტერესებისთვის ერთ (პატარა) ერს ალბათ არ შე-

ჩვენ ვიცით ჩვენი ადგილი. ასეთები ჩვენ არავის ვუქმნით და არ შევუქმნით პრობლემებს. უფრო მეტიც, სწორედ ასეთები არ შევუქმნით პრობლემებს.*

ჩვენ ჩვენი ისტორიული გამოცდილებით ვართ მომზადებულნი ავყვეთ გლობალიზაციის პროცესსაც, თუ მასში მონაწილეობა თავისუფლად შეერწყმება საჭირო დოზით ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ფასეულობებზე ზრუნვის ამოცანას. უნივერსალური ფასეულობები მთელი ცივილიზებული კაცობრიობის ერთობლივი მონაპოვარია და მათზე მონოპოლია არავის შეიძლება ჰქონდეს. რაც შეეხება უნივერსალურ (პოლიტიკურ) იდეებს, ისინი პრაქტიკულად ფსევდოიდეებია და, როგორც წესი, ფიქციაა (თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ მათი გავრცელებისას / რეალიზებისას დი-

---

უძლია. გარდა ამისა, მან საკუთარ ინტერესებსაც უნდა მიხედოს — ისე, როგორც ამას სხვები აკეთებენ.

* ჩვენი ეროვნული მენტალობის — მისი ერთი მხარის — პოზიციებიდან, საინტერესოა 1918 წ. დამოუკიდებლობის აქტში, კერძოდ მესამე მუხლში, განცხადებული პრინციპი: «საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა» (იგივე იდეა — აქტის პირველ დამატებაში: «საერთაშორისო კონფლიქტების დროს საქართველო ნეიტრალურია»). ზოგადად, საქართველოსთვის ნეიტრალური ქვეყნის სტატუსის იდეა მაშინაც და დღესაც აქტუალურია. ეს ცალკე მსჯელობის თემაა. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ მისი განხილვა კონიუნქტურული პოლიტიკის პოზიციებიდან მიუღებელია. ისევე, როგორც მიუღებელია მასზე მსჯელობა საკითხის — მისი თეორიული (საერთაშორისო იურისპრუდენციის) და პრაქტიკული (მაშინდელი ისტორიის და დღევანდელი რეალიების) მხარის — შეუსწავლელად. რაც შეეხება ისტორიას, მაშინ საქართველო არ გამოცხადებულა ნეიტრალურ ქვეყნად — ეს საერთაშორისო აქტის სფეროა; საქართველოს, ნეიტრალიტეტის იდეის დეკლარირებულად მატარებელს, მაშინ მსოფლიო თანამეგობრობამ (ერთა ლიგა) ზურგი შეაქცია. ეს არა იმის მაგალითია, რომ ნეიტრალიტეტის იდეა არ ვარგა, არამედ სწორედ იმისა, რომ მის და ქვეყნის უგულებელყოფას იმ ისტორიულ შემთხვევაში სავალალო შედეგი მოჰყვა.

დი/ლიდერი ქვეყნები არასოდეს ივიწყებენ და არ თმობენ საკუთარ ეროვნულ იდეას). თუ მაინცდამაინც უნივერსალიებს ვეძებთ, მაშინ ერთ-ერთი, როგორც ჩანს, ასეთია: ეროვნული იდეის გარეშე სახელმწიფო არ არსებობს; ან ასე: არაეროვნული სახელმწიფო არ შექმნილა და არ არსებულა (და ჩვენი დღევანდელი ინფორმირებულობის ფარგლებში შეიძლება ითქვას — ვერც იარსებებს).

მთავარია გლობალური პროცესების დამგეგმავებმა არ დაივიწყონ, რომ, ჯერ ერთი, ზემოდან ან გარედან მოდერნიზება არასოდეს ყოფილა პროდუქტიული, მეორეც, კაცობრიობის მიერ მოპოვებული ყველაზე დიდი იდეა თავისუფლების იდეაა, და ნებისმიერი პროცესი, თუნდაც მიმზიდველი, ანტისაკაცობრიო იქნება, თუ ამ იდეას შეეწინააღმდეგება.

მსოფლიო თანამეგობრობამ (თუკი მართლაც არსებობს ასეთი რამ და თუ იგი მართლაც კეთილი ნების გამომხატველია) კიდევ ერთი რამ უნდა გაითვალისწინოს: გლობალურ, თუნდაც მიმზიდველ, პროექტებს საბოლოოდ კონკრეტული რეალიზატორები (ერთი ან ერთზე მეტი) ეყოლება, ხოლო მათ ყოველთვის ექნებათ სულ სხვა — საკუთარი ეგოისტური — ინტერესებიც. ისიც უნდა გაითვალისწინოს, რომ ბოლო წლების განმავლობაში ჩვენკენ მომართულ გაუთავებელ ექსპერიმენტებს ჯერჯერობით ის ერთადერთი რეზულტატი აქვთ, რომ ზოგიერთ ქვეყანას საშუალება ეძლევა დღეს რეალური საფრთხე შეუქმნას ჩვენს სახელმწიფოებრივ არსებობას.

•

საქართველო ჩვენთვის, ეს არის ბრენდი, — ამის თქმითაც ჩვენ არავის, მითუმეტეს მსოფლიო პროცესებს, არაფერს ვავნებთ. თუნდაც ამაში ვიღაცამ ამბიციურობა დაინახოს, — ასეთი ამბიციურობა თავისი არსით საკუთარი ქვეყნის სიყვარულია და მისი სუვერენობის სურვილი, სხვა არაფერი.

ეს არის საქართველო. და ძალიან სამწუხარო იქნება, თუ მსოფლიომ ეს ვერ დაინახა. კიდევ უფრო სამწუხარო იქნება, თუ მისთვის ასეთი — ასეთი და არა სხვანაირი — საქართველო არ იქნება სასურველი. სამწუხარო — მათ შორის ცივილიზებული მსოფლიოსთვის, რადგანაც ამ შემთხვევაში იგი ვერ დაინახავს თავისსავე ისტორიას (და წინაისტორიას), რადგანაც **ვერ დაინახავს ამ ისტორიის ერთ უძველეს, ცოცხლად და სუვერენულად შემორჩენილ, ელემენტს.** უფრო მეტიც, ამ შემთხვევაში მან შეიძლება დასაღუპად გასწიროს ეს ელემენტი. და კიდევ: ამ შემთხვევაში გაიწირება დღევანდელობას შემორჩენილი ისეთი ელემენტი, რომელიც, როგორც ქვეყანა და ერი, იმისი ცოცხალი მაგალითია, რომ შეიძლება არსებობა და განვითარება ჰარმონიულად ყველა სხვა ქვეყნისა და ერის გვერდით, — ისე, რომ აგრესიულობა ერთხელ და სამუდამოდ გახდეს გარდასული სიძველის ნიშანი.

ჩვენ მართლაც ასეთნი ვართ, და ამაზე თვალსაჩინოდ მეტყველებს, მაგალითად, ერთი ფაქტი. ახალმა საქართველომ (ჩავთვალოთ პირობითად იგი ასეთად 1918 წლის შემდეგ) მშვენივრად იცის, რომ მის ირგვლივ პრაქტიკულად არცერთი ქვეყანა არ დარჩენილა, ჩვენი ისტორიული ტერიტორიის ერთი, თუნდაც მცირე, ნაწილი რომ არ ჰქონდეს, მაგ-

რამ იგი, საქართველო, ამაზე არავითარ პრეტენზიას აღარ აცხადებს (ესეც ალბათ უნიკალური მაგალითია). ერთადერთი, რაც ჩვენ დღეს გვინდა, ისაა, რომ ასეთი დინამიკა აღარ გაგრძელდეს; ამიტომ ჩვენ აღარ ვურიგდებით ახალ, უკანასკნელი წლების, ტერიტორიულ დანაკარგებს (სხვათა შორის, 1918 წლის რუკაზე აღნიშნული ჩვენი ქვეყნის ფართობი დღევანდელზე თითქმის ორჯერ მეტია).

ქართული იდეა კატეგორიულად არააგრესიული იდეაა, და ასეთია ქართველი ერი, — ეს ყველასთვის ყოველთვის ცნობილი იყო. ამიტომაა, რომ იმათ, ვისაც დღეს საპირისპირო აზრის გამოთქმა სურს, აუცილებლად სჭირდებათ რემარკა იმის შესახებ, რომ საქართველო თავის ამ თვისებას კარგავს. საქართველო ამ, **თავის,** თვისებას ვერასოდეს დაკარგავს, რადგანაც იგი, როგორც პატარა ქვეყანა, მატარებელია **თავისი** ეროვნული იდეისა. ხოლო დღეს ჩვენი ტრადიციული თვისებების დაკარგვაზე ლაპარაკი, ეს არის ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ყალბი მითი, რომლის შეუსაბამობა ყველასთვის ნათელია, მაგრამ რომელსაც, სამწუხაროდ, ზოგან ნერგავს ძალიან დიდი ძალა (ან ძალები), ვისაც ჩვენ ჩვენი ძალით ვერაფრით ვერ დავუპირისპირდებით, მათ შორის — საინფორმაციო სივრცეში.

ორიოდე სიტყვა — ამ თემაზე (თუმცა დაინტერესებული მკითხველისთვის ისედაც დიდი ხანია ყველაფერი ნათელია). ჩვენი ე.წ. აგრესიულობა, მაგალითად, აფხაზეთში (საკუთარ, ქართულ, მიწაზე, რომელზეც 90-იანი წლების ეთნიკურ წმენდამდე მოსახლეობის 47% ქართველი იყო და 17% — აფხაზი/აფსუა), ეს იყო მხოლოდ თვითგადარჩენის რეაქცია, სხვათა შორის — ძალიან სუსტი, გამოწვეული იმით, რომ სრული განადგურება ემუქრებოდა 250000-მდე ქარ-

თველს იმათი მხრიდან, რომელთა რაოდენობა სამჯერ ნაკლები იყო, იმათი პატრონატით და უშუალო მონაწილეობით, რომელთაც განუსაზღვრელი უპირატესობა აქვთ რაოდენობაშიც და მოცულობაშიც. ჩვენი დამოუკიდებლობის აღდგენის წინა და უშუალოდ მომდევნო პერიოდში აქ იხურებოდა ყველა ქართული სკოლა, უნივერსიტეტი, თეატრი, იდევნებოდა ენა, იწვებოდა სახლები და ბოლოს, ფიზიკურად ისპობოდნენ ჩვენი თანამემამულეები. რა იყო კონკრეტულად ჩვენი რეაქცია? წესრიგის აღდგენისთვის, კერძოდ საერთაშორისო ტვირთების პატრულირებისთვის — ჩვენი სამხედრო რაზმის გადაადგილება (ჩვენს, როგორც საერთაშორისოდ აღიარებული სახელმწიფოს, საკუთარ ტერიტორიაზე). ეს არის ის «აგრესიულობა», რომელმაც, სამწუხაროდ, თავიდან ვერ აიცილა ის, რაც წინასწარ იყო დაგეგმილი: ქართველთა გენოციდი, მათი აყრა საკუთარი მიწიდან, ბოლოს — ტერიტორიის წართმევა და მისი სრული მილიტარიზება.

იგივეა ე. წ. ოსური პრობლემა. და კიდევ — ჩვენი საკუთარი მიწიდან ჩვენი განდევნის დიდხნიანი, ლატენტური თუ ღია დინამიკა, რომელსაც თან ყოველთვის ახლდა სინამდვილის/ისტორიის გაყალბება. XIX ს-ის ბოლოს ცხინვალში (რომელიც დღეს არაქართულ ქალაქად სურთ გამოაცხადონ) ოსები მოსახლეობის 0%-ს (!) შეადგენდნენ — ეს არის ოფიციალური რუსული ცნობა, რუსეთის იმპერიაში მოსახლეობის აღწერის ამსახველი (იხ. Свод статистических данных о населении Закавказского края, извлеченных из письменных списков 1886 г., Тифлис, 1893).* კიდევ რამდენიმე რუ-

* აქ და ამ ტიპის სხვა რუსულ დოკუმენტებში, სრულიად გასაგები საჭიროებებიდან გამომდინარე, ქართველების აღრიცხვისას ცალცალკე აბსურდული კატეგორიებია გამოყოფილი: ქართველი, იმე-

სული ცნობა, რომელიც რეალურად ასახავს ჩვენი ისტორიის ერთ ფრაგმენტს, დაკავშირებულს საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ ე.წ. სამხრეთ ოსეთში, ოსური დიასპორის წარმოშობას: «Осетинских семей есть много в Карталинии [...]. Они переселились туда в разные времена при царях и русском правительстве, переселяются даже и ныне» (Акты собранные Кавказскою археографическою комиссиею. Изд. под редакциею председателя комиссии д.с.с. *Ад. Берже,* т. VII, Тифлис, 1878).

«[...] предписываю во всяком случае нападения осетинцев на деревни, близ мест расположения войск наших находящиеся, приказывать Грузинам деревень тех себя защищать, а нашим войскам в тоже самое время их подкреплять и не допускать Осетинцев даже и до малейшего причинения вреда Грузинам» (Предписание ген.-м. Лазарева подпол. Симоновичу, от 10-го мая 1801 г., за N152, იხ. Акты..., т. I,1866). იგივე: «Больных казачьей команды и совершенно обезоруженных нужно из Цхинвал отправить если не в Гори, то в другие ближайшие места, дабы в Цхинвалах остались одни вооруженные люди, могущие учинить отпор осетинцам (Акты..., т. VII). ამგვარად: XIX საუკუნეში რუსეთი ცხინვალს («грузинское местечко» — ასე უწოდებს მას იგივე დოკუმენტი) და სხვა ქართულ მიწებს იცავდა ოსებისგან, დღეს, ქართული მოსახლეობის განდევნის შემდეგ, იცავს ოსებისთვის. ეს არის სიმართლე ე.წ. სამხრეთ ოსეთის შესახებ, ასევე — ე.წ. ჩრდ. ოსეთის შესახებ:

რელი, მეგრელი, სამურზაყანოელი, მთიული და ა. შ. (იხ., მაგ., ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის, გენერალ-მაიორ გერშელმანის წერილი №54 1990 წ. 3 აგვისტოსი, — იხ. *ა. სილაგაძე, ვ. გურული,* საქართველოს განუყოფლობისათვის ბრძოლის ისტორიიდან, II, თბილისი, 1999).

«Два рапорта ваши (ეს არის «Предписание ген. Ртищева подполковнику Реньеру от 20-го января 1813 г., N84 – ა.ს.) с нарочною эстафетою я получил и все сделанные вами распоряжения как о приведении в исполнение волнующихся осетин казенных и помещичьих в Карталинии, по разным селениям живущих (ეს არის ე.წ. სამხრეთ ოსეთის ნამდვილი ისტორია — ა.ს.), так и о приглашении за границею в Осетии (ეს არის ის, რაც მერე, საბჭოთა დროს, ანტიქართულ იდეოლოგემად, ე.წ. ჩრდ. ოსეთად, შეცვალეს — ა.ს.) обитающих ко вступлению во Всероссийское подданство я одобряю в полной мере" (იხ. Акты... т.V, 1873). ამგვარი რუსული ოფიციალური ცნობები ძალიან ბევრია (სხვათა შორის, ეს წყაროები იქაურ ოსებს უწოდებენ «Грузинские Осетинцы»; იხ., მაგ., Рапорт ген.-м. Лазарева ген.-л. Кнорррингу, от 13-го февраля 1802 г., за N53 – Акты... т.I: „[...] командированы в поход для приведения в повиновение непокорных законной власти подданных, Грузинских Осетинцев, при реках Паци и Большой Лиахве живущих»). მხოლოდ ერთს დავამატებ — როგორ ასახლებდნენ ჩვენს მიწებზე ოსებს: „Митрополит Феофилакт, от 1-го июня 1820 г., представив св. Синоду отчет в действиях Осетинской духовной комиссии между прочим доносил о нуждах и просьбах обращенного в христианство осетинского народа, которые состоят в том: [...] 2. чтобы желающим из них позволено было селиться на землях казенных по Карталинии и другим местам. [...] По сему я покорнейше прошу вас войти в рассмотрение вышеизложенных нужд и просьб осетинского народа и сообщить мне впоследствии мнение ваше по сему

предмету, для сведения» (Отношение кн. Голицына к ген. Ермолову от 28 апреля 1821 г., იხ.Акты..., т. VI, Тифлис, 1874). *

დაახლოებით იგივე ისტორიაა აფხაზებთან/აფსუებთან დაკავშირებით — ისევ რუსული ოფიციალური წყაროების მიხედვით: სოხუმში (რომელიც დღეს არაქართულ ქალაქად უნდათ გამოაცხადონ) XIX ს-ის ბოლოს ცხოვრობდა სულ ორი აფხაზი — ერთი ქალი და ერთი კაცი (იხ. Свод статистических данных...). **

•

ორიოდე სიტყვა რუსეთზე, ჩვენს კონტექსტში. ბოლო ორზე მეტი საუკუნის განმავლობაში რუსეთთან ურთიერთობა საქართველოს სახელმწიფოებრიობისთვის მთავარი ურთიერთობაა, — იგი შეიძლება იყო (ან იყოს) რთულიც, მტრულიც, მეგობრულიც, მაგრამ ყველა შემთხვევაში იგი და

---

* უნდა გავიმეოროთ: ისტორიული რეალობა და სამართლიანობა ყოველთვის ნათელი იყო ყველასთვის. საილუსტრაციოდ იხ. ცნობილი მოსკოველი ლინგვისტის, ეროვნებით ოსის, პროფ. *ვ. აბაევის* გამონათქვამი: „Главный Кавказский хребет – естественная граница между Грузией и Осетией, и всякая попытка размыть эту границу повлечет за собой состояние перманентного конфликта между грузинами и осетинами. Для того, чтобы вернуть отношение между двумя народами в русло традиционной дружбы, надо прежде всего покончить с разговорами об отторжении Южной Осетии от Грузии [...] Кто хочет мира между южными осетинами и грузинами, должен навсегда отвергнуть идею присоединения Южной Осетии к Северной. Кто хочет мира между Грузией и Россией, также должен оставить эту идею. Такова реальность“ (ციტატა იხ. — გაზ. Свободная Грузия, № 80, 1992; პირველად დაიბეჭდა — გაზ. Независимая Газета, № 13, 1992).

** დაწვრილ. ჩვენი დემოგრაფიის (ისტორიისა და თანამედროვეობის) შესახებ იხ. *ა. თოთაძე*, საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა, თბილისი, 2009.

არა სხვა რამ ახდენდა გადამწყვეტ გავლენას ჩვენს ბედზე. გასული საუკუნის 80-იან, განსაკუთრებით 90-იან, წლებში ჩვენ ეს დავივიწყეთ, რაც ჩვენი გეოპოლიტიკის მთავარი სისუსტე იყო (უფრო ზუსტად: ჯერ იყო გარკვეული ორმხრივი მცდელობები ახალი ურთიერთობების აწყობისა, მაგრამ შემდეგ — ასევე ორმხრივად — უკუღმა განვითარება მივიღეთ). ახალი, დამოუკიდებლობააღდგენილი, საქართველოს სინამდვილეში ჩვენ იძულებულნი და ვალდებულნი ვიყავით გვებრძოლა რუსეთისთვის, მაგრამ ჩვენ წავაგეთ ეს ბრძოლა ისე, რომ არც დაგვიწყია (იხ. *ა. სილაგაძე*, «ეროვნული ცოცხალი ორგანიზმი»). გარკვეულ გამართლებად (უფრო ზუსტად — მიზეზად) ამას ის ჰქონდა, რომ, დავისახეთ რა მთავარ ამოცანად საბჭოთა გაერთიანებიდან წასვლა, ჩვენ ვერ დავინახეთ სხვა აქტუალური ამოცანები, მათ შორის, რბილად წასვლის და დამოუკიდებელი ქვეყნის მოწყობისა, რის გამოც ზოგჯერ ვერ ავიცილეთ თავიდან რუსეთის უგულებელყოფის პოლიტიკა (უფრო სწორედ, ეს დემონსტრატული პოლიტიკა არა რუსეთის, როგორც ასეთის, არამედ მიმართული იყო მოსკოვის მხარეს, რომელიც, ჯერ ერთი, კვლავ აღიქმებოდა როგორც სუზერენი, მეორეც, თვითონ არ თმობდა სუზერენიტეტს). ფაქტია, რომ ჩვენ აუცილებლად უნდა გაგვეთვალისწინებინა: ა) ის, რომ არსებობს ისტორიული გამოცდილება სხვა იმპერიების თუ გაერთიანებების დაშლისა, როდესაც ყოფილი კოლონიების თუ შემადგენლების მომავლისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ყოფილ მეტროპოლიასთან თუ ცენტრთან ურთიეთობას; ბ) ის, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩვენს დიდ რეგიონში მოვლენათა განვითარებას კვლავ რუსეთი განსაზღვრავდა, რომლის სხვადასხვა (დაწყებული სამხედრო და დამთავ-

რებული ინფორმაციული) გავლენის სივრცედ რეგიონი ისევ რჩებოდა, რის გამოც საქართველოს შიგნით არსებული ზოგიერთი ძალა და საქართველოს გარეთ არსებული ზოგიერთი ქვეყანა საქართველოს წინააღმდეგ მიმართული თავისი ინტერესებისა და ფარული პროექტების განსახორციელებლად რუსეთთან დაიჭერდა კავშირს.

ეს საქმის პრაგმატული მხარე იყო. იყო ასევე სხვა ფაქტორები, მათ შორის ისტორიული გადახლართვების გამოცდილება, როდესაც რიგ შემთხვევაში საერთო მტერი არსებობდა და, შესაბამისად, საერთო ბედი. მაგრამ მხოლოდ პრაგმატიკაც საკმარისი არგუმენტი იყო რუსეთთან ახალი (განსაკუთრებული და პარტნიორული) დამოკიდებულებების ჩამოყალიბებისათვის: საქართველოს შიგნითაც და საქართველოს გარეთაც საქართველოს ოპონენტებს ჩვენი დასუსტებისთვის პრაქტიკულად ერთადერთი იარაღი ჰქონდათ — რუსეთი და მასთან კეთილი ურთიერთობების დამყარება საქართველოს საზიანო გეგმების ლობირებისა და ინსპირირებისათვის. ამიტომ ასევე პრაქტიკულად ერთადერთი საშუალება ჩვენთვის იყო ახალ სიტუაციაში რუსეთთან ურთიერთობების მოწესრიგება და სხვათა მცდელობების ბლოკირება, რაც ნიშნავდა საქართველოსთვის არასასურველი განვითარების ბლოკირებას.

ის, რომ სტრატეგიული ორიენტაციის საკითხი — დასავლეთი თუ აღმოსავლეთი — ჩვენ ოდითგანვე გვქონდა გადაჭრილი პირველის სასარგებლოდ, ხელისშემშლელი ფაქტორი ვერ იქნებოდა. ჩვენს რეალობაში დასავლეთისკენ სვლის ორი გზა არსებობს: ერთი — რუსეთთან კონფრონტაციით, მეორე — კონფრონტაციის გარეშე (სხვათა შორის, ორსავე შემთხვევაში უმჯობესია ხმაურის გარეშე). რეალუ-

რი — რთული მაგრამ რეალური — მეორე გზაა. ამასთან, დასავლეთისკენ, კერძოდ ევროპისკენ, სწრაფვა ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში პრაქტიკულად ყველას აქვს, მათ შორის, პირველ ყოვლისა, რუსეთს (სხვა საკითხია, რომ მას ამ დროს თავისი სპეციფიკური ხედვა აქვს და თავისთვის თავის მიერ განსაზღვრული სპეციფიკური ადგილი/პოზიცია). ჩვენთვის ამ შემთხვევაში სწორედ ეს ფაქტორი იყო გასათვალისწინებელი, კერძოდ: ა) ევროპასთან მიახლოვება და მასში ამა თუ იმ დოზით ინტეგრირება გრძელვადიანი პროცესია, დღევანდელი გამოცდილებით — გაცილებით უფრო გრძელვადიანი, ვიდრე ეს მაშინ წარმოიდგინებოდა; ბ) ეს პროცესი ჩვენგან ასევე მოითხოვდა რბილი მოქმედების ტაქტიკას, როდესაც არც ხელის ერთი დაკვრით და არც საერთოდ არ გაიწყვიტება ძველი კავშირები; ბ) ამ პროცესში ჩვენთვის გასათვალისწინებელი იყო, რა თქმა უნდა, დასავლეთის პოზიცია (ამავე დროს, დასავლეთი, კერძოდ ევროპა, როგორც ირკვევა, ძალიან ჭრელი კონგლომერატია), მაგრამ აუცილებლად — რუსეთის ფაქტორი, დ) რაც საბოლოო ამოცანას ხელს ვერ შეუშლიდა, რეალური გავლენა შეიძლება მოეხდინა მხოლოდ ვადებზე (ვადის შესახებ — იხ. ზემოთ), რადგანაც, როგორც ითქვა, რუსეთი, მართალია თავისი საკუთარი გზით, მაგრამ ასევე უახლოვდება ევროპას, რაც ერთ მშვენიერ დღეს იმისთანა სიტუაციას მოიტანდა, როდესაც წინააღმდეგობა პრაქტიკულად მოიხსნებოდა ან შესუსტდებოდა.

როგორც ჩანს, ჩვენს მიერ დაშვებული შეცდომები გარკვეულწილად, ზოგადად, ჩვენს ეროვნულ იდეასთანაცაა დაკავშირებული, რადგანაც, როგორც ზემოთ ითქვა, იგი — პატარა ერის სუვერენული თვითდაცვის იარაღი — ზოგჯერ

ზომაზე მეტად რადიკალურ ხასიათს იღებს და ამ დროს შეცდომაც შეიძლება ახლდეს: იდეა იმის იდეაა, რომ რეალიზებისას ხანდახან დანახარჯებსა და დანაკარგებს მოითხოვს.

ზემოთ აღწერილი სურათის საბოლოო შედეგი ის იყო, რომ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ჩვენთვის ყველაფერი — არა ჩვენს სასარგებლოდ — რუსეთთან ურთიერთობებმა განსაზღვრა: ისიც, რომ განაწილებისას ყველაზე მცირე სამხედრო შეიარაღება რეგიონში ჩვენ გვერგო (ხოლო შავი ზღვის ფლოტიდან — საერთოდ არაფერი), ისიც, რომ პრაქტიკულად ყველა სახის ბლოკადა შეგვექმნა, ისიც, რომ ჩვენი ხელისუფლებები მათთვის განკუთვნილ ციკლს ბოლომდე ვერ ატარებდნენ, ისიც, რომ სრულიად ხელოვნურად ინსპირირებულ იქნა შიდა კონფლიქტები, რომლებშიც რუსეთის ჯარი ჩვენი დაპირისპირებული მხარე იყო, ისიც, რომ შედგა რუსეთ-საქართველოს ომი, ისიც, რომ ჩვენს სხვადასხვა მოწინააღმდეგეს კიდევ აქვს რეზერვში ჩვენი დასუსტების საშუალებები, რომელთა ამოქმედებისთვის ისევ რუსეთის იმედი აქვს... და ბოლოს, ის, რომ ჩვენ შეიძლება გავხდეთ ვილაცის პროექტი და არა სუვერენული პოზიციის მქონე ქვეყანა.

ეს ყველაფერი ასეა. ამავე დროს, მეორე — მთავარი — მხარეა რუსეთი. თეორიულად წარმოსადგენია (დაუშვებელი, მაგრამ — თეორიულად წარმოსადგენი) რომელიმე ორ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას შორის ომი, მაგრამ აბსოლუტურად წარმოუდგენელია ომი რუსეთსა და რომელსამე ყოფილ საბჭოთა ქვეყანას შორის. თუ ასეთი ომი შედგა, რუსეთი აღარ არის რუსეთი, კერძოდ — ის რუსეთი, რომელიც ერთი მხრიდან მეთაურობდა 1941-45 წლების ომს და მასში ყველა რესპუბლიკას აბრძოლებდა. გარდა ამისა, როგორი

არგუმენტებიც უნდა მოინახოს, ასეთი ომი ყველა შემთხვევაში მხოლოდ რუსეთის ბრალი იქნება, რადგანაც იგი იყო ამ სივრცის პატრონი, მისი შექმნის ინიციატორიც და მისი დაშლისაც, და ამ სივრცის აღსანიშნად მთელ მსოფლიოში დუბლეტური გამოთქმა იხმარებოდა — საბჭოთა კავშირი ანუ რუსეთი. თუ ასეთი ომი შედგა, ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთი არ არის განსაკუთრებული, ზედიდი, სახელმწიფო.

რუსეთი ზედიდი სახელმწიფოა. ისტორიის კანონზომიერებები ქმნიან ზედიდ სახელმწიფოებს არა უბრალოდ მათთვის ძლიერების მისანიჭებლად, არამედ იმისათვის, რომ მათ განსაკუთრებული, გლობალური როლი ეკისრებათ რეალურ ისტორიაში. როგორც ჩანს, შეიძლება იმის თქმა, რომ ზოგი მათგანის ფუნქცია დროებითია, ზოგისა — შედარებით სტაბილური. რუსეთი არა უბრალოდ ზედიდი სახელმწიფოა, არამედ იგი ასეთად ისტორიის მიერ არის ჩაფიქრებული. შეიძლება თქმა ასეც: ზედიდი სახელმწიფო რუსეთის არსებობის ფორმაა, იგი ან იქნება დიდი ან საერთოდ არ იქნება, — არსებობის სხვა ფორმა მას არ გააჩნია. მაგრამ ყველა შემთხვევაში ზედიდი სახელმწიფოს (ზესახელმწიფოს) არსებობა დამოკიდებულია იმაზე, რომ მას არა უბრალოდ ამოძრავებდეს საკუთარი ინტერესები, არამედ ყოველ მოცემულ დროს შეეძლოს თავის შიგნით ტრანსფორმირება, რადგანაც დროთა მსვლელობაში ზედიდის ფუნქციებიც იცვლება და მისი არსებობის ფორმაც. XVII ს-ის შემდეგ რუსეთის ისტორია, ფაქტიურად ეს არის მცდელობები ტრანსფორმაციის გზაზე (პეტრე I და ეკატერინე II და ევროპეიზაცია; ალექსანდრე I და «საღვთო კავშირი"; ალექსანდრე II და რეფორმები; სოციალ-დემოკრატები; საბჭოთა კავშირი და მეორე მსოფლიო ომი...). პრაქტიკულად იმის გამო, რომ იყო ასეთი აქტე-

ბი, რუსეთი ინარჩუნებდა ზედიდი სახელმწიფოს სტატუსს. მაგრამ, მეორე მხრივ, ეს იყო ზიგზაგები, რომელთაც რთული, ზოგჯერ კატასტროფამდე მისული, სიტუაციები მოჰქონდათ (ნიკოლოზ II და რუსეთის იმპერიის დაცემა, რასაც შემდეგ საბჭოთა ტრანსფორმი მოჰყვა; ავღანეთის ომი და საბჭოთა კავშირის დაშლა...). დღეს ამ მხრივ რუსეთის ისტორიაში ალბათ ყველაზე დიდი ტრანსფორმაციული ამოცანის მქონე ეტაპია. XX ს-ის 80-იანი და 90-იანი წლები რუსეთისთვის ძალიან ცუდი პერიოდი იყო, რადგანაც იგი თავის გარეთ დიდი დამგეგმავების მიერ, ხოლო თავის შიგნით უფრო მცირე მასშტაბის დამგეგმავების მიერ დაგეგმილ თამაშს თამაშობდა, — ორსავე შემთხვევაში არა რუსულს. XXI ს-ის დასაწყისი გარღვევით აღინიშნა — რუსეთმა დაიბრუნა რუსეთი. ამის შემდეგ, გაიხსენა რა საკუთარი თავი და საკუთარი — და არა რაღაც ამორფული — ეროვნული ღირსების გრძნობა, რუსეთი გზის გასაყართან დადგა, სიდანაც ორი მიმართულება ისახებოდა: ან დაბრუნება XIX საუკუნეში, რაც მომაკვდინებელი იქნება XXI-ში არსებობისთვის, ან შესვლა XXI საუკუნეში, რაც ერთადერთი გზაა.

ჯერჯერობით რუსეთი პირველი გზისკენაა გადახრილი, რადგანაც მან მხოლოდ გაიხსენა თავისი ზესახელმწიფოებრიობა, მაგრამ, სწორედ როგორც ზესახელმწიფო, ტრანსფორმაციას ვერ ახერხებს (პირიქით, იგი დღესაც ხშირად იმ თამაშს თამაშობს, რომელიც წარსულში ჰქონდა ნათამაშევი; მაშინ ამას საბოლოო წარმატება არ მოჰყოლია, დღეს შეიძლება საბოლოო კატასტროფა მოიტანოს, — ამის ნიშნები უკვე ჩანს). ტრანსფორმაცია ამ შემთხვევაში ნიშნავს იმის დამტკიცებას, რომ იგი ზედიდი სახელმწიფოა, — დღეს ამისათვის მხოლოდ სამხედრო ძლიერება არ კმარა

(რომელიც, არც მეტი და არც ნაკლები, მხოლოდ ისაა, რომ მეტი ჯარისკაცის გამოყვანა შეგიძლია და მეტ ღილაკზე თითის დაჭერა, — სხვათა შორის, ხვალ ასეთ ღილაკებზე თითის დაჭერა პრაქტიკულად ყველას შეეძლება, და ესეც ზედიდი სახელმწიფოების დამსახურება იქნება), დღეს საჭიროა თავისუფლებისა და სამართლიანობის პრინციპებზე დადგომა და ზედიდი ფუნქციების შესრულება მსოფლიო სივრცეში გლობალური წესრიგისა და წონასწორობის უზრუნველსაყოფად (და არა რომელსამე მოცემულ რეგიონში, კავკასია იქნება ეს თუ შუამდინარეთი, არეულობის შესატანად და მერე იქ საკუთარი ძალის დემონსტრირებისთვის, — ეს არა წესრიგისა და წონასწორობის, არამედ კატასტროფის არგუმენტი იქნება).

დღეს ამ ფუნქციას თავის ინტერესებზე მომართული აშშ-ც ვერ ასრულებს, დღეს არ არსებობს პარტნიორული ურთიერთობებიც ამ ფუნქციის შესრულებაში, და ასეთი ვითარება, არ არის გამორიცხული, კატასტროფის მომტანი იყოს მსოფლიოსთვის, — მაგრამ ეს სხვა, დიდი, თემაა.

საერთოდ, დღეს ზედიდი და დიდი ქვეყნების — არა მარტო რუსეთის — ამოცანაა არა უბრალოდ ახალი რეალიების, არამედ იმის გათვალისწინება, რომ ამ რეალიებს ახალი კანონზომიერებები ახლავს. დღეს, განსაკუთრებით ქსელური რევოლუციის შემდგომ, ჩვენს წინაშეა ინფორმაციულად პრაქტიკულად სრულად გამთლიანებული, ენერგეტიკულად და ფინანსურად გლობალიზაციაზე მომართული მსოფლიო; დღეს ჩვენ არ უნდა გვაშინებდეს ის, რომ არსებობენ ინტეგრირებული სივრცეები, რადგანაც ეს სივრცეებიც საბოლოოდ ერთმანეთისკენ იმოძრავებენ; ამ შემთხვევაში პრაქტიკული ეკონომიკა მხოლოდ გლობალური ცნება გახდება; რაც

მთავარია, იგი ველარ იქნება ომების ფაქტორი, ასეთ ფაქტორს მხოლოდ გლობალური საფრთხე შეიძლება წარმოადგენდეს.

ამიტომ ზედიდ სახელმწიფოს დღევანდელ დინამიკაში გასაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრია. მან უნდა იცოდეს (ისწავლოს) ცხოვრება არა უბრალოდ ცივილიზებულ, არამედ თვისებრივად ახალ სამყაროში. სხვათა შორის, ეს ეხება მის, როგორც სწორედ დიდი სახელმწიფოს, ურთიერთობებს პატარა ქვეყნებთან, რომელთაც იგი თავის პირველი რანგის მტრებად არ უნდა მიიჩნევდეს, თუ ისინი მის უაპელაციო დიქტატს უსიტყვოდ არ ემორჩილებიან. რამდენჯერაც ზედიდი სახელმწიფო ასეთ ქვეყანას დაარტყამს, იგი იმდენჯერ დაარტყამს თავის, როგორც ზედიდი ქვეყნის, სტატუსს. ზეძლიერმა ქვეყანამ ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაიმახსოვროს, რომ მხოლოდ ცივილიზებული კონკურენცია გადაწყვეტს, რომელი დიდი ქვეყანაა გავლენიანი ლიდერი მოცემულ კონკრეტულ სივრცეში. ოღონდ — და ესეც ახალი რეალიები და ახალი კანონზომიერებებია — ეს ლიდერობა აბსოლუტურად უპერსპექტივო იქნება, თუ იგი, ჯერ ერთი, მიმართული იქნება არალიდერი ქვეყნების წინააღმდეგ, მეორეც, თუ საერთო ინტერესებს არ მოემსახურება — კონკრეტული სივრცეების და მათი ლიდერების ერთობლივი, ერთ ამოცანას დამორჩილებული, მეცადინეობით. ზედიდი სახელმწიფოები ხშირად შეთანხმებულად მოქმედებენ, მაგრამ — მხოლოდ საკუთარი, შეთანხმებული ინტერესების პოზიციებიდან. სრულიად არ არის გამორიცხული, რომ ერთ მშვენიერ დღეს ასევე შეთანხმებულად დაიწყებენ მოქმედებას პატარა ქვეყნებიც, და ასეთი კონფრონტაცია არ დამ-

თავრდება დიდი ქვეყნების სასარგებლოდ, რადგანაც ყველასთვის ცუდად დამთავრდება.

რუსეთის სპეციფიკა ის არის, რომ იგი ის ზედიდი სახელმწიფოა, რომელიც დღეს კონკრეტული ყოფილი მეტროპოლიაა (ვიხმაროთ, თუნდაც პირობითად, ეს გამოთქმა). ეს იმას ნიშნავს, რომ მისი პასუხისმგებლობა არის არა მხოლოდ და საერთოდ გლობალური პასუხისმგებლობა, არამედ კონკრეტული პასუხისმგებლობა ყოფილი ვასალების/მოკავშირეების წინაშე, რადგანაც მან, რუსეთმა, მთლიანად განსაზღვრა მათი ბედი უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში, ე.ი. მომავალ საკმაოდ დიდი ხნის პერიოდშიც (სხვათა შორის, მანვე განსაზღვრა — ზოგჯერ სრულიად შეგნებულად — ყოფილი საბჭოთა ქვეყნების ერთმანეთის მიმართ დამოკიდებულებები). ყველაფერი, რაც ამ ქვეყნებსა და ხალხებს თავს გადახდათ იმპერიისა და საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, მათ შორის — უბედურებანი, რუსეთის პოზიციებიდან ხდებოდა. მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაში გერმანიის ომი საბჭოთა კავშირთან რუსეთის წინააღმდეგ მიმართული ომი იყო და ამის გამო სხვა რესპუბლიკებმა დიდი მსხვერპლი გაიღეს (ისინი ამის გამო პრეტენზიას არასოდეს აცხადებდნენ და არც აქვთ ამის უფლება), — საქართველომ, მაგალითად, ომში გაიყვანა 700 000-ზე მეტი მეომარი, პროცენტულად ეს (ასევე — მსხვერპლიც) ყველაზე დიდი ციფრია. საბჭოთა კავშირის დაშლის პროექტის შექმნისასაც დასავლეთს რუსეთი ჰყავდა მიზანში ამოღებული და არა, ვთქვათ, საქართველო. დაშლაც ფორმალურად რუსეთმა განახორციელა (და კიდევ ორმა სლავურმა ქვეყანამ — სხვათა შორის, სრულიად არაკორექტული და შეუთანხმებელი მოქმედებებით). პასუხისმგებლობა შექმნაზეც და დაშ-

ლაზეც, დაშლის შემდეგდროინდელ სიტუაციებზეც და ახალი სუვერენული მეზობლების ბედზეც მთლიანად რუსეთს ეკისრება, — ის არის ყოფილი გაერთიანების წევრთა შორის ერთადერთი ზედიდი ქვეყანა.

დღევანდელი რუსეთი უნდა ხედავდეს, რომ, როგორი კონტრარგუმენტებიც უნდა შეითხზას, ყველა ის სიმძიმე, რაც საქართველოს უკანასკნელ დროს დააწვა — ომი, მსხვერპლი, 500 000-მდე დევნილი, ტერიტორიების დაკარგვა, — ყველაფერი ეს რუსეთის, როგორც ზეძლიერი სახელმწიფოს, ხელით მოხდა. შეიძლება მთავარი ამ შემთხვევაში ისაა, რომ ყველაფერი ეს მოხდა სრულიად შეგნებულად და მიზანმიმართულად, — ამას, კერძოდ, ისიც მიუთითებს, რომ რუსეთი არა მარტო იარაღით დაუპირისპირდა საქართველოს, არამად იდეოლოგიურადაც: იგი მსოფლიოში ერთადერთი დიდი ქვეყანაა, რომელსაც თავის გლობალურ საინფორმაციო პოლიტიკაში, ჯერ ერთი, ერთ-ერთ მთავარ პუნქტად აქვს საქართველო, მეორეც, კონკრეტულად — საქართველოსთან დაკავშირებული სინამდვილის გაყალბება, მიმართული საქართველოს მთლიანობისა და სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ.

რუსეთი უნდა ხედავდეს იმასაც, რომ, სამაგიეროდ, საქართველოში არცერთ რუსს თავიდან ერთი ბეწვიც არ ჩამოვარდნია, საყვედურის არცერთი სიტყვა არ მოუსმენია — მაშინაც, როდესაც რუსული ტანკები საქართველოში შემოვიდნენ და თბილისისკენ იყვნენ მომართული.

უნდა ხედავდეს იმასაც, რომ ბევრი ქართველი, აღმოჩნდა რა განგების ძალით იმპერიის თუ კავშირის მოქალაქე, მისი, ისევ და ისევ როგორც ზესახელმწიფოს, განსაკუთრებული, შეიძლება ყველაზე უფრო დიდი, პატრიოტი იყო. ისე-

ვე როგორც საქართველოს უნდა ახსოვდეს, რომ მის გადარჩენაში თავის დროზე რუსეთსაც მიუძღვის თავისი წვლილი. რუსეთს უნდა ესმოდეს ისიც, რომ იგივე საქართველო პერსპექტივაში ახლაც მისი ყველაზე ბუნებრივი მოკავშირეა. თუ მას კავკასიის რეგიონში რეალურად უნდა ლიდერობა, მთავარი მოკავშირის როლში ტყუილად ეძებს სხვა ქვეყნებს, — ეს მისი ტრადიციული შეცდომაა XIX ს-იდან მოყოლებული (ეს უნდა ესმოდეთ სხვა სახელმწიფოებსაც, რომელთაც აქ ლიდერობა უნდათ). ყველაფერთან ერთად, საქართველო, როგორც რეგიონში ავტოხთონი ერების წარმომადგენელი, კავკასიაში ისტორიულად და პერსპექტიულად ცენტრალური და ყველასთვის მისაღები ქვეყანაა და მხოლოდ მას, გამომდინარე მისი ერის მენტალობიდან, შეუძლია კავკასიური ელემენტების კონსოლიდირება.* ამიტომ რუსეთი საქართველოსგან მტერს კი არ უნდა ქმნიდეს, არამედ — მოკავშირეს.

---

* ეს კონსოლიდირება სრულიად არ არის არარეალური — საერთოდ და, კერძოდ, დღესაც. აქ მოსახლე აბორიგენ ხალხებს უძველეს ეპოქებში ჰქონდათ ეთნიკური და კულტურული ერთიანობა (იხ., მაგ., *О. Джапаридзе*, **На заре этнокультурной истории Кавказа**, Тбилиси, 1989). ტენდენცია დღესაც ცოცხალია. რაც შეეხება საქართველოს, მას ყოველთვის ჰქონდა უმჭიდროესი კავშირები და კულტურული გავლენები (თავის დროზე ქართული დამწერლობის გავრცელება ჩრდ. კავკასიაში; ქართული ეკლესიები და წარწერები დაღესტანში, ინგუშეთში, ყარაჩაი-ჩერქეზეთში. სხვა თემაა, მაგრამ საინტერესოა, რომ ჩეჩნეთის სამი ტეიპი ქართული წარმომავლობისაა). უაღრესად საინტერესოა, რომ რუსეთის იმპერიის დაცემის შემდეგ სწორედ საქართველო გამოვიდა საერთოკავკასიური კონფერენციის მოწვევის ინიციატივით, სულ 1918-20 წლებში თბილისში (!) სამი ასეთი კონფერენცია გაიმართა; ასევე საინტერესოა, რომ 1920 წელს დაღესტნის ავარეთმა (ხუნძახი) საქართველოს მთავრობას მიმართა წინადადებით საქართველოსთან შეერთების შესახებ (იხ. *ჯ. კვიციანი*, კავკასია და კავკასიელები, თბილისი, 2010). მთავარი ისაა, რომ კავკასიის ხალხთა გენეტიკური ნათესაობის და ერთობის იდეა საქართველოსთვის, და არა რომელი-

მთავარია, მას ახსოვდეს, რომ ზედიდ სახელმწიფოს ყველაფერი არ შეუძლია. თუ მისი მთავარი და ერთადერთი მიზანია განუწყვეტელი დესტაბილიზაციის შექმნა პატარა ქვეყანაში, მას ეს ალბათ შეუძლია, მაგრამ მას არ შეუძლია ამით საკუთარი თავის გადარჩენა და საკუთარი თავისთვის პერსპექტიული პოზიციის შექმნა. პატარა ქვეყანას ზედიდი ქვეყნის დანგრევა არ შეუძლია, მაგრამ ზედიდი ქვეყნისთვის პატარა ქვეყნის დანგრევა არ შეიძლება, რადგანაც ამ დროს იგი საკუთარ თავსაც დაანგრევს, — ზედიდ ქვეყანას მხოლოდ ორივეს დანგრევა შეუძლია, ერთდროულად (სხვათა შორის, ზედიდიც და ზეპატარა სახელმწიფოც ერთნაირად შეუძლია დაანგრიოს გეოფიზიკურ, გეოლოგიურ, თუ სტიქიურ კატასტროფებს); ეს არის თანამედროვე, ახალი მსოფლიოს სპეციფიკა.

საქართველოს ბედი გარკვეულწილად ნამდვილად არის დამოკიდებული რუსეთის პოზიციაზე, მაგრამ რუსეთის ბედიც დღეს საქართველოზეა დამოკიდებული. ეს ერთ-ერთი რეალური გამოხატულებაა იმ შეზღუდვებისა, რომელთაც ისტორია კანონზომიერად ადებს ზედიდი სახელმწიფოების არსებობას. რუსეთი (მინდა გავიმეორო ეს აზრი) მხოლოდ ზედიდი სახელმწიფო შეიძლება იყოს.

ზედიდი სახელმწიფო, ეს რუსული იდეაა.

საქართველო დღეს რუსეთის — ზედიდი სახელმწიფოს — გამოცდაა.

ეს ქართული იდეაა მოქმედებაში, თავის ერთ-ერთ გამოხატულებაში.

მე სხვა ქვეყნისთვის, წარმოადგენს უძველეს ტრადიციას: იგი მკაფიოდაა ჩამოყალიბებული «ქართლის ცხოვრებაში» — ლეონტი მროველის «ცხოვრება ქართველთა მეფეთა».

•

ქართული იდეა — უნდა გავიმეორო — ჩვენთვის აქტუალიზებულია დღეს. დღეს ჩვენ ვხედავთ ჩვენს ფუნქციას (შავი ზღვის კარი, დერეფანი შუა აზიისკენ და უფრო იქით, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის მიჯნა, ტრადიციული — პრაქტიკულად ყველა მეზობლის მიერ ისტორიულად აღიარებული — განსაკუთრებელი ადგილი მთელ კავკასიაში), რომელიც ასევე აქტუალიზებულია, და ვცდილობთ არ დავკარგოთ იგი, არ დავანებოთ იმათ, რომლებიც ასევე ხედავენ, რომ აქტუალიზებულია, და ცდილობენ წაგვართვან იგი ან მინიმუმ თავიანთი დიქტატით განგვახორციელებინონ (ორსავე შემთხვევაში — მთელი რეგიონისთვის უკიდურესად საზიანო პერსპექტივით). ჩვენ ვხედავთ — ჩვენ არა ვართ უისტორიო, უგამოცდილებო, ველური ხალხი — იმასაც, რომ ეს გეოპოლიტიკური ფუნქცია დღეს იმდენად მნიშვნელოვანია და იმდენად რთული, რომ, ჯერ ერთი, ჩვენი დღევანდელი ძალები და შესაძლებლობები მის შესრულებას შესაძლოა არც ჰყოფნის, მეორეც, დღევანდელ სამყაროში ასეთი ფუნქციების განხორციელება ცალკე, ინდივიდუალურად, შეუძლებელია და მიზანშეუწონელი. ამიტომ — და აქ ჩვენ ჩვენი ეროვნული იდეის ერთგულები ვიქნებით — ჩვენ მზად ვართ არა იმისათვის, რომ სხვას გადავცეთ იგი, არამედ იმისათვის, რომ შევასრულოთ იგი სხვების, პარტნიორების, მონაწილეობით. ჩვენთვის ეს არის გზა, რომელიც დაუპირისპირდება ჩვენი სუვერენობის დანგრევის, არასრულფასოვან ქვეყნად ჩვეენი გარდაქმნის, როგორც ჩანს, სადღაც არსებულ გეგმას. თუ, საკუთარი გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, საკუთარი საერთაშორისო ფუნქციის განხორციელება ამბიციურობად ჩაითვლება, ესეც ისეთი ამბიციუ-

რობაა, რომელიც არც სხვას კონკრეტულად და არც მთლიანად დღევანდელ მსოფლმოწყობას არ ავნებს, — ჩვენ ამ ფუნქციას ყოველთვის ვასრულებდით არა მხოლოდ ჩვენი ინტერესების გათვალისწინებით.

ამასთან ერთად, დღეს აქტუალიზდა — ყოველ შემთხვევაში მე ასე მეჩვენება — ჩვენს მეხსიერებაში შემონახული ქართული რწმენა იმ შორეულ, წარმოსახვით პერსპექტივაში ჩვენი ადგილის შესახებ; რწმენა, რა თქმა უნდა გაფორმებული დღევანდელობის, XXI ს-ის, რეალობების შესაბამისად. ესეც ისეთი ამბიციაა, რომელიც არავის უშლის ხელს. იმიტომ, რომ, როგორც ითქვა, ეს არის რწმენა, რომელიც მხოლოდ მოლოდინზეა დამყარებული და არავითარ აქტივობასა და სპეციალურ მოქმედებებს არ გულისხმობს, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ასეთი რწმენა და ასეთი მოლოდინი ჩვენ, როგორც ერს, გვავალდებულებს ვიზრუნოთ საკუთარ კოლექტიურ მორალზე, ჩვენს შინაგან განწმედაზე პროფეტული მომავლის წინაშე. პრაქტიკულად ეს ალბათ იმას ნიშნავს, რომ ჩვენ, როგორც საზოგადოებას, არ გვინდა დაგვეუფლოს სასაოწარკვეთა და არ ვიქონიოთ მომავლის რაღაც იმედი; ჩვენ ასე გვინდა შედარებით მშვიდად ვიარსებოთ. შესაძლოა ჩვენმა ამ რწმენამ და ამ სურვილმა სხვებიც გამოაფხიზლოს (თუ ეს საჭიროა), — არც ასეთი აზრი შეიძლება ჩაითვალოს ამბიციურად.

არ არის გამორიცხული, ვინმემ ამ რწმენაში დაინახოს ანაქრონისტული გადმონაშთი, არათანამედროვე ხედვა და ა.შ. ეს კატეგორიულად არ არის ასე, პირიქით. არათანამედროვეობა და ჩამორჩენილობა ის იქნება, თუ დღეს ადამიანი ან საზოგადოება არ ფიქრობს (თუნდაც resp. არ უშინია) დღევანდელ სირთულეებზე და მოსალოდნელ გლობალურ ცვლი-

ლებებზე (წარღვნას წარმოვიდგენთ თუ მეორედ მოსვლას), — ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ეს ჩამორჩენილობაა თანამედროვე სამეცნიერო მონაპოვართა ფონზე.

ვინც ამას ასე არ დაინახავს ჩვენს იდეაში, ის იმ ძალების წარმომადგენელია, რომელთაც არა მარტო არ უნდათ რომელიმე ქვეყანა მიდიოდეს ზნეობრივად სტაბილური იმ გამოუცნობი მომავლის გზაზე (რომელიც არა მარტო დიდი ხანია საყოველთაოდ მიღებული ტოპოსია, არამედ მეცნიერული პროგნოზირების ელემენტი), არამედ უნდათ მთელი მსოფლიო მიდიოდეს უზნეოდ და დეგრადირებულად.

ქართულ იდეას რაც შეეხება, მას უნდა, რომ მისი სამოქმედო სივრცე — საქართველო და ქართველი საზოგადოება — ზრუნავდეს საკუთარ განწმედაზე და გარკვეული იმედის ქონაზე მომავლის წინაშე.

ბუნებრივია, სხვებსაც იგივე ზრუნვა აქვთ, ასევე — საკუთარი არგუმენტები მომავლის წინაშე და საკუთარი რწმენა მომავლისა; კერძოდ — ზოგჯერ გულგრილ მსოფლიო თანამეგობრობას, რომელმაც ერთხელ უკვე (1920 წ. დეკემბერში) არ გაგვიღო ერთა ლიგის კარი და ამით ფაქტიურად გზა გაუხსნა საქართველოსკენ 1921 წლის ტრაგედიას. გასაკვირი და წარმოუდგენელი იქნება, თუ იგი დღესაც, XXI საუკუნეში (ცივილიზაციის ამ მაღალ, შესაძლოა უმაღლეს და ბოლო, საფეხურზე), დასაშვებად მიიჩნევს, რომ ისევ შეიძლება დანგრევა პატარა სუვერენული ქვეყნისა, რომლის ერთადერთი დანაშაული მსოფლიოს წინაშე ის არის, რომ მის წინაპრებს სადღაც ცივილიზაციის დასაწყისში ჰქონდათ თავიანთი ადგილი, ხოლო შთამომავლებს არ უნდათ დათმონ თავიანთი პატარა ადგილი დღესაც (ცივილიზაციის ამ მაღალ, შესაძლოა უმაღლეს და ბოლო, საფეხურზე).

საძიებლები

იესო ქრისტე /მაცხოვარი 27, 80, 80, 80, 80, 81, 82, 96, 97, 97, 97, 98.
ღვთისმშობელი 94, 95, 95, 95, 96, 97.

საქართველო 7, 13, 15, 18, 20, 21, 22, 23, 24, 25, 27, 28, 29, 30, 32, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 46, 47, 51, 52, 53, 54, 55, 56, 57, 58, 61, 63, 64, 66, 68, 69, 70, 71, 72, 75, 76, 83, 91, 97, 98, 105, 110, 112, 113, 114, 115, 116, 117, 119, 120, 121, 125, 127, 129, 131, 133, 135, 136, 138, 140, 141, 142, 143, 149, 150, 151, 152, 155

გეოგრაფიულ სახელთა, ეთნიკურ ჯგუფთა

აბაზგი 105
აბასთუმანი 46
ადრიანოპოლი 46, 128
ავარეთი 151
ავღანეთი 146
აზერბაიჯანი 25,68,116, 117
აზერბაიჯანელები 117, 131
აზია 100, 126
აზოვის ზღვა 10
ათონი 24, 102
ალაგირი 131
ალბანეთი 13, 44
ამასია 31, 32
ამიერკავკასია 11, 37, 39, 42, 49, 52, 71, 112, 113, 114, 128.
ანისი 66, 113
აპენინის ნ/კ 84
არაბები 8, 16, 17, 18, 75
არაბეთი 118
არამეელები 17, 128
მდ. არაქსი 82
ასპინძა 46
ასურეთი 10, 118
აფსილი 105
აფსუა 105, 106, 128, 136, 140.
აფხაზები 25, 105, 106, 136, 140
აფხაზეთი 24, 25, 32, 40, 52, 61, 106, 129, 136.
აღმ. საქართველო 14, 15, 17, 20, 31, 34, 36, 37, 41, 64
აშშ 147
აწყური 46
აჭარა 31, 46
ახალქალაქი 46, 47
ახალციხე 46, 47, 128
ახტალა 42

ბათუმი 47, 52
ბაიაზეთი 47
ბალკანეთი 74, 84
ბალტიისპირეთი 55
ბალყარელები 130
ბასიანი 22, 67
ბასკები 83

ბაქტრია 118
ბედია 24
ბეთანია 98
ბეთლემი 98
ბერლინი 46
ბერძნები 8,64,83,100,128,129
ბესლეთი 24
ბზიფი 25
ბიზანტია 15, 21, 22, 23, 28, 66, 72, 75
ბიზანტიელები 15, 16, 66, 113.
ბიჭვინთა 24
ბორჩალო 116
ბრაბანტი 53
ბურგუნდია 53
ბუქარესტი 46, 47

განჯა 37, 115
გეთსიმანია 98
გელათი 44
გეორგიევსკი 38, 115
გერმანია 52, 111, 149
გოლგოთა 98
გორი 42, 130, 138
გულისტანი 39
გურია 32, 40

დავით-გარეჯი 104
დარიალი 10, 71, 73, 75
დარუბანდი 23
დას. საქართველო 14, 15, 16, 19, 31, 47, 64, 105
დაღესტანი 151
დვინი 66, 115
დიაოხი 10, 73
დიდგორი 101
დმანისი 104
დუბლინი 53
დურძუკები 13

ებრაელები 15, 118, 119, 120, 121, 129, 130

ეგვიპტე 10, 17, 118
ეგრისი 12, 13, 15, 16, 25
ეგრის-აფხაზეთი 17
ევროპა 11, 42, 43, 44, 45, 71, 84, 99,100,104,126,127,128,143
ეზიდები 129
ეთიოპია 118
ეირე/სამხრ. ირლანდია 53, 54
მდ. ენგური 62
ერაყი 31
ერევანი 37, 47, 115
ესპანეთი 17
ესპანელები 103

ვენა 43
ვერსალი 43

ზანები 10

თაბორი 98
თავრიზი 47
თათარ-მონღოლები 19, 66
თბილისი 17,19,33,42,45,46,51, 61, 68, 69, 98, 116, 117, 129, 151.
თრიალეთი 82
თუბალი 9, 10
თურქეთი 46, 52, 128, 129
თურქმანჩაი 39
თურქ-სელჩუკები 23, 112, 113

იბერები 9, 10
იბერია 12,13,72, 73, 74, 83,102
იბერიის ნ/კ 83
იერუსალიმი 15,24,97,102,120
ილორი 24
იმერეთი 29, 31, 32, 35, 40, 46, 49, 129
იმერელი 138
იმერხევი 46
იმიერკავკასია 37
ინგლისი 42, 53

ინგლისელები 52, 116
ინგუშები 130
ინგუშეთი 151
ინდოევროპელები 10, 84
ინდოეთი 11, 67, 72, 118
ირანი 15, 16, 31, 32, 33, 34, 36, 38, 39, 42, 47, 72, 75
ირანელები 33
ისრაელი 96, 118, 121
იტალია 118
იუდეა 118

კავკასია 13, 18, 22, 42, 83, 90, 112, 147, 151, 153
კავკასიელები 13
კავკასიონი 131
კაზაკები 129
კარდუხები 9, 10
კასპია 71, 72
კახეთი 12,17,21,29,31,32,34,49
კერკეტები 25
კვიპროსი 118
კიმერია 118
კიმერიელები 10, 73
კლარჯეთი 13, 46
კოლა-არტაანი 46
კოლხები 9, 11, 25, 64
კოლხეთი (/კოლხიდა/კოლხა/კულხა) 12, 13, 14, 44, 64, 72, 73, 83, 96, 101, 102, 105
კონსტანტინოპოლი 44
კორაქსები 9, 25
კორდოვა 18
კოხტასთავი 19
კრწანისი 42

ლაზიკა 14
ლიდია 118
ლიტვა 129
ლორე 116
ლორე-ბამბაკი 39

მაკედონია 118
მაკრონები 9, 11
მარაბდა 35
მარგვი 12
მარები 9, 11
მარტყოფი 35
მეგრელი 25, 138
მეშეხი 9
მთიული 138
მთიულეთი 49
მიდია 73, 118
მონღოლები 19, 20, 75
მოსინიკები 9, 11
მოსკოვი 45, 58, 61, 105, 116, 117, 127, 141
მოსხები 9, 11, 65
მტკვარი 72, 82
მცირე აზია 18, 22, 72, 82
მცხეთა 96, 98, 112, 120

ნაბატეა 118
ნახჭევანი 37, 115
ნიკოფსია 23, 25

ოვსები/ოსები 49, 61, 63, 74, 75, 128, 131, 137, 138, 139
ოლთისი 46
ოსეთი 131, 140
ოსმალეთი 31,32,38,42,43,47,129
ოძრხე 13

პალესტინა 118
პართია 12
პარიზი 56
პეტერბურგი 68, 129
პირენე/პირენეს ნ/კ 83, 84
პოლონეთი 117
პონტო 14, 84
პროტოიბერები 82
პროტოინდოევროპელები 86
პროტოსემიტები 86
პროტოქართველები 85

პრუსია 43

რაჭა 131
რომი 12, 14, 45, 72, 73, 74
რომაელები 12, 14, 73
რუსები 8, 47, 68, 129, 150
რუსეთი 38, 39, 40, 41, 42, 45, 46, 47, 48, 49, 51, 52, 53, 61, 67, 68, 69, 76, 84, 111, 115, 116, 117, 128, 129, 138, 140, 141, 142, 143, 144, 145, 146, 147, 149, 150, 151, 152

საბერძნეთი 118
საბჭოთა კავშირი 46, 55, 56, 57, 103, 105, 106, 141, 143, 145, 146, 149
საინგილო 31, 52, 115
სამეგრელო 32, 40
სამურზაყანოელი 138
სამშვილდე 12
სამცხე 46, 115
სამცხე-ჯავახეთი 31, 128
სამხრ. კავკასია 23, 73, 113
„სამხრ. ოსეთი" 61, 105, 138, 139, 140
სამხრ. საქართველო 64
სან-სტეფანო 46
სასპირები 9,11
საფრანგეთი 42, 43, 53
სელჩუკები 66
სემიტები 84
სვანები 10
სვანეთი 12, 40
სიონი 98
სირია 66
სკვითები 8, 10, 73
სკვითია 118
სკვითინები 9
სომხები 17, 37, 65, 66, 67, 68, 114, 116, 129, 130, 131
სომხეთი 12, 16, 25, 44, 58, 66, 68, 112, 113, 115, 116, 129
სოჭი 52
სოხუმი 46, 52, 140
სპარსეთი 34, 118
სპარსელები 8, 10, 11, 15

ტაო-კლარჯეთი 17, 18
ტაოხები 9, 10
ტიბარენები 9, 11
ტრაპიზონი 23
ტუაფსე 25

უელსი 53
უკრაინა 55
ულუმბო 94
ურარტუ 10, 73

ფასიანები 9
ფასისი 72, 100
ფინიკია 118
ფოთი 47
ფრანგები 52

ქანაანი 119
ქართები 10
ქართველი/ქართველები 16,18, 20, 22, 23, 30, 32, 33, 34, 35, 37, 40, 41, 42, 44, 45, 47, 68, 70, 74, 77, 78, 79, 81, 82, 83, 85, 91, 92, 93, 94, 96, 97, 98, 105, 106, 114, 115, 116, 117, 120, 127, 129, 130, 131, 136, 137, 138, 150
ქართლი 12, 13, 15, 16, 17, 19, 25, 29, 31, 32, 34, 35, 69, 75, 102, 120, 138, 139
ქართლელი 25
ქართლ-კახეთი 29, 32, 37, 39, 42, 46, 115
ქისტები 49
ქუთაისი 46, 50

ქურთები 129

მდ. ღალიძგა 61

ყაბარდოელები 38
ყაზახეთი 130
ყარაბაღი 37, 115
ყარაჩაი-ჩერქეზეთი 151
ყარსი 129
ყირგიზეთი 130
ყირიმი 67
მდ. ყუბანი 46

შავი ზღვა 23, 72, 144, 153
შავიზღვისპირეთი 10, 25
შავშეთი 46
შამშადინი 39
შიდა ქართლი 13
შირვანი 112, 113
შირვან-არანი 113
შოტლანდია 53
შუა აზია 72, 153
შუამდინარეთი 147
შუშა 37

ჩეჩნები 129, 130
ჩეჩნეთი 129, 151
მდ. ჩოლოქი 46

ჩრდ. აფრიკა 17
ჩრდ. კავკასია 52, 69, 74, 151
„ჩრდ. ოსეთი“ 138, 139, 140

ცენტრ. კავკასია 23, 112
ცხინვალი 42, 61, 137, 138

წებელდა 24
წითელი ხიდი 116
წინა აზია 84, 85, 86
წუნდა 13

ჭანები 23

ხაზარები 16
ხალდები 9
ხალიბები 9, 10
ხერთვისი 46
ხმელთაშუა ზღვა 82, 84
ხმელთაშუაზღვისპირეთი 72, 84

ხუნანი 12
ხუნძახი 151

ჰენიოხები 9, 25
ჰერეთი 17, 21, 25
ჰერი 25

პირთა (მათ შორის, ავტორთა)

ვ. აბაევი 140
შაჰ აბას I 34, 35
აბდულაბეგი 33
აბიათარი 120
აბუ-ლ-კასიმი 16
ადამი 82
აზო/აზონ 14
აიეტი 13, 14, 64, 96, 101
ალექსანდრე მაკედონელი 11

იმპერატ. ალექსანდრე I 42,45, 145
იმპერატ. ალექსანდრე II 45, 145
ალექსანდრე I დიდი 27
ზ. ალექსიძე 44
ალილათი/ალ-ლათი 118
ალფ-არსლანი 112
ქ. ამოევი 129
ანდრია პირველწოდებული 97

ანტიოქე I სოტერი 12
აპოლონიოს როდოსელი 13
არსენ ბერი 95
არტაგი 12, 73, 74
არტემიდორე ეფესელი 25
აფროდიტა ურანია 118
აფსირტე 96
აღა-მაჰმად-ხანი 42, 43
აშოტ კურაპალატი 18

ბაგრატ V 20
ნ. ბარამიძე 95
ბარდა სკლიაროსი 23
ბასილი II 21, 23, 35, 67
ბასილი მონაზონი 94
ჯ. ბენგსთონი 91
ად. ბერჟე 138
ნ. ბერძენიშვილი 25, 64
ი. ბრაუნი 83
ბუღა-თურქი 16

ზ. გამსახურდია 79, 82, 95
თ. გამყრელიძე 85, 105, 113
გენერ. გერშელმანი 138
წმ. გიორგი 98
გიორგი ბატონიშვილი 45
გიორგი ბრწყინვალე 20
გიორგი I 21, 35
გიორგი VII 20, 21
გიორგი VIII 53
გიორგი მერჩულე 19, 69
გიორგი მთაწმინდელი 95
გიორგი მცირე 95
ი. გოგებაშვილი 50
რ. გორდეზიანი 64, 86, 91, 93
გრიგოლ ხანძთელი 18
ჯ. გრინბერგი 91
გუბაზ II 15
ნიკ. გულაბერიძე 95
სიმონ გურიელი 30
ვ. გურული 34, 41, 138

გრიგოლ დადიანი 30
ცოდნე დადიანი 19
დავით აღმაშენებელი 22, 25, 36, 66, 75, 112, 113, 129, 130
დავით კურაპალატი 23
დავით VI ნარინი 19
დავით VII ულუ 19, 75
დავით VIII 19
დავით წინასწარმეტყველი 21, 97
დარიოს I 11
დარიოს III 11
დემეტრე II 19
გენერ. დენიკინი 52
ფრ. დვორნიკი 97
რ. დიუგე 117
ნ. დობორჯგინიძე 103
დუბაის იბნ სადაკა 22
თ. დუნდუა 120

ეგარსლან ბაკურციხელი 19
ეკატერინე II 45, 145
ი.ემინი 37
ერეკლე II 30,36,37,38,39,42,115
ს. ერემიანი 37
გ. ერისთავი 47
გენერ. ერმოლოვი 140
ესქილე 14
ექვთიმე ათონელი 94

ვარამ გაგელი 19
ვახტანგ გორგასალი 15, 74
ვახტანგ VI 33
გენერ. ვრანგელი 117

თამარი 23, 66, 109, 112
მ. თამარაშვილი 70
თეიმურაზ II 37
თემურლენგი 20, 21, 67
მ. თოდუა 105
შ. თოდუა 59

ა. თოთაძე 140
თუბალი 9
თუბალ-კაენი 9

იაფეთი 102
ვიაჩ. ივანოვი 85
ილარიონ ქართველი 94
მ. ინაძე 25
პ. ინგოროყვა 79, 97
იოანე ათაბაგი 115
იოანე ზოსიმე 79
იოანე-თორნიკე 23
იოანე საბანისძე 18
იოსებ ფლავიუსი 10

ლ. კავალი-სფორცა 88
ფ. კაპიცა 54
კ. კეკელიძე 79
ნ.კეჭაღმაძე 105
გენერ. კვინიტაძე 117
ჯ. კვიციანი 151
ზ. კიკნაძე 79, 120
კირკე 96
გენერ. კნორინგი 42, 139
კონსტანტინე
პორფიროგენეტი 97
ს. კრაუსი 103

ლავრენტი ჩერნიგოველი 95
ლაზარე 80
გენერ. ლაზარევი 138, 139
ლაშა-გიორგი 109
დ. ლენგი 54
ლეონტი მროველი 95, 152
მ. ლორთქიფანიძე 114
ო. ლორთქიფანიძე 82
ა. ლოსევი 87, 88

მათე ურჰაელი 130
მალიქ შაჰი 112
ე. მამისთვალიშვილი 25
ნ. მარი 84, 86, 87
მატათია 97
ს. მახარაშვილი 94
მედეა 96, 101
გ. მელიქიშვილი 64, 82
ლ. მენაბდე 98
ს. მესხი 50
ელ. მეტრეველი 98
რ. მეტრეველი 113, 114
მეშეხი 9
მითრიდატე I 12
მითრიდატე II 12
მითრიდატე VI ევპატორი 14
მირიანი 120
თ. მიქელაძე 10
მურვან ყრუ 16
დ. მუსხელიშვილი 114
იოანე მუხრანბატონი 38

ნაბუქოდონოსორი 120
ნადირ შაჰი 37
ნაპოლეონი 43
ნაჯმადდინ ილღაზი 22
ნერსე ერისთავი 16
ნ. ნიკოლაძე 50
იმპერატ. ნიკოლოზ II 146
ნოე 96, 102

გრ. ორბელიანი 47
სტეფანოზ ორბელიანი 115
ს. ორჯონიკიძე 61

პავლე I 42
პასიფაე 96
გენერ. პასკევიჩი 129
პეტრე I 45, 145
პინდარე 14
პლინიუს უფროსი 25
პომპეუსი 12, 73, 74
პ. პოტიომკინი 38
პრომეთე 96

პოლკ. რენიერი 139

ს. რეხვიაშვილი 131
გენერ. რტიშჩევი 139
მ. რულენი 88, 91

გიორგი სააკაძე 31, 35
საურმაგი 12
სემი 102
სერაფიმ საროველი 95
სერგი ბარნუკისძე 16
ა. სილაგაძე 30, 34, 41, 59, 70, 98, 111, 126, 138, 141
სიმონ კანანელი 97
პოდპოლკ. სიმონოვიჩი 138
სოლომონ II 30, 40, 49
სტალინი 61, 111
სტეფანოზი 16
სტრაბონი 14, 25

კ. ტაბატაძე 105
ი ტაბაღუა 25
ვ. ტატუნაშვილი 59
ტიგრან II 66
ტიტუს ვესპასიანე 120
ტოღრული 22
ლ. ტროცკი 111
ტუღან არსლან ალ-აჰდაბი 22

აკ. ურუშაძე 13, 14

ალ-ფარიკი 113, 129
ფარნავაზი 12, 13, 14, 64, 74, 93, 115
ფარსმან I 12
ფარსმან II 12
ჰ. ფენრიხი 85
მიტროპ. ფეოფილაქტი 139
ფლავიუს არიანე 105
ფსევდოსკილაკე კარიანდელი 25
ე. ფურნე 86
ტ. ფუტკარაძე 80

ქამი 102
ქსენოფონტი 10, 14
ქსერქსე I 11
მ. ქურდიანი 91
ქუჯი ერისთავი 12, 115

თ. ყაუხჩიშვილი 9,25
ს. ყაუხჩიშვილი 83
ყვარყვარე ჯაყელი 19
დ. ყიფიანი 50

ჯ.შარაშენიძე 86
ო. შრადერი 9

მ. ჩუხუა 91

ე. ცაგარეიშვილი 105

აკ. წერეთელი 50, 123
გ. წერეთელი 113, 129
მ. წერეთელი 85

ალ. ჭავჭავაძე 47
გარს. ჭავჭავაძე 38
ილ. ჭავჭავაძე 50, 51, 53, 123

ი. ჯავახიშვილი 9, 64
ს. ჯანაშია 81, 82
ჯარაჰი 16
ან. ჯაფარიძე 82
გ. ჯაფარიძე 98, 105
ო. ჯაფარიძე 82, 151
ჯოვანი ჯულიანო და ლუკა 25

ჰაბიბ იბნ მასლამა 16
ჰეკატაიოს მილეტელი 64
ჰელანიკე მიტილენელი 25
ჰეროდოტე 9, 11, 100, 118
ჰომეროსი 9

გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge